ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

21 ნოემბერი ოთხშაბათი 2012 №276 (13 882) ფასი 80 თეთრი



ანანიძემ მამის ხსოვნას პატივი ასე მიაგო

# ჯანო და ლეო

## იყო სამი, გახდა შვიდი

1/8 ფინალისტებს გუშინ დაემატნენ:
ბარსელონა, ბაიერნი, შახტარი და ვალენსია



ჩელსის მძლეველი იუვენტუსი პლეი ოფს მიუახლოვდა

8



* ლეო მესი გახდა ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში მე-2 ბომბარდირი რუუდ ვან ნისტელროისთან ერთად (56-56 გოლით). წინ მხოლოდ რაულია (71 გოლი).
* მესიმ 2012 წელს უკვე 80 გოლი გაიტანა. გერდ მიულერის რეკორდამდე (1972 წ. 85 გოლი) ბევრი აღარ რჩება.
* მესი ამ სეზონის ბომბარდირთა დავაში კრიშტიანო რონალდოს დაეწია (5-5 გოლი).



13

## მოდი, ვნახოთ ფიჯი

## ტელეკომი–არმია: გავდივართ მომსახურების ზონიდან



12



2

## თაობა, რომელიც ვერ დავაფასეთ

კახა კალაძის გაცილების მატჩი გაზაფხულისთვის დაიგეგმა



## შევა მილანში დაბრუნდა

4

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ჩვენებური უცხოეთში



# მალაგაში ქართველი ვარჯიშობს

კარგად მახსოვს, 2009 წლის 18 ივნისი იყო, 35-ე სკოლა დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალს მასპინძლობდა. თბილისის "ლოკომოტივმა" 10:0 მოიგო და მთავარ პრიზს დაეუფლა. **გიორგი არაბიძე** იმ დღეს გავიცანი, 11 წლის ბავშვი იყო, მაგრამ მოედანზე დიდი კაცივით გამოიყურებოდა, მისი ბატონ-პატრონი იყო, რასაც მოისურვებდა, ყველაფერს აკეთებდა და "ლოკომოტივის" 10 გოლიდან ექვსი თავად გაიტანა, დანარჩენი ოთხიც მისი გადაცემით გავიდა.

თამაშს **ალექსანდრე ჩივაძე, ვლადიმერ გუცაევი, რამაზ შენგელია, მერაბ ჟორდანია, ძმები არველაძეები** უყურებდნენ და გიორგის თამაშმა ეს მრავლისმნახველი ხალხი ალაფრთოვანა. "პატარა მესი" მართლაც საოცრებებს სჩადიოდა – "მიწებებული" ბურთით მცველებს იოლად უსწორდებოდა, არაბავშვურად თავდაჯერებული, სადად თამაშობდა, გასაოცარ გადაცემებს აკეთებდა და გოლებიც იოლად გაჰქონდა. მაშინ გაგვიმხილა, ყიფიანივით მაგარი ფეხბურთელი მინდა გავხდეო.

გიორგი არაბიძე წარმოშობით ვანელია, მაგრამ 2005 წლიდან თბილისის "ლოკომოტივში" ვარჯიშობდა. 2012 წლის დასაწყისში თბილისის "დინამოს" აკადემიაში **ანდრეს კარასკომ** გადაიყვანა, მაგრამ გიორგის დედამ, ქალბატონმა ლელამ გვითხრა, ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმება არ ვისურვეთო და ბავშვი "ლოკომოტივს" დაუბრუნდა.

გიორგი მარტში 15 წლის გახდება, სისტემატურად თამაშობდა საქართველოს 13, 14 და 15-წლამდელთა ნაკრებებში. ესპანეთში ორიოდე დღის წინ ცნობილმა მენეჯერმა **ბესო აბაშიძემ** თბილისის "დინამოს" აკადემიის ყოფილი დირექტორის, **ანდრეს კარასკოს** მიწვევით წაიყვანა, რომელიც ამჟამად "მალაგას" კოორდინატორი და 16-წლამდელთა გუნდის მთავარი მწვრთნელია. გიორგი სწორედ მისი ხელმძღვანელობით ვარჯიშობს.

*"ესპანეთში რომ ქართულ ნიჭს დაანახვებ, მაინც სხვა კმაყოფილების გრძნობაა. ჯერ ივარჯიშა ქართველებისთვის კარგად ნაცნობ ანდრეს კარასკოს 1997-წლიანების გუნდში, მერე კი -U17-წლამდელებში. ხვალ ამხანაგური თამაში იქნება, სადაც გიორგის "მალაგას" სპორტული და აკადემიის დირექტორები დააკვირდებიან. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ "მალაგას" აქვს არაევროკავშირელი და 18 წელს მიუღწეველი ფეხბურთელების დატოვების პრაქტიკა. კარასკოს დიდი იმედი აქვს, რომ არაბიძე მაქსიმალურ შესაძლებლობებს გამოავლენს. შესაბამისად, შანსი დიდია, თუ გიორგი ამას მოახერხებს, რომ დატოვონ და გუნდს ზამთარში შეუერთდეს. შეიძლება ითქვას, რომ კარასკო შეყვარებულია ჩვენს ფეხბურთელებზე და დიდი იმედი აქვს, რომ გიორგი არ იქნება პირველი და უკანასკნელი ქართველი "მალაგაში". თავიდან ბოლომდე კარასკოს დამსახურებაა, რომ ჩვენ აქ ვართ და არაბიძეს მიეცა საშუალება დაამტკიცოს, რომ ბევრ ესპანელს ჯობია. აქ 27 ნოემბრამდე ვრჩებით და იმედია, სასიხარულო ინფორმაციით დავბრუნდებით"* - ამბობს ბესო აბაშიძე.

კომენტარი კარასკოსაც ჩამოვართვით: *"მე არაბიძეს საქართველოდან ვიცნობდი და შემიძლია გითხრათ, რომ ის დიდი ტალანტია. მაშინვე შევპირდი, რომ ესპანეთში წავიყვანდი და ასეც გავაკეთე, რადგან რასაც ვამბობ, ვასრულებ. საერთოდ, ძალიან ნიჭიერი ბავშვები გყავთ და ყველას მივცემ შანსს, ვინც ამას იმსახურებს".*

სხვათა შორის, კარასკომ უკვე მესამედ სცადა არაბიძის ჩაყვანა, სავიზო საკითხების მოგვარება მხოლოდ ახლა მოხერხდა და გიორგი "მალაგაში" ერთი კვირა ივარჯიშებს. იმასაც გეტყვით, რომ არაბიძე უკვე მეოთხე კლუბშია სტაჟირებაზე: 11 წლის "ბარსელონას" სკოლაში ორი კვირა ივარჯიშა, წლეულს კი გერმანულ "ჰოფენჰაიმსა" და დანიურ "ორჰუსშიც" დააკვირდნენ.

გიორგი არაბიძე თვითნაბადი ტალანტია. იმედია, ასაკისთვის უჩვეულო ყურადღება თავში არ აუვარდება და მაღალი კლასის ფეხბურთელად ჩამოყალიბდება.

**მერაბ მამულაშვილი**

რეგიონი



# ებრაელი ფეხბურთელები გორში

გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონმა გუშინ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს უმასპინძლა. ერთმანეთის პირისპირ გორისა და ისრაელის ქალაქ აშქელონის ვეტერან ფეხბურთელთა გუნდები წარდგნენ. შეხვედრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. მართალია სტუმრები თავდაპირველად ორი ბურთის სხვაობით მშრალად უგებდნენ გორელებს, საბოლოოდ მასპინძლებმა სამი ბურთის უპირატესობით 6:3 იმარჯვეს. მატჩი შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის **გია რევაზიშვილის** მიერ იყო ორგანიზებული. „ქართველი და ებრაელი ერების ურთიერთობა მოგეხსენებათ მრავალსაუკუნოვანია და ურთიერთკეთილგანწყობა დიდი ხანია ჩამოგვიყალიბდა. გორელი და ებრაელი ფეხბურთელების ამხანაგური მატჩი კი ჩემი და ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელის ბორის წიწუაშვილის მეგობრობამ წარმოშვა. ბორისი ყოფილი ფეხბურთელია, იგი ჩემი მომდევნო თაობის გორის „დილას" შემადგენლობაში იყო. დიდი ხანია მსურდა მისი დახმარებით ებრაელი ფეხბურთელების გორში სტუმრობის ორგანიზება მოგვეხდინა და მოხარული ვარ, რომ ეს ამხანაგური შეხვედრა შედგა. იმედი მაქვს, ჩვენი კავშირები გაღრმავდება და მომავალში კიდევ სხვა სპორტული ღონისძიებების ორგანიზებაც გახდება შესაძლებელი" - გვითხრა გია რევაზიშვილმა. მოგეხსენებათ დღესდღეობით ისარელში საომარი მოქმედებები მიმდინარეობს და მშვიდობიან მოქალაქეებს შორისაცაა მსხვერპლი. თამაშის გამართვის დღეს ერთ-ერთ ებრაელ ფეხბურთელს უკან დაბრუნებამაც მოუწია დაბომბვის შედეგად მამის გარდაცვალების გამო. მოედანზე კი ფეხბურთელები შავი სამკლავურებით გავიდნენ. მატჩამდე ებრაელ[ი] სტუმრებს გორის ციხე და ქალაქის სხვა ისტორიული ადგილებიც დაათვალიერებინეს. შეხვედრას ესწრებოდა „დილას" მთავარი მწვრთნელი **გიორგი დარასელია**, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ისრაელში თამაშობდა და მწვრთნელადაც მუშაობდა. საინტერესოა, რომ ებრაელი ფეხბურთელები დარასელიას დიდი სიხარულით შეხვდნენ და მასთან სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს. სტუმრები აშქელონიდან შიდა ქართლში კიდევ ორი დღე დარჩებიან.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

**დავით ასპანიძის** ფოტო

დაფასება

# კალაძის გამოსამშვიდობებელი მატჩი და სხვები

საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტნის **კახა კალაძის** გამოსამშვიდობებელი შეხვედრა 13 სექტემბერს თბილისში „დინამო არენაზე" უნდა გამართულიყო. „მილანი" მზად იყო, ჩამოსულიყო და ყოფილი ვიცე-კაპიტნის გამოსამშვიდობებელ შეხვედრაში მონაწილეობა მიეღო.

მაშინ ეს ვერ მოხერხდა, მაგრამ ახლა ეს სავსებით რეალურია. 1-ელი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების" გამარჯვების შემდეგ მატჩს წინ ველარაფერი დაუდგება.

მაგრამ საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი ენერგეტიკის მინისტრად დაინიშნა და ცხადია, გადატვირთული გრაფიკის გამო, ჯერ ამ საკითხისთვის ვერ მოიცალა. თუმცა მატჩის გამართვა გადაწყვეტილია. კახა კალაძის მეგობრების ნაკრები „მილანის" ვეტერანებს მაინც შეხვდება – იტალიელები მზად არიან, გამოსამშვიდობებელ შეხვედრაში მონაწილეობისათვის გაზაფხულზე გვესტუმრონ.

*"გამოსამშვიდობებელი მატჩის გამართვა ახლაც გვინდოდა, მაგრამ ცივი ამინდების გამო გაზაფხულზე გადატანა გადავწყვიტეთ – დათბება და აუცილებლად შედგება, ამის პირობას ვაძლევ ყველა ქართველ გულშემატკივარს"* – განაცხადა კალაძემ.

შევიტყვეთ, რომ შეხვედრა 2013 წლის აპრილში "დინამო-არენაზე" გაიმართება და სავარაუდოდ, **გიორგი დემეტრაძეც** ითამაშებს.

აქვე უნდა ვთქვათ: საქართველოში ფეხბურთელების გაცილების ცერემონიალს ისეთ ყურადღებას ვერ ვაქცევთ, როგორც ეს ნორმალურ ქვეყანას შეეფერება და საინტერესოა, ასეთი შეხვედრების ჩატარებას წინ რა უდგას? ფეხბურთელებში დღემდე ანეკდოტად დადის 1981 წლის ლეგენდარული დინამოელების გაცილების ამბავი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის კალენდარული მატჩის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ორი "პლაშჩი" აჩუქეს და... კარგად იყავითო.

ეს არ არის იმ ადამიანების დაფასება, ვინც საქართველოს სახელი გაუთქვა. ბევრი ისეთი მოთამაშეა, რომელთაც საქართველოსთვის სიხარული მიუნიჭებია. მაგალითად, **მალხაზ ასათიანი**, რომელმაც კარიერა ნაადრევად დაასრულა. ქუთაისის "ტორპედოში", მოსკოვის "ლოკომოტივსა" და საქართველოს ნაკრებში მისი შეხვედრები ყველას დიდ სიამოვნებას გვანიჭებდა და ფეხბურთიდან ლამაზად გაცილებას იმსახურებს.

იმავეს ვიტყვით **ზაზა ჯანაშიაზე**, რომელიც საქართველომ ძალიან დაჩაგრა და ვერ გამოიყენა. და თუ რეჟიმის დამრღვევი იყო, მოსკოვის "ლოკომოტივში" **იური სიომინმა** მშვენივრად გამოიყენა და რუსული მედია დღემდე სიყვარულით ახსენებს – ჩვენ რა დაგვიშავა?

გიორგი დემეტრაძე სამი ქვეყნის ბომბარდირი იყო – საქართველოს (1996/97), რუსეთისა (1999) და უკრაინის (2003/04). პირველი ქართველია, ვინც პრიმერადივიზიონში ("რეალ სოსიედადში") ითამაშა. თუმცა, ბევრად მეტი მონდომებით საქართველოს ნაკრებში გამოირჩეოდა.

**მიხეილ ფოცხვერია** ცალკე თემაა - ნოვოსიბირსკში დაბადებულმა ბიჭმა საქართველოში მხოლოდ ბავშვობაში, ისიც ორი წელი იცხოვრა. ლუგანსკში გაიზარდა და თამაშიც იქ დაიწყო. საქართველოსთან მხოლოდ სისხლი აკავშირებდა, ქართულიც არ იცოდა. მაგრამ ეს სისხლი გადამწყვეტი აღმოჩნდა. დონეცკის "შახტარის" ძირითადი შემადგენლობის თავდამსხმელმა უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებზე უარი თქვა, **ვლადიმერ გუცაევის** მიწვევას დათანხმდა და საქართველოს სახელით ითამაშა. 1997 წლის 11 ოქტომბერს დიდი წილი დაიდო რუსთავში იმ იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ძლევაში (2:0), სადაც, **ბუფონი, ამბროზინი, კოკო, ფიორე, ლუკარელი** და სხვა მომავალი ვარსკვლავები თამაშობდნენ.

ბრემენის "ვერდერში" დუბლებში ნათამაშებ ფეხბურთელს, რომელიც მაშინ უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირებში იყო, კარიერა **რინატ ახმეტოვმა** სწორედ ამის შემდეგ დაუნგრია. დონბასური კლუბის მეპატრონემ ის ვერც დარწმუნებით და ვერც დაშინებით უკრაინის სახელით თამაშზე ვერ დაითანხმა და "შახტარის" დუბლებში დააქვეითა. ამას ტრავმებიც დაერთო და კარიერა 27 წლისამ დაასრულა. საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურა სულ ოთხჯერ მოირგო.

მერე თქვა, უკრაინის ნაკრები საქართველოზე პერსპექტიული იყო, მაგრამ ჩემი სამშობლოს სახელით უნდა მეთამაშაო. ასეთ ადამიანს არათუ გაცილების მატჩი, ძეგლი ეკუთვნის, რადგან უანგარობა დასაფასებელია. დღეს ფოცხვერია დნეპროპეტროვსკის "დნიპროს" მომავალ თაობებს უზრდის და დიდად არ ულხინს.

კიდევ რამდენი ჩამოვთვალოთ? **დავით გვარამაძე, მამუკა წერეთელი, ლევან სილაგაძე, გიორგი კიკნაძე, ლევან ცქიტიშვილი, დავით მუჯირი, მიხეილ აშვეთია** და კიდევ მრავალი იმ თაობიდან, ვინც საქართველოს სიხარული მიანიჭა, როდესაც 1998 წლის ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა, მერე კი ეროვნულ გუნდშიც ითამაშეს.

ეს ბოლო თაობაა, რომელიც ფეხბურთიდან წავიდა, თორემ არა ნაკლები პატივი ეკუთვნის **კახა ცხადაძის** თაობას, რომლებმაც, დიდი ხანია, რაც კარიერა დაასრულეს: **ნიკა ჩხეიძე, აკაკი დევაძე, ირაკლი ზოიძე, ნიკა ტოგონიძე, სოსო გრიშიკაშვილი, დავით ყიზილაშვილი, ზაზა რევიშვილი, ნუგზარ ლობჟანიძე, მურთაზ შელია, გიორგი ჩიხრაძე, გოჩა ჯამარაული, გიორგი ნემსაძე, გიორგი ქინქლაძე, კახა გოგიჩაიშვილი, გიორგი გახოკიძე, გოჩა გოგრიჭიანი, გელა ინალიშვილი, თემურ ქეცბაია, ძმები არველაძეები, გია გურული, მიხეილ ყაველაშვილი, მიხეილ ჯიშკარიანი** თამაშობდნენ გუნდში, რომელმაც სანაკრებო ისტორიაში პირველი ფურცლები ჩაწერეს და მისი არსებობის განმავლობაში შესარჩევ ციკლში ორჯერ 3 ადგილი დაიკავა.



ეროვნული ნაკრების ამ თაობის ფეხბურთელებიდან გაცილებას თითქმის ყველა იმსახურებს

ამ ყველაფერზე უნდა ფიქრობდნენ არა თავად მოთამაშეები, არამედ ფეხბურთის ფედერაცია – არველაძეებს ჰქონდათ გაცილების მატჩის ჩატარების სახსრები, იგივე კალაძეც საკუთარი ფულით აკეთებს, ბევრი ფეხბურთელი კარიერის დასრულების შემდეგ ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და 30 კაცის ჩამოყვანა როგორ უნდა უზრუნველყონ?

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გია გეგუჩაძესთან | ტურის მწვრთნელები | ინტერვიუ გია გურულთან

# მოდუნების უფლება არ გვაქვს

ქუთაისის „ტორპედომ“ სამმატჩიანი მოუგებელი სერია გასულ ტურში რუსთავის „მეტალურგის“ ძლევით შეწყვიტა. ამ მოგების შემდეგ ქუთაისური გუნდი მესამე ადგილზე დაბრუნდა, თუმცა, ლიდერებს კვლავ ჩამორჩება და მდევრებიც საკმაოდ ახლოს ჰყავს. „მეტალურგთან“ მნიშვნელოვანი გამარჯვების შემდეგ ქუთაისელთა მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე კიდევ ერთხელ მოხვდა „ლელოს“ ტურის სიმბოლურ ნაკრებში. მას განვლილ მატჩებსა და „მერანთან“ მოახლოებულ დაპირისპირებაზე ვესაუბრეთ.

**-„ტორპედო“ მიმდინარე ჩემპიონატში სტაბილურად გამოიყურებოდა, თუმცა ბოლო რამდენიმე შეხვედრა ჩააგდო და ლიდერებს ჩამორჩა. რას უნდა მივაწეროთ ქუთაისური გუნდის ჩავარდნა?**

-ეს გუნდის ცხოვრებაში ჩვეულებრივი მოვლენაა. გეთანხმებით, „ზუგდიდთან“ სათანადოდ ვერ ვითამაშეთ, მაგრამ დანარჩენ შეხვედრებში თამაშის ხარისხი საკმაოდ კარგი იყო. თუნდაც, „დინამოსთან“ და „ზესტაფონთან“ მატჩები გავიხსენოთ, სადაც ცუდად ნამდვილად არ გამოვიყურებოდით. თბილისელებთან საკუთარ მოედანზე ორჯერ დავწინაურდით, მაგრამ ანგარიში ვერ შევინარჩუნეთ. გასაგებია, რომ გულშემატკივარი მუდმივად გამარჯვებას ითხოვს, მაგრამ ხანდახან მოვლენები ჩვენი სურვილის მიხედვით არ ვითარდება. ამას ჩავარდნას ვერ დავარქმევ.

**-„მეტალურგთან“ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეთ, თუმცა ამ მატჩშიც თქვენი გუნდის თამაში უკეთესის სურვილს ტოვებდა...**

-რუსთაველებთან პრინციპული თამაში გვქონდა, ქულები ორივე გუნდისთვის მნიშვნელოვანი იყო და, როგორც ველოდით, შეხვედრა უშელავათო ბრძოლაში წარიმართა. „მეტალურგი“ საკმაოდ ძლიერი გუნდია, მასთან გამარჯვებას წინასწარ ვერ დაგეგმავ. თანაბარი თამაში იყო, თუმცა ფეხბურთელებმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინეს და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენთვის სამი ქულის აღება იყო, რაც სწორედ ხასიათის სიმტკიცისა და თავდადების ხარჯზე მოვახერხეთ.

**-მიმდინარე ჩემპიონატის პირველ წრეში „ტორპედოს“ ბევრი გოლი გაჰქონდა, თუმცა ბოლო რამდენიმე შეხვედრაა, ქუთაისური გუნდის ფორვარდები ადრინდელივით ეფექტურად ველარ გამოიყურებიან...**

-კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ხშირად ისე არ ხდება როგორც ჩვენ ვისურვებდით. რაც მთავარია, „მეტალურგთან“ სამი ქულა ავიღეთ და, აქედან გამომდინარე, მთლიანად გუნდის თამაშს დადებითად ვაფასებ.

**-გიორგი კუხიანიძემ პენალტი, ცოტა არ იყოს, არაორდინარულად და რისკიანად შეასრულა, მის ქმედებას როგორ შეაფასებთ?**


გია გეგუჩაძე

- რადგანაც თერთმეტმეტრიანი გაიტანა, მისი ეს ქმედება დასაძრახი არ არის, თუმცა ძალიან კი გარისკა. ეს მეტყველებს ფეხბურთელის სითამამეზე, მისი ასეთი თავდაჯერებულობა მიანიშნებს, რომ მოედანზე თავისუფლად გრძნობს თავს და ამაში დადებითი მომენტის დანახვაც შეიძლება.

**-ლექსო კვახაძესთან დაკავშირებით როგორია თქვენი პოზიცია. დარჩება თუ არა გუნდში ეს ფეხბურთელი?**

-კვახაძესთან დაკავშირებით კლუბი სულ მალე ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს და ამ ეტაპზე კომენტარისგან თავს შევიკავებ.

**-მომდევნო ტურში მარტვილში „მერანს“ სტუმრობთ. მეტოქის შესახებ რას იტყვით?**

-ძალიან რთული თამაში იქნება, მით უმეტეს მარტვილში გუნდებს ყოველთვის უჭირთ. სამწუხაროდ, იქ მოედნის საფარი არ იძლევა ფეხბურთის თამაშის საშუალებას. წინა პლანზე უფრო ფეხბურთელების სხვა თვისებები წამოიწევს. სავარაუდოდ, უფრო ძალისმიერი თამაში იქნება და ვინც ამ კომპონენტში უკეთ იქნება მომზადებული, წარმატების მეტი შანსიც ექნება. ჩვენი მიზანია, რომ ზედა ექვსეულში მოვხვდეთ და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

**-მესამე ადგილზე იმყოფებით და ზედა ექვსეულში მოხვედრა, წესით, არ უნდა გაგიჭირდეთ..**

- საუკეთესო ექვსეულში ვერმოხვედრის თეორიული შანსი სანამ არსებობს, მოდუნების უფლება არ გვაქვს. ჩვენთვის ყველა დარჩენილ თამაშს დიდი მნიშვნელობა აქვს, გვინდა, რაც შეიძლება მეტი ქულა დავაგროვოთ და გუნდის შენების პროცესი უფრო თავისუფლად გავაგრძელოთ.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

## გია გურული:
# ამას ასე არ დავტოვებ
### სად გაგონილა, მსაჯი გზაში იძლეოდეს წითელ ბარათს?

ეროვნული ჩემპიონატის წინა ტურის მწვრთნელებად გია გეგუჩაძე და გია გურული დავასახელეთ. გურულის გაწვრთნილმა ბათუმის „დინამომ“ ქობულეთში “ზესტაფონი” ისტუმრა და დრამატულ შეხვედრაში ფრეს გამორჩა. „დინამო“ ჯერ იგებდა, შემდეგ “ზესტაფონმა” ორჯერ წაიყვანა ანგარიში, მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე კი ბათუმელებმა გამთანაბრებელი გოლი გაიტანეს.

გურულს რამდენიმე კითხვა დავუსვით და საკმაოდ საყურადღებო ფაქტები გვითხრა მსაჯობის საკითხზე...

**- ზოგადად როგორ შეაფასებდით “ზესტაფონთან” შეხვედრას?**

- ძალიან დაძაბული თამაში იყო, შედეგი ჩვენთვის ცუდი არ გამოდგა, თუმცა...ყველაზე კმაყოფილი ალბათ გულშემატკივარი დარჩა. გაგვიხარდა შეხვედრის მიწურულს რომ გავათანაბრეთ ანგარიში, ისეთი თამაში იყო, წაგებაც შეიძლებოდა და მოგებაც.

**- “ზესტაფონამდე” სტუმრად თბილისის “დინამოსთან” ითამაშეთ და 3:5 დამარცხდით, თუმცა თამაშის ხარისხი ალბათ ოპტიმიზმის საფუძველს გაძლევთ, აგერ “ზესტაფონთანაც” გამოავლინა თქვენმა გუნდმა ხასიათი და ბევრი გოლის გატანის უნარი...**

- ორ თამაშში ექვსი გოლი კი გავიტანეთ, მაგრამ მხოლოდ ერთი ქულა ავიღეთ, რაც საწყენია.

**- ბოლო დროს კვლავ აქტუალური გახდა მსაჯობის თემა...**

- ბოლნისში” სიონთან” რომ ვითამაშეთ, შეხვედრა კარგა ხნის დასრულებული იყო, ჩვენს ფეხბურთელ ნიკა ხუხიას წითელი ბარათი რომ გაუფორმეს.

**- ეს როგორ მოხდა?**

- მსაჯებმა სტადიონი დატოვეს და ფაქტობრივად გზაში გადაწყვიტეს, ხუხია წითელი ბარათით დაესაჯათ. გაბრაზებულმა წყლის ბოთლი მინდორზე დაანარცხა – ეს გააკეთა ხუხიამ და ამის გამო დასაჯეს წითელი ბარათით. ვფიქრობ, ასე არ შეიძლება, ფაქტზე რეაგირება ადგილზე უნდა მოხდეს და არა მაშინ, როცა სტადიონიდან შინ ბრუნდები. ამას ასე არ დავტოვებ, მატჩის ვიდეოჩანაწერიდან ამოვჭრით ამ ფრაგმენტს და ყველას დავანახვებთ, თუ მოხდა. უცხოეთშია ასეა: როცა მატჩის შემდეგ ოქმი იწერება, იქ ფიქსირდება ყველაფერი, თუ ეთანხმები, ხელს აწერ, თუ არადა, განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებ, ისე არ არის, რასა ცგინდა რომ ცაწერ ოქმში. გასაგებია, რომ მსაჯი გარკვეულწილად ხელშეუხებელია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უსამართლობაზე ხმა არ უნდა ამოვიღოთ. “ზესტაფონთან” მატჩის შემდეგ ჩემმა ფეხბურთელებმა ისიც კი მითხრეს, არბიტრი უწმაწური სიტყვებით გველაპარაკებოდაო. ვსვამ კითხვას: ასეთ დროს მსაჯი არ უნდა დაისაჯოს? გაკვირვებას იწვევს ის ფაქტიც, რომ არბიტრ სილაგავას მსაჯობა ორიანით შეაფასეს და მომდევნო ტურში ქართულ კლასიკოზე, “ტორპედო” – “დინამოზე” დანიშნეს...

**- ბათუმის „დინამოში“ ახალგაზრდა ფეხბურთელებიდან ნიკა დიასამიძე ერთ-ერთი გამორჩეულია, თუმცა ისე ჩანს, რომ სანაკრებოდ დიდად არ ენდობიან...**

- ჩემს მოვალეობაში შედის, რომ საქართველოს 19-წლამდელთა მწვრთნელებს ამ ფეხბურთელზე ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდო, დანარჩენი კახა კაჭარავას გადასაწყვეტია. კაჭარავა აკვირდება ამ ფეხბურთელს და ამის თაობაზე მეც მიკავშირდება.. ასე რომ, დიასამიძე ნაკრების მწვრთნელთაგან უყურადღებოდ არ არის დარჩენილი.

**- დიასამიძე თბილისის “დინამოსთან” ფაქტობრივად მარჯვენა მცველად გაამწესეთ, არადა ის ალბათ უფრო შემქმნელია, ვიდრე ჩამშლელი...**

- საქმე იმაშია, რომ “დინამოსთან” სამი მცველით ვითამაშეთ, ხოლო როცა თავს ვიცავდით, დიასამიძე მაშინ ასრულებდა დაცვით ფუნქციებს, ისე კი მარჯვენა ნახევარმცველად ითამაშა.

**- ლაპარაკი იყო ბათუმის „დინამოსთვის“ უკრაინელი სპონსორების მოზიდვაზე - რა ეტაპზეა ამ ჩანაფიქრის განხორციელება?**


გია გურული

- ახალი ჯერ არაფერია, ალბათ დეკემბრისთვის გაირკვევა ყველაფერი. მანამდე კი ბათუმის მუნიციპალიტეტს უნდა ვუმადლოდეთ, კლუბი რომ არსებობს.

**- თქვენი გუნდი არცთუ კარგ სიტუაციაშია, ბოლოდან მეორე ადგილზეა...**

- მართლაც არასახარბიელო მდგომარეობაში ვართ, კარგია, რომ გოლების გატანა დავიწყეთ, მაგრამ საქმე მხოლოდ ამით ვერ გამოსწორდება. იანვრამდე ფეხბურთელთა ამ კონტინგენტით მოგვიწევს ბრძოლა, მერე კი რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი უნდა დავიმატოთ, ისეთები, უმაღლეს ლიგაში რომ უთამაშიათ. ძალ-ღონეს არ დავიშურებთ სატურნირო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

**დავით თავართქილაძე**

პროფლიგა

# რა საკითხები წყდება პრემიერლიგის დაფუძნებამდე?

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში „12-თა საბჭოს“ მორიგი შეხვედრა გაიმართა. როგორც გვითხრეს, შეხვედრაზე პრემიერლიგის (პროფლიგის) დაფუძნებაზე არ ულაპარაკიათ.

შეხვედრის შემდეგ მედიასთან მხოლოდ ზოგადი განცხადებები გაკეთდა, მერე კი კლუბები თბილისის “დინამოს” დიღმის ბაზაზე შეიკრიბნენ და ლიგის დაფუძნებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

კონკრეტული არაფერი ითქვა. თუმცა, კულუარებში ლაპარაკობენ ფედერაციასა და პრემიერლიგის ინიციატორებს შორის არსებულ იმ მოსაგვარებელ საკითხებზე. მაგალითად, სახელმწიფოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფინანსება ეკრძალება. ფედერაციაში აინტერესებთ, როგორ ჩაურიცხავენ პრემიერლიგას თანხას ბიუჯეტიდან, ასეთი სურვილი რომც იყოს? პრემიერლიგა ხომ, სავარაუდოდ, სწორედ შპს-ს ფორმით ჩამოყალიბდება.

*“მიმაჩნია, რომ ფეხბურთი კერძო სექტორში უფრო წარმატებულია. რაც მეტი კერძო კლუბი გვეყოლება, ინიციატივები კი ბიზნესიდან წამოვა, სახელმწიფოსთვისაც უკეთესი იქნება და ჩვენი ფეხბურთისთვის. მაგრამ დაფინანსებას რაც შეეხება, გარდამავალ ეტაპზე ბევრი რამ არის შესაძლებელი. მაგრამ პრემიერლიგის იდეა რომ კარგია, ამაზე დიდი ხანია, სწორედ მე ვლაპარაკობ”*- გვითხა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რევაზ არველაძემ**.

კლუბებისგან მოწოდებული ინფორმაციით, ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია, მთავარია, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასა და პროფლიგის დამფუძნებლებს შორის დასრულდეს „ჭიდაობა“ იმ თანხაზე, რაც სახელმწიფომ ფეხბურთს უნდა მოახმაროს.



რევაზ არველაძე

ერთ-ერთი კლუბის წარმომადგენლის თქმით, ფედერაციამ სახელმწიფოსგან 2013 წლისთვის 7-8 მილიონი ლარი მოითხოვა – ასე ხდება ბოლო წლებში და ეს თანხა ნაკრები გუნდების შეკრებებს, თამაშებსა და ა.შ. ხმარდებოდა.

ამ დროს, ამტკიცებენ, თითქოს, ამ თანხიდან პრემიერლიგაზე მხოლოდ 500 ათასი ლარის გაცემას აპირებენ. კლუბებს ეს ხელს არ აძლევს და ვარაუდობენ, რომ უმაღლესი ლიგის მცირე საპრიზო ფონდი დაბალ ადგილზე გასულ კლუბებს სტიმულს მოუსპობს. მათ სურთ, რომ საპრიზო ფონდის ოდენობა 5 მილიონი ლარი მაინც იყოს, თითოეულ ადგილს ფასი რომ დაედოს, თანხა სამეულში მოხვედრილი კლუბების, თასის მფლობელისა და ფინალისტის გარდა, სხვებმაც რომ მიიღონ.

**მერაბ მამულაშვილი**

სიტუაცია

# გიორგი დემეტრაძე პოლიტპატიმრად გამოაცხადეს

გაზეთის სპეციფიკიდან გამომდინარე, “ლელო” პოლიტიკურ თემებს არ აშუქებს. მაგრამ ამჯერად, საკითხი საქართველოს ნაკრების ყოფილ თავდამსხმელს, **გიორგი დემეტრაძეს** უკავშირდება და ჩვენი ყურადღება ამიტომ მიიქცია.

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა 180 პირი პოლიტპატიმრად გამოაცხადა, 22 კი - პოლიტიკურ დევნილად. დემეტრაძე პოლიტიკურ პატიმართა შორის დასახელდა.

სავარაუდოდ, საქართველოს ნაკრების ყოფილ თავდამსხმელს, რომელიც გისოსებს მიღმა 2010 წლიდან იმყოფება, 23 ნოემბერს, გიორგობას ამნისტია შეეხება.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

პირველი ლიგა

A ჯგუფი. XIV ტური

| | |
|---|---|
| ჭიათურა – დინამო-2 | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 14 | 11 | 2 | 1 | 39-11 | 35 |
| 2. საសკო | 14 | 11 | 0 | 3 | 45-16 | 33 |
| 3. დინამო 2 | 14 | 9 | 3 | 2 | 53-20 | 30 |
| 4. გაგრა | 14 | 9 | 1 | 4 | 26-11 | 28 |
| 5. სტუ | 14 | 7 | 0 | 7 | 32-37 | 21 |
| 6. იმერეთი | 14 | 6 | 2 | 6 | 16-18 | 20 |
| 7. ძელა | 14 | 6 | 1 | 7 | 19-29 | 19 |
| 8. სძური | 14 | 4 | 5 | 5 | 14-20 | 17 |
| 9. ჭიათურა | 14 | 4 | 2 | 8 | 14-25 | 14 |
| 10. მეშახტე | 14 | 3 | 3 | 8 | 13-40 | 12 |
| 11. სულორი | 14 | 2 | 1 | 11 | 11-37 | 7 |
| 12. რაჭა | 14 | 1 | 2 | 11 | 14-32 | 5 |

B ჯგუფი

| | |
|---|---|
| სამტრედია – adeli | 4:0 |
| კოლხეთი (ხ) – ზოოვეტი | 2:0 |
| მერცხალი – სამგურალი | 0:0 |
| ლოკომოტივი – ლიახვი | 3:2 |
| შუქურა – სპარტაკი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 13 | 11 | 1 | 1 | 34-5 | 34 |
| 2. კოლხეთი (ხ) | 12 | 9 | 1 | 2 | 20-11 | 28 |
| 3. ლოკომოტივი | 13 | 7 | 3 | 3 | 33-14 | 24 |
| 4. შუქურა | 13 | 7 | 2 | 4 | 20-11 | 23 |
| 5. სამტრედია | 13 | 7 | 2 | 4 | 18-11 | 23 |
| 6. სამგურალი | 13 | 4 | 5 | 4 | 20-22 | 17 |
| 7. ზოოვეტი | 13 | 4 | 3 | 6 | 14-19 | 15 |
| 8. მერცხალი | 12 | 3 | 4 | 5 | 16-14 | 13 |
| 9. ლიახვი | 13 | 2 | 3 | 8 | 10-29 | 9 |
| 10. adeli | 13 | 2 | 0 | 11 | 15-38 | 6 |
| 11. ჩხერიმელა | 12 | 2 | 0 | 10 | 11-37 | 6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# გიორგი ყიფიანი: საქართველოს თასისთვის ბრძოლას ვაპირებთ

**რუსთავის "მეტალურგი", რომელიც წინა სეზონში საქართველოს ჩემპიონობისთვის იბრძოდა და ოქროს მედლებამდე მცირედი დააკლდა, მიმდინარე ჩემპიონატში არცთუ სახარბიელოდ ასპარეზობს. ქვემოქართლური კლუბი ამჟამად მეშვიდე ადგილზეა და მეექვსეადგილოსან "ზესტაფონს" მთელი რვა ქულით ჩამორჩება. ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულებამდე შვიდი ტურია დარჩენილი და ძნელად წარმოსადგენია, რუსთაველებმა საუკეთესო ექვსეულში მოხვედრა შეძლონ.**

**ამის მიუხედავად, თავისი გუნდის მომავალს ოპტიმისტურად უყურებს "მეტალურგის" მთავარი მწვრთნელი გიორგი ყიფიანი, რომელიც ამ თანამდებობაზე სეზონის მსვლელობისას დაინიშნა. იგი "ლელოს" რესპონდენტია.**

**- როგორ შეაფასებთ თქვენი გუნდის მიერ ჩატარებულ განვლილ მატჩებს?**

- თუ "დინამოსთან" შეხვედრას არ მივიღებთ მხედველობაში, სადაც "მეტალურგი" მართლაც არადამაჯერებლად გამოიყურებოდა, სხვა მატჩებში თავი საკმაოდ მაღალ დონეზე წარმოვაჩინეთ. სხვა საქმეა, რომ შედეგი ჯერ არ გვაქვს სასურველი, მაგრამ ჩემს გუნდს უკეთესობას თამაშიდან თამაშამდე ვატყობ და უმთავრესი სწორედ ეს არის. რამდენჯერმე ვიხილე "ტორპედო"-"მეტალურგის" შეხვედრის ვიდეოჩანაწერი და დავრწმუნდი, რომ ეს არ იყო წასაგები თამაში. მოხარული ვარ, რომ ფეხბურთელები დიდი შემართებით შრომობენ, მათ მოსწონთ ჩემთან მუშაობა და ყველაფერს აკეთებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

**- სატურნირო ვითარების ფონზე, გუნდის ფსიქოლოგიური მდგომარეობა როგორია?**

- შედეგებით არ ვართ კმაყოფილნი, მაგრამ საბედნიეროდ, ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ბიჭები ვერ დათრგუნა. მათ საკუთარი თავის რწმენა არ დაუკარგავთ და მჯერა, მალე იმ ფეხბურთს ითამაშებენ, რაც მათ პოტენციალს შეესაბამება.

**- როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია წინა სეზონში ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდის ასეთი ჩავარდნა?**

- ჩემგან ცოტა უხერხული იქნება იმაზე საუბარი, რა ხდებოდა "მეტალურგში" ჩემს მისვლამდე. გარკვეულწილად იყო უიღბლობის მომენტიც, გუნდმა მოსაგები თამაშები ვერ მოიგო და ამან წარუმატებელი მატჩების წყება გამოიწვია. ნებისმიერ შემთხვევაში დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს ჩავარდნა დროებითია.

**- რა ამოცანებით მიხვედით "მეტალურგში"?**

- მიზნად თითოეულ მატჩში გამარჯვებისთვის ბრძოლა დავისახეთ. კლუბის ხელმძღვანელობისგან დიდ ნდობას ვგრძნობ. ყველას კარგად გვესმის, რომ გუნდი სერიოზულ პროგრესს უცებ ვერ მიაღწევს. წინსვლას დრო სჭირდება და მაქვს იმის საშუალება, რომ დაძაბულობის გარეშე ვიმუშავო ამ ამოცანის განსახორციელებლად.

**- ზეექვსეულში მოხვედრის იმედი თუ დაგრჩათ?**

- სანამ ამის თეორიული შანსი გვაქვს, ფარ-ხმალს არ დავყრით და კონკურენტებთან ჩამორჩენის აღმოფხვრას შევეცდებით. თუმცა ამ მიზანს რომც ვერ მივაღწიოთ, ტრაგედია არ იქნება, ამ სეზონში ჩვენ სხვა ამოცანებიც გვაქვს გადასაჭრელი.

**- ალბათ, თასის გათამაშებას გულისხმობთ...**

- რა თქმა უნდა. საქართველოს თასისთვის ბრძოლას სერიოზულად ვაპირებთ. საამისოდ გუნდს გაძლიერება დასჭირდება და შესაბამის ნაბიჯებსაც გადავდგამთ. თუმცა მოტივაციას არც ჩემპიონატში დავკარგავთ და რაც შეიძლება მაღალი საფეხურის დასაკავებლად ვიბრძოლებთ.



გიორგი ყიფიანი

**- ზამთარში რა გეგმები გაქვთ?**

- უკვე გადაწყვეტილია, რომ ზამთრის მოსამზადებელ შეკრებას თურქეთში გავივლით, ახლა პოტენციურ სპარინგ-პარტნიორებთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს და ამ საკითხზეც მალე მივაღწევთ შეთანხმებას.

**- სავარაუდო ახალწვეულების ვინაობასაც ხომ არ გაგვიმხელთ?**

- რამდენიმე ფეხბურთელი უკვე შერჩეული გვყავს, თუმცა რაკი მათთან საბოლოო შეთანხმება ჯერ მიღწეული არ არის, დასახელებისგან თავს შევიკავებ. თუმცა "მეტალურგის" ახალწვეულების შესახებ ინფორმაციას სულ მალე შეიტყობთ.

**- რომელი პოზიციების გაძლიერებას გეგმავთ?**

- უპირველესად, იმას ვიტყვი, რომ "მეტალურგში" კონკურენციის ამჟამინდელი ხარისხი არ მაკმაყოფილებს. მინდა, უფრო მდიდარი არჩევანი მქონდეს და სწორედ ამიტომ ახალწვეული უფრო მეტი გვეყოლება, ვიდრე გუნდიდან წასული ფეხბურთელი. რაც შეეხება კონკრეტულ ამპლუებს, აუცილებლად დავიმატებთ მცველს, ცენტრალურ და მარჯვენა ნახევარმცველს და თავდამსხმელს, ან თავდამსხმელებს, საერთო ჯამში, ოთხ-ხუთ ძლიერ ფეხბურთელს.

**- მათ შორის ლეგიონერებიც ხომ არ იქნებიან?**

- ჩემთვის ფეხბურთელის ეროვნებას მნიშვნელობა არ აქვს და კვალიფიციურ ლეგიონერებს გუნდში სიამოვნებით ვიხილავდი, თუმცა, ჯერჯერობით, მოლაპარაკებებს მხოლოდ ქართველ მოთამაშეებთან ვაწარმოებთ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ დაახლოებით ერთ კვირაში "მეტალურგს" ახალი ტექნიკური სპონსორი ეყოლება და ჩვენი გუნდი ახალი დიზაინის ფორმებით შეიმოსება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ. ანდრეი შევჩენკო

# კალჩო მწვერვალზე ისევ დაბრუნდება

## ელ შაარავის შევჩენკოს ნუ ადარებთ, ამით მას თრგუნავთ, როგორც - მე, როცა ვან ბასტენს მადარებდით

**უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი ანდრეი შევჩენკოს შესთავაზა, თუმცა მისგან უარი მიიღო. მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა ფორვარდმა კარიერა ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე დაამთავრა და როგორც განაცხადა, მწვრთნელობაზე აუცილებლად იფიქრებს. ფიქრი არც აცალეს, უმალ შესთავაზეს ეროვნული გუნდის გაძღოლა, მაგრამ როგორც თვითონ თქვა, ამ ეტაპზე ეს მისთვის მეტად მძიმე ტვირთი იქნებოდა. 36 წლის ანდრეი რამდენიმე დღის წინ მილანში ჩავიდა და კლუბის ვიცე-პრეზიდენტთან შეხვედრა გამართა. იტალიურ სპორტულ პრესაში უმალ დაირხა ხმები, რომ შესაძლოა შევჩენკო "მილანის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ვიხილოთ. მართალია, ამ ხმებს საფუძვლად ბევრი არაფერი უდევს, მაგრამ მინიმუმ ჭორის დონეზე ნამდვილად აქვს არსებობის უფლება. ანდრეის "კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტი გაესაუბრა და საინტერესო ინტერვიუც შედგა...**

**- რა არის თქვენი მილანში ჩამოსვლის მიზეზი?**

- მილანი ჩემი მეორე მშობლიური ქალაქია და აქ ჩამოსვლისთვის მიზეზები ნამდვილად არ მჭირდება. საკუთარ სახლში მისასვლელად საბაბი გჭირდებათ?
- მგონი ყველაფერი გასაგებია. ისე კი, ბოლო ორი დღე მეტად ნაყოფიერად გავატარე, შევხვდი ძველ მეგობრებს და მათ შორის, ადრიანო გალიანის, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

**- ამბობენ, რომ "მილანის' მთავარი მწვრთნელის პოსტზე ერთ-ერთი კანდიდატი ხართ...**

- "მილანის" მთავარი მწვრთნელი მასიმილიანო ალეგრია და ჩემი ინფორმაციით, მის გათავისუფლებას არ აპირებენ. "მილანი" ჩემი მეორე ოჯახია, აქ სიამოვნებით ვიმუშავებდი, მაგრამ ახლო მომავალში ეს გამორიცხულია. სიმართლე გითხრათ, უახლოესი ორი წლის გეგმები უკვე დასახული მაქვს და იქ სამწვრთნელო საქმიანობის ადგილი უბრალოდ არ არის. ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს გახლდათ, რის გამოც უკრაინის ნაკრების გაწვრთნაზე უარი განვაცხადე.

**- საინტერესოა, რას აპირებთ უახლოეს ორ წელიწადში?**

- ჯერ მხოლოდ ვეგუები იმ აზრს, რომ ფეხბურთს აღარ ვთამაშობ და ყოველდღიურ საწვრთნელ რეჟიმში აღარ მიწევს ცხოვრება. ეს ცოტა უსიამოვნო პროცესია, რომელიც უნდა გადავლახო. თუმცა, დასვენება მჭირდება და სექტემბრამდე ძირითადად უკრაინაში, კიევში ვაპირებ ყოფნას. კარგად უნდა დავისვენო და ძალები სრულად აღვიდგინო. მომდევნო სეზონთან ერთად, ჩემი ახალი თავგადასავლებიც დაიწყება - ვაპირებ მოვიარო მთელი მსოფლიო და დავესწრო, რაც შეიძლება ბევრ საფეხბურთო მატჩს. მინდა ტრიბუნებიდან დავაკვირდე სპორტის უპირველეს სახეობას, უფრო კარგად შევისწავლო და გავაანალიზო. ამასთან, დავათვალიერო მსოფლიო, რაც ყოველთვის მინდოდა. მართალია, უამრავ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, მაგრამ საწვრთნელი ბაზების და სტადიონების მეტი არაფერი მინახავს. აი, ეს არის ჩემი გეგმები და სამწვრთნელო საქმიანობის შესახებ მხოლოდ ამ ყველაფრის შემდეგ თუ ვიფიქრებ.

**- კი, მაგრამ იმ პერიოდში თუ გექნებათ ასეთი შემოთავაზებები?**

- ჯერჯერობით მხოლოდ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციიდან მქონდა შემოთავაზება, რაზეც ნებისმიერ შემთხვევაში უარს ვიტყოდი. არანაირი სამწვრთნელო გამოცდილება არ მაქვს და ასეთ საპასუხისმგებლო საქმეს ვერ შევეჭიდებოდი. ნარუმატებელი ნაბიჯით სამწვრთნელი საქმიანობის დაწყება არ მსურს და შესაბამისად, ფედერაციის წინადადებაზე დათანხმება მეტისმეტად გაუაზრებელი ქმედება იქნებოდა.

**- კიდევ ვის შეხვდით ამ დღეებში?**

- ძალიან ბევრ მეგობარს, მათ შორის ყოფილ თანაგუნდელებს. ერთ-ერთ რესტორანში ძალიან სასიამოვნო საღამო გავატარეთ და ბევრი რამ გავიხსენეთ. ჩემთან ერთად იყვნენ პაოლო მალდინი, ფილიპო ინძაგი და იბრაჰიმ ბა, მათთან ახლო მეგობრობა მაკავშირებს. მილანი ის ქალაქია, სადაც არასდროს მოიწყენ. მალე "მილანელოს" ვესტუმრები, სადაც ასევე ბევრი მეგობარი დამხვდება.

**- "მილანის" თამაშს თუ ადევნებთ თვალს?**

- მიმდინარე სეზონში, "მილანის" არაერთი მატჩი ვნახე და ხშირ შემთხვევაში განბილებული დავრჩი. ძალიან საწყენია, რომ მსოფლიოს ყველაზე ტიტულოვანი გუნდი კრიზისშია, თუმცა დიდხანს ეს ვერ გაგრძელდება. ადრიანო გალიანის დიდწილად სწორედ არსებულ კრიზისზე ვესაუბრე და ჩემი აზრები გავაცანი. ვფიქრობ, არაა საჭირო რევოლუციური ნაბიჯების გადადგმა, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ზედმეტი აქტიურობა გუნდს კიდევ უფრო აჭრის. ამ "მილანს" აქვს პოტენციალი და დრო სჭირდება, რომ ეს დაგვანახვოს.

**- ამბობენ, რომ სტეფან ელ შაარავი ანდრეი შევჩენკოს ჰგავს...**

- ასეთ შედარებებს ყოველთვის ვერიდებოდი, რადგან ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის ეს უფრო ტვირთი შეიძლება იყოს, ვიდრე სტიმული. როდესაც "მილანში" მივედი, მარკო ვან ბასტენს მადარებდნენ, რაც უფრო მთრგუნავდა, ვიდრე პირიქით. ახალგაზრდა მოთამაშეს მშვიდად განვითარების საშუალება უნდა მივცეთ, ამას ჩემი გამოცდილებიდან ვამბობ. რაც შეეხება ელ შაარავის, ბრწყინვალე ფეხბურთელია, "მილანს" ნამდვილი ვარსკვლავი მოევლინა.

**- გახდება ელ შაარავი ჩემპიონატის ბომბარდირი?**

- მთავარია, რომ გოლები გააქვს და ბომბარდირობისთვის იბრძვის, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს. მე 23 წლის ასაკში გავხდი სერია A-ს მთავარი გოლეადორი, სტეფანი კი ჯერ მხოლოდ 20 წლისაა. ვფიქრობ, მას ყველაფერი წინ აქვს და ბომბარდირიც არაერთხელ გახდება. სამწუხაროდ, მისი თამაშისთვის ტრიბუნებიდან არ მიდევნებია თვალი და ამის გამოსწორებას უახლოეს მომავალში ვაპირებ. "ნაპოლი"-"მილანის" პაექრობას ტელევიზიით ვუყურე და ელ შაარავის თამაშით ძალიან ვისიამოვნე. მისი პირველი გოლი პატარა შედევრი გახლდათ.



ანდრეი შევჩენკომ კარიერის საუკეთესო წლები "მილანში" გაატარა

**- ვინ არის ფავორიტი სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში?**

- ორიგინალური არ ვიქნები თუ ვიტყვი, რომ "იუვენტუსი". ტურინული გრანდი ყველა რგოლში ძალიან ძლიერია და ბუნებრივია, რომ ნომერ პირველ ფავორიტად ითვლება. ბევრი ამბობს, რომ "ვეკია სენიორას" თავდასხმაში უჭირს, მაგრამ მე ასე არ ვიტყოდი. სებასტინ ჯოვინკოს და მირკო ვუჩინიჩს სიღრმიდან შესანიშნავად გამოსდით თამაში, დამაგვირგვინებელ ფაზაში კი ფაბიო კვალიარელა, ალესანდრო მატრი და ნიკლას ბენდტნერი თანაბრად სახიფათონი არიან. ალარაფერს ვამბობ მეკარეზე, ჯიჯი ბუფონი მსოფლიოში საუკეთესოა.

**- როგორ ხედავთ იტალიური ფეხბურთის მომავალს?**

- მიიჩნევენ, რომ იტალიური ფეხბურთი კრიზისშია, მაგრამ ასე მარტივად არ არის საქმე. "სკუადრა აძურა" ახლო წარსულში მსოფლიოს ჩემპიონი იყო, ევროპის უკანასკნელ ჩემპიონატზე კი ფინალში გავიდა. იტალიის ნაკრები ძირითადად სერია A-ს გუნდებიდან ივსება, რაც იმას ნიშნავს, რომ არც იტალიურ საკლუბო ფეხბურთს აქვს პატარა რესურსი. კარგია, რომ გუნდებში სულ უფრო მეტად ენდობიან ახალგაზრდა ფეხბურთელებს და ეს სტეფან ელ შაარავის მაგალითზეც მტკიცდება. ამ მიდგომით, კალჩო მალე დაბრუნდება მწვერვალზე.

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ოთხშაბათის მატჩების წინ

# გადამწყვეტი ბრძოლები სიკვდილის ჯგუფში

## ამსტერდამი დორტმუნდს ელის, მანჩინი – მოურინიოს



რობერტ ლევანდოვსკის (შუაში) და კომპანიას ამსტერდამში მძიმე ბრძოლა ელით

დღეს კიდევ რამდენიმე მერვედფინალისტის ვინაობა უნდა გაირკვეს. „სიკვდილის ჯგუფში“ დორტმუნდის „ბორუსიას“ ამსტერდამში ფრეც ჰყოფნის იმისათვის, რომ პლეი ოფში თამაში გაინაღდოს. „რეალი“ მანჩესტერში ჩადის. „სიტის“ თავკაც რობერტო მანჩინის ჯგუფიდან გასვლის იმედი აღარ აქვს, თუმცა სამეფო გუნდს ბრძოლას ჰპირდება. A ჯგუფიდან „პორტუს“ მერვედფინალში პსჟ უნდა მიჰყვეს. B ჯგუფში შედარებით ჩახლართული ვითარებაა, ხოლო C ჯგუფში „მილანისგან“ რაღაცას ველით...

### A ჯგუფი: მიჰყვება პსჟ პორტუს?

A ჯგუფში ერთ მერვედფინალისტის ვინაობა უკვე ცნობილია: „პორტუმ“ ჯგუფიდან გასვლა წინა ტურში გაინაღდა და პორტუგალიელებს შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ, თუმცა ახლა მათი მიზანი პირველი ადგილის შენარჩუნებაა, რაც საკმაოდ დიდი მიღწევა იქნებოდა იმის გათვალისწინებით, რომ ამ ჯგუფში პსჟ-ც ასპარეზობს. ფრანგულ გრანდს მერვედფინალის მეორე საგზურის მოპოვების საუკეთესო შანსი აქვს - მეტიც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ **კარლო ანჩელოტის** გუნდი ცალი ფეხით პლეი ოფშია. დღეს პარიზელები კიევის „დინამოს“ სტუმრობენ და ფრეც ჰყოფნით იმისათვის, რომ ჯგუფიდან გასვლა ოფიციალურად გაიფორმონ.

თავის მხრივ, ფრანგებიც ფიქრობენ პირველი ადგილის დაკავებაზე და რაკი ბოლო ტურში „პორტუს“ უნდა უმასპინძლონ, ამის მშვენიერი შანსიც აქვთ, თუმცა მანამდე მერვედფინალში თამაში აქვთ გასანაღდებელი. ანჩელოტის მთავარი იმედი დღეს, რა თქმა უნდა, **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** იქნება, რომლის გარეშე პსჟ-ს არაფერი გამოსდის ხოლმე. გასულ უქმეებზე პსჟ საფრანგეთის ჩემპიონატში „რენთან“ დამარცხდა და იმ მატჩში შვედმა გოლეადორმა დისკვალიფიკაციის გამო ვერ იასპარეზა. საინტერესოა ისიც, რომ „რენი“ მთელი 40 წუთის მანძილზე 9 კაცით (!) თამაშობდა.

რაც შეეხება „პორტუსა“ და ზაგრების „დინამოს“ მატჩს: პორტუგალიელები ალბათ უპრობლემოდ მოიგებენ. ხორვატიის ჩემპიონის მიზანი კი თუნდაც ერთი გოლის გატანაა...

### B ჯგუფი: ბერძნები შალკეს ემუქრებიან

*„ახლა უკეთ ვართ მომზადებულები და თანაც, გაცილებით უკეთეს ფორმაშიც ვიმყოფებით,“* - თქვა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „ოლიმპიაკოსის“ ფეხბურთელმა **ფუსტერმა**. ბერძნულმა კლუბმა პირველ ტურში „შალკესთან“ 1:2 წააგო, დღეს კი გელზენკირხენში ითამაშებს. „ოლიმპიაკოსს“ მერვედფინალში გასვლის შანსი აქვს და ამისათვის „შალკეს“ სტუმრად დამარცხება სჭირდება.

თავის მხრივ, მხოლოდ მოგებაზე ფიქრობენ გელზენკირხენელებიც. მათი თავკაცი **ჰუუბ სტევენსი** კი თავისი შეგირდებისგან ბუნდესლიგაში განცდილი მარცხისთვის (0:2 „ლევერკუზენთან“) ჯეროვან რეაქციას ელოდება. მართალია, იმ თამაშის შემდეგ „შალკეს“ ჰოლანდიელმა თავკაცმა თქვა, უფლება რომ მქონოდა, ცხრა ფეხბურთელს შევცვლიდიო, მაგრამ დღეს ძირითად შემადგენლობაში ბევრს ვერაფერს შეცვლის, რადგან **აფელაი**, **ჰიოგერი** და **უჩიდა** ტრავმირებულები არიან. გამარჯვების შემთხვევაში „შალკე“ მერვედფინალის საგზურს გაინაღდებს.

პარალელურ მატჩში „არსენალი“ საფრანგეთის შერცხვენილ ჩემპიონ „მონპელიეს“ მასპინძლობს. გასულ უქმეებზე ლონდონელებმა „ტოტენჰემთან“ დერბი დამაჯერებლად (5:2) მოიგეს. **არსენ ვენგერის** ბიჭები მერვედფინალის საგზურს მხოლოდ გამარჯვებით გაინაღდებენ და ისიც მაშინ, თუ „შალკე“ „ოლიმპიაკოსს“ დაამარცხებს. ყველა სხვა შემთხვევაში ლონდონელებს მშვიდი ძილი ბოლო ტურამდე არ უწერიათ.

### C ჯგუფი: მალაგა დამკაშია, რას იზამს მილანი?

C ჯგუფში მოვლენები ყველასათვის მოულოდნელად განვითარდა. 4 ტურის შემდეგ „მალაგა“, რომელსაც საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვასაც კი არ უწინასწარმეტყველებდნენ, მერვედფინალშია! „მილანს“ ოთხი თამაშის შემდეგ მხოლოდ ხუთი აქვს და მიუხედავად ამისა, მაინც მეორე ადგილზეა. ამასთან, ჯგუფური ეტაპის ფინიშამდე ორი ტურია დარჩენილი და ჯგუფიდან გასვლის შანსი ჯერ კიდევ აქვთ როგორც „ანდერლეხტს“ (4 ქულა), ისე „ზენიტსაც“ (3).

ფაქტია, რომ „მილანს“ ბელგიაში იოლი გასეირნება არ ელის - შეგახსენებთ, პირველი მატჩი „სან სიროზე“ 0:0 დასრულდა. რთული, მეტიც, ურთულესი შეხვედრა ელის „მალაგას“ და წესით, ესპანელებმა სანკტ პეტერბურგში ბრძოლით „თავი არ უნდა მოიკლან“, რადგან არა მარტო მერვედფინალის საგზური, არამედ ჯგუფში პირველი ადგილიც თითქმის განაღდებული აქვთ. თავის მხრივ, **ლუჩანო სპალეტის** გუნდს მხოლოდ მოგება უნდა.

### D ჯგუფი: მანჩინიმ იმედი დაკარგა

4 ტურის შემდეგ სიკვდილის ჯგუფს სათავეში გერმანიის ჩემპიონი უდგას - დორტმუნდის „ბორუსია“, რომელიც შარშან ჩემპიონთა ლიგაში შერცხვა, წელს კი მთელი საფეხბურთო ევროპა აალაპარაკა - მათ შორის მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონი **ჯუზეპე ბერგომიც**, რომელმაც „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა, ჩემპიონთა ლიგაში ჯერჯერობით ყველაზე ლამაზ ფეხბურთს „დორტმუნდი“ და დონეცკის „შახტარი“ თამაშობს, გერმანიის ჩემპიონს აშკარად ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლიაო.

დორტმუნდელებმა „აიაქსი“ (1:0) და „რეალი“ (2:1) დაამარცხეს, დანარჩენი ორი შეხვედრა კი (მანჩესტერსა და მადრიდში) ფრედ დაასრულეს. საკმარისია, **იურგენ კლოპის** გუნდმა ამსტერდამში ფრეს მიაღწიოს, რომ მერვედფინალის საგზურს გაიფორმებს.

*„ეს იოლი არ იქნება. „აიაქსი“ ძალიან ძლიერი გუნდია, რაც ამსტერდამელებმა არაერთხელ დაამტკიცეს. ამ შეხვედრაში მაქსიმალური კონცენტრაციით თამაშია საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, სერიოზულ საფრთხეში ჩავიგდოთ თავი,“* - თქვა გუშინ „ბორუსიას“ სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმა**.

დორტმუნდელებს, რომლებმაც შაბათს „ფიურტი“ იოლად და ძალების ზედმეტი დახარჯვის გარეშე დაამარცხეს (3:1), **იაკუბ ბლაშჩიკოვსკი** გამოუჯანმრთელდათ, „აიაქსს“ კი **რაიან ბაბელი** დაუშავდა.

„მანჩესტერ სიტის“ ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსი შერჩა, რომლის შენარჩუნებისთვის ინგლისელებს დღეს „რეალის“ დამარცხება სჭირდებათ, მაგრამ ამ შანსის თავად „სიტის“ თავკაც **რობერტო მანჩინისაც** კი აღარ სჯერა.

*„მერვედფინალში გასვლის იმედი დავკარგე, თუმცა ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ „რეალი“ დავამარცხოთ,“* - თქვა გუშინ მანჩინიმ. თუმცა ის და მისი შეგირდები კარგ ხასიათზე არიან, რადგან „ასტონ ვილა“ 5:0 გაანადგურეს და პრემიერლიგაში ლიდერობა დაიბრუნეს. სხვათა შორის, ლა ლიგაში ხუთი გოლი გაიტანა „რეალმაც“ - „სამეფო გუნდის“ მსხვერპლი ამჯერად ბილბაოს „ატლეტიკი“ იყო.

**გოტფრიდ ლენცი**



რობერტო მანჩინი და ჟოზე მოურინიო

## A ჯგუფი

**დინამო (კ)–პსჟ 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**დინამო /კ/ (4-2-3-1):** კოვალი - დანილო, მიხალიკი, ხაჩერიდი, ტაიო - გარმაში, მიგელ ველოზო - იარმოლენკო, კრანჩარი, გუსევი - იდეიე.

**პსჟ (4-3-2-1):** სირიგუ - ვან დერ ვილი, ალექსი, ტიაგო სილვა, მაქსველი - შანტომი, ვერატი, მატუიდი - პასტორე, ლავეცი - იბრაჰიმოვიჩი.

**არბიტრი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

**პორტუ–დინამო (ზ) 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პორტუ (4-3-3):** ელტონი - დანილო, ოტამენდი, მანგალა, ალექს სანდრო - ჟოაო მოუტინიო, დეფური, ლუჩო - ვარელა, მარტინესი, როდრიგესი.

**დინამო /ზ/ (4-4-1-1):** კელავა - ვრსალკო, შიმუნიჩი, ტონელი, იბანიესი - კარასკო, კალელო, ბროზოვიჩი, პივარიჩი - სამირი - კოპი.

**არბიტრი:** პაოლო ტალიავენტო (იტალია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 4 | 3 | 1 | 0 | 6-2 | 10 |
| 2. პსჟ | 4 | 3 | 0 | 1 | 10-2 | 9 |
| 3. დინამო (კ) | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| 4. დინამო (ზ) | 4 | 0 | 0 | 4 | 0-10 | 0 |

## B ჯგუფი

**შალკე–ოლიმპიაკოსი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**შალკე (4-2-3-1):** უნერშტალი - ჰიოვედესი, პაპადოპულოსი, მატიპი, ფუხსი - ჯონსი, ნოიშტედტერი - ფარფანი, ჰოლტბი, დრაქსლერი - ჰუნტელაარი.

**ოლიმპიაკოსი (4-2-3-1):** კეროლი - ტოროსიდისი, კონტრერასი, მანოლასი, ჰოლებასი - მანიატისი, მოდესტო - აბდუნი, დავიდ ფუსტერი, პაულო მაჩადო - მიტროღლუ.

**არბიტრი:** ბიორნ კუიპერსი (ჰოლანდია)

**არსენალი–მონპელიე 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**არსენალი (4-3-3):** შჩესნი - სანია, მერტეზაკერი, კოშელნი, ვერმაელენი - არტეტა, კასორლა, უილშირი - უოლკოტი, ჟირუ, პოდოლსკი.

**მონპელიე (4-4-2):** ჟურდენი - კონგრე, იანგა-მბივა, ელ კაუტარი, ბედიმო - კაბელა, ესტრადა, ბელჰანდა, საიი - შარბონიე, კამარა.

**არბიტრი:** ფირატ აიდინუსი (თურქეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 4 | 2 | 2 | 0 | 8-5 | 8 |
| 2. არსენალი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-6 | 7 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 4 | 2 | 0 | 2 | 7-7 | 6 |
| 4. მონპელიე | 4 | 0 | 1 | 3 | 5-9 | 1 |

## C ჯგუფი

**ზენიტი–მალაგა 21:00**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ზენიტი (4-3-3):** მალაფეევი - ანიუკოვი, ჰუბოკანი, ალვეში, იანბაევი - ვიტსელი, დენისოვი, შიროკოვი - ბისტროვი, კერჟაკოვი, ჰალკი.

**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო - გამესი, დემიკელისი, ველიგტონი, ელიზეუ - ტულალანი, კამაჩო - პორტილიო, ისკო, დუდა - სანტა კრუსი.

**არბიტრი:** ოლეგარიო ბენკერენშა (პორტუგალია)

**ანდერლეხტი–მილანი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ანდერლეხტი (4-2-3-1):** პროტო - ჟილე, კოუიატე, ნუიტინკი, საფარი - ბილია, კლიესტანი - ბრუნო, პრო, იოვანოვიჩი - მბოკანი.

**მილანი (4-3-3):** აბიატი - აბატე, ბონერა, მექსე, კონსტანტი - დე იონგი, კ.-პ. ბოატენგი, მონტოლივო - პატო, ელ შაარავი, ემანუელსონი.

**არბიტრი:** დამირ სკომინა (სლოვენია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალაგა | 4 | 3 | 1 | 0 | 8-1 | 10 |
| 2. მილანი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 3. ანდერლეხტი | 4 | 1 | 1 | 2 | 1-4 | 4 |
| 4. ზენიტი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |

## D ჯგუფი

**მანჩესტერ სიტი–რეალი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მანჩესტერ სიტი (4-4-2):** ჰარტი - საბალეტა, კომპანი, ნასტასიჩი, კოლაროვი - ნასრი, იაია ტურე, ბერი, სილვა - ტევესი, აგუერო.

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, სერხიო რამოსი, პეპე, ფაბიო კოენტრაო - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია, იოზილი, რონალდო - ბენზემა.

**არბიტრი:** ჯანლუკა როკი (იტალია)

**აიაქსი–ბორუსია (დ) 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**აიაქსი (4-3-3):** ვერმეერი - ვან რინი, ალდერვეირელდი, მოისანდერი, ბლინდი - დე იონგი, კ. პოულსენი, შიონე - ბუირიტგერი, ერიკსენი, ფიშერი.

**ბორუსია /დ/ (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - ს. ბენდერი, გიუნდოგანი - ბლაშჩიკოვსკი, გიოტცე, როისი - ლევანდოვსკი.

**არბიტრი:** პედრო პროენსა (პორტუგალია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 4 | 2 | 2 | 0 | 6-4 | 8 |
| 2. რეალი | 4 | 2 | 1 | 1 | 10-7 | 7 |
| 3. აიაქსი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-8 | 4 |
| 4. მანჩესტერ სიტი | 4 | 0 | 2 | 2 | 6-9 | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

● არგენტინა. ტორნეო ინისიალი. XVI ტური


სანტიაგო სილვამ გოლი არ იზეიმა

## ველესი და ნიუელსი დამარცხდნენ

### ლანუსმა კი ზედიზედ მეშვიდე თამაში მოიგო

მე-16 ტურის შემდეგ, ტორნეო ინისიალში მდგომარეობა უკიდურესად.დაიძაბა, ეს ყველაფერი კი უპირველესად ლიდერთა ცუდმა თამაშმა გამოიწვია.

**სან ლორენსო–ატლ. რაფაელა 1:0**

გოლი: 1:0 სტრაკვალურსი (26).

**ესტუდიანტესი–ინდეპენდიენტე 2:0**

გოლები: 1:0 დ. საპატა (30), 2:0 კარილიო (76-პენ).

**არსენალი–გოდოი კრუსი 3:0**

გოლები: 1:0 სელაია (6), 2:0 კაფა (77), 3:0 სელაია (81).

**სან მარტინი–ტიგრე 2:2**

**გოლები**: 1:0 ოსორიო ბოტელიო (17), 2:0 კაპრარი (43), 2:1 ს. გონსალესი (66), 2:2 ეჩევერია (69).

**კოლონი–უნიონი 2:0**

**გოლები**: 1:0 მუგნი (45), 2:0 ჟიგლიოტი (71).

**ველესი–ბოკა 0:1**

**გოლი**: 0:1 ს. სილვა (31).

**ნიუელსი–ოლ ბოისი 1:2**

**გოლები**: 0:1 ფერარი (12), 0:2 მატოსი (75-პენ), 1:2 პ. პერესი (90).

**ბელგრანო–ლანუსი 0:2**

**გოლები**: 0:1 გ. პისარო (1), 0:2 დ. გონსალესი (90).

**რასინგი–კილმესი 4:0**

**გოლები**: 1:0 სენტურიონი (33), 2:0 ფარინია (40), 3:0 ფარინია (67), 4:0 პერეს გედესი (85).

**რივერი–არ. ხუნიორსი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლანუსი | 16 | 10 | 2 | 4 | 23-9 | 32 |
| 2. ველესი | 16 | 10 | 2 | 4 | 24-12 | 32 |
| 3. რასინგი | 16 | 8 | 5 | 3 | 21-7 | 29 |
| 4. ნიუელსი | 16 | 7 | 8 | 1 | 15-8 | 29 |
| 5. ბოკა ხუნიორსი | 16 | 7 | 6 | 3 | 20-17 | 27 |
| 6. ბელგრანო | 15 | 7 | 5 | 3 | 17-11 | 26 |
| 7. ესტუდიანტესი | 16 | 7 | 3 | 6 | 17-15 | 24 |
| 8. რივერ პლეიტი | 16 | 5 | 7 | 4 | 23-14 | 22 |
| 9. კოლონი | 16 | 5 | 7 | 4 | 21-19 | 22 |
| 10. არსენალი | 16 | 6 | 4 | 6 | 15-21 | 22 |
| 11. ოლ ბოისი | 16 | 5 | 6 | 5 | 18-21 | 21 |
| 12. სან ლორენსო | 16 | 4 | 7 | 5 | 16-18 | 19 |
| 13. არ. ხუნიორსი | 16 | 4 | 7 | 5 | 16-21 | 19 |
| 14. გოდოი კრუსი | 16 | 5 | 4 | 7 | 12-20 | 19 |
| 15. ატლ. რაფაელა | 16 | 4 | 5 | 7 | 18-22 | 17 |
| 16. კილმესი | 16 | 3 | 8 | 5 | 15-21 | 17 |
| 17. სან მარტინი | 16 | 4 | 4 | 8 | 20-22 | 16 |
| 18. ინდეპენდიენტე | 14 | 3 | 5 | 6 | 9-15 | 14 |
| 19. ტიგრე | 15 | 0 | 8 | 7 | 13-25 | 8 |
| 20. უნიონი | 16 | 0 | 5 | 11 | 13-28 | 5 |

**ბომბარდირები**: 9 – სკოკო (ნიუელს ოლდ ბოისი); 8 – ფ. ფერეირა (ველეს სარსფილდი); 7 – კაუტერუჩიო (კილმესი).

**სარელეგაციო ცხრილი**

| | თ | ქ | საშ. |
|---|---|---|---|
| 15. ატლ. რაფაელა | 54 | 67 | 1,241 |
| 16. სან ლორენსო | 92 | 110 | 1,196 |
| 17. სან მარტინი | 54 | 64 | 1,185 |
| 18. ინდეპენდიენტე | 90 | 104 | 1,156 |
| 19. კილმესი | 16 | 17 | 1,063 |
| 20. უნიონი | 54 | 55 | 1,019 |

**ლიბერტადორესის თასის საგზური**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ველესი | 35 | 19 | 8 | 8 | 50-26 | 65 |
| 2. ნიუელსი | 35 | 16 | 13 | 6 | 41-27 | 61 |
| 3. ბოკა ხუნიორსი | 35 | 16 | 12 | 7 | 50-37 | 60 |
| 4. არსენალი | 35 | 17 | 9 | 9 | 45-36 | 60 |
| 5. ლანუსი | 35 | 17 | 7 | 11 | 42-27 | 58 |
| 6. ოლ ბოისი | 35 | 14 | 12 | 9 | 39-34 | 54 |

"ველეს სარსფილდმა" "ბოკა ხუნიორსს" უმასპინძლა და მინიმალური ანგარიშით წააგო. მატჩის ერთადერთი გოლი ყოფილმა ველესელმა **სანტიაგო სილვამ** გაიტანა. მასპინძლებს არაერთი გოლის გატანა შეეძლოთ, მაგრამ ამ დღეს ფატალურად არ უმართლებდა **ფაკუნდო ფერეირას**, რომელმაც ორი საოცარი მომენტი ვერ გამოიყენა – ჯერ **ორიონის** მიერ მოგერიებულ ბურთს 5 მეტრიდან დაამატა და ცარიელ კარს სასწაულებრივად ააცილა, რასაც რამდენიმე წუთში, ასე 5-6 მეტრიდან მიწაზე დაუშვებლად დარტყმა მოაყოლა, რომელიც კვლავ არაზუსტი იყო.

სენსაციური მარცხი განიცადა "ნიუელს ოლდ ბოისმა", რომლისთვისაც ეს ამ ჩემპიონატში პირველი წაგება იყო. ნამდვილად ვერავინ წარმოიდგენდა, რომ "ოლ ბოისი" მასპინძლებს სერიოზულ პრობლემას შეუქმნიდა, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ პრობლემა კი არ შეუქმნა, არამედ როსარიოდან 3 ქულაც კი წაიღო. **ხერარდო მარტინოს** გუნდმა აშკარად მოუკლო – "ნიულსს" უკვე ოთხი ტურია არ მოუგია.

ლიდერების ფეხის დაცდენით ძალიან კარგად ისარგებლა "ლანუსმა", რომელსაც "ბელგრანოსთან" უმნიშვნელოვანესი მატჩი ჰქონდა. შეხვედრის წინ ორივე გუნდი ჩემპიონატის პოტენციური ლიდერი იყო, ამიტომ ფრე არც ერთს აძლევდა ხელს. მატჩი სტუმრებისთვის იდეალურად დაიწყო და ანგარიში უკვე 25-ე წამზე გაიხსნა – გოლი **გვიდო პისარომ** გაიტანა. ბევრი საგოლე მომენტის მიუხედავად, მეორე ბურთი მხოლოდ 90-ე წუთზე გავიდა და ისიც სტუმრებმა გაიტანეს – თავი შეცვლაზე შემოსულმა **დიეგო გონსალესმა** გამოიჩინა. ამ მოგების წყალობით "ლანუსი" ქულებით "ველესს" წამოეწია და ახლა ტორნეო ინისიალს ორი ლიდერი ჰყავს.

ტურნირში გამარჯვების ამბიცია "რასინგსაც" გაუჩნდა, რომელმაც "კილმესი" გაანადგურა და 29 ქულა მოაგროვა. აველიანიდელების რიგებში საუკეთესოები 19 წლის **ადრიან სენტურიონი** (გოლი და საგოლე პასი) და 21 წლის **ლუის ფარინია** (დუბლი) იყვნენ.

დღეს, სარელეგაციო ცხრილთან ერთად, 2013 წლის კოპა ლიბერტადორესის საგზურების გამნაწილებელ ცხრილსაც შემოგთავაზებთ. არგენტინიდან ამ ტურნირზე 5 გუნდი იასპარეზებს, რომელთაგანაც ორი უკვე ცნობილია. "არსენალი", როგორც 2012 წლის კლაუსურას ჩემპიონი და "ტიგრე", როგორც კოპა სუდამერიკანაზე ყველაზე წარმატებული არგენტინული გუნდი, მომავალი წლის ლიბერტადორესის თასზე ითამაშებენ. დანარჩენ 3 საგზურს კი მიიღებენ: ტორნეო ინისიალის გამარჯვებული და ორი ჩემპიონატის ჯამში (2012 წლის კლაუსურა და ტორნეო ინისიალი) ყველაზე მეტი ქულის მომგროვებელი ორი გუნდი.

როგორც ხედავთ, 3 საგზურისთვის 6 გუნდი იბრძვის – 5 კლუბი, რომელსაც ცხრილში ხედავთ ("არსენალს" საგზური მოპოვებული აქვს) და "რასინგი", ვისაც ტორნეო ინისიალის მოგების შანსი აქვს.

● სავარაუდო ტრანსფერი

## ბექჰემი გელექსიდან მიდის

**დევიდ ბექჰემის** კარიერის ამერიკული ეტაპი პირველ დეკემბერს, MLS-ის ფინალის შემდეგ დასრულდება, თუმცა ინგლისელი ფეხბურთის თამაშს ჯერ კიდევ აპირებს. 37 წლის ბექჰემმა "ემ-ელ-ეს"-ის ოფიციალურ საიტს შემდეგი რამ განუცხადა: *"მე "გელექსიში" შესანიშნავი პერიოდი გავატარე, მაგრამ მოთამაშის კარიერის დასრულებამდე, კიდევ ერთი გამოწვევის მიღება მსურს და მხოლოდ შემდეგ ჩამოვკიდებ ბუცებს ლურსმანზე"*.

ბექჰემს არ დაუკონკრეტებია, თუ რა გამოწვევაზე ლაპარაკობდა, მაგრამ ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციამ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს მათ "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი მოთამაშის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ და დევიდის ავსტრალიის ლიგაში თამაშის სურვილი დააფიქსირეს, თუმცა ინგლისელის პრესატაშემ ეს ცნობა უარყო და მას ტყუილი უწოდა.

დევიდ ბექჰემი, რომელთანაც ასოცირდებოდა MLS-ის ბოლოდროინდელი წარმატებები, "გელექსის" რიგებში თავის უკანასკნელ შეხვედრას "ჰიუსტონ დინამოსთან" გამართავს. შეგახსენებთ, რომ ეს გუნდები ერთმანეთს შარშანაც ფინალში შეხვდნენ და მაშინ "გელექსიმ" 1:0 მოიგო (**დონოვანი**), დევიდმა კი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ამერიკული ტიტული მოიპოვა.



**ბექჰემის ამერიკული დოსიე**

სეზონი MLS-ში: 6 (2007-2012)
მატჩები რეგულარულ სეზონში: 98 (შესაძლო 176-დან).
გოლები რეგულარულ სეზონში: 15.
საგოლე გადაცემები რეგულარ სეზონში: 40.
მატჩები პლეი ოფში: 18; გოლები პლეი ოფში: 0.
საგოლე გადაცემები პლეი ოფში: 8
ყველაზე მეტი გოლი ერთ სეზონში: 7 (2012).
ყველაზე მეტი საგოლე პასი ერთ სეზონში: 15 (2011).
სეზონის სიმბოლური ნაკრების წევრი: 1 (2011)

● ბრაზილია

## ჟარდელს გრემიოში თამაში სურს


ჟარდელი

**მიუხედავად** იმისა, რომ 39 წლის არის და ოფიციალურ მატჩში 2010 წლის შემდეგ არ უთამაშია, **მარიო ჟარდელმა** მომავალ სეზონში "გრემიოში" თამაშის სურვილი გამოთქვა. "პორტუს", "გალათასარაის" და "ბოლტონის" ყოფილ ფორვარდს მიაჩნია, რომ მას შეუძლია დაეხმაროს პორტუ ალეგრის გუნდს მომავალ წელს, რომელიც "გრემიოსთვის" მოვლენებით დატვირთული უნდა გამოდგეს.

*"მომავალ წელს "გრემიო" ლიბერტადორესის თასზე ითამაშებს და ბევრი მატჩის ჩატარება მოუწევს. ვფიქრობ გუნდს გამოვადგები"* – განუცხადა ჟარდელმა "გლობოს". მისი თქმით, ის რამდენიმე დღეში "გრემიოს" პრეზიდენტს, **ფაბიო კოფს** გაესაუბრება და საკუთარ სამსახურს შესთავაზებს.

ბრაზილიელმა ფორვარდმა "გრემიოში" ერთი სეზონი (1995-96) გაატარა, რომელიც ძალიან წარმატებული იყო. გარდა იმისა, რომ გუნდმა მოიგო ლიბერტადორესის თასი (1995), თავად ჟარდელი იყო უალრესად პროდუქტიული – 22 წლის ფეხბურთელმა 42 შეხვედრაში 31 გოლი გაიტანა. სწორედ ამ წარმატებული ასპარეზობის შემდეგ წავიდა ის "პორტუში", სადაც უკვე მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. პორტუგალიის ჩემპიონატში ჟარდელმა 130 გოლი გაიტანა (125 შეხვედრაში) და საუკეთესო ბომბარდირის პრიზი 5-ჯერ მოიგო.

ჟარდელის ბოლო სერიოზული კლუბი "ბოლტონი" იყო, სადაც ლისაბონის "სპორტინგიდან" გადავიდა და 2003-04 წლების სეზონში მხოლოდ 7 შეხვედრაში ითამაშა (0 გოლი). ამის შემდეგ მან უამრავი კლუბი მოიარა, ბოლო პროფესიონალური გუნდი კი ბულგარული "ჩერნო მორე" იყო.

ისევ ჟარდელი: *"სირთულეების გადალახვას ყოველთვის ვახერხებდი. ვამაყობ იმით, რომ რონალდომ სილარიბის წინააღმდეგ დაგეგმილ მატჩში მიმიწვია (19 დეკემბერს, პორტუ ალეგრიში). მე კარგ ღვინოსავით ვარ - რაც უფრო ძველი, მით უკეთესი"*.

● ვარსკვლავი



## რონალდინიო ატლეტიკოდან წასვლას არ აპირებს

**რონალდინიოს** აგენტმა და ძმამ, **რობერტო ასისმა** განაცხადა, რომ 32 წლის ფეხბურთელი "ატლეტიკო მინეიროდან" წასვლას არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ "გაუჩოს" მიმართ ინტერესს "სანტოსი" და "ფლუმინენსე" იჩენენ.

*"ის აქ თავს ძალიან კარგად გრძნობს. მისი და "ატლეტიკოს" კავშირი ბედნიერ ქორწინებასავით არის. მართალია, კონტრაქტი წლის ბოლოს იწურება და ჯერ ახალი არ გაგვიფორმებია, მაგრამ ამას მოევლება და არა მგონია ამ კუთხით რაიმე პრობლემა შეიქმნას. ახლა ამის დრო არც არის, რადგან სეზონის დასრულებამდე სულ რამდენიმე მატჩი დარჩა და მთავარი სწორედ ამ შეხვედრებზე კონცენტრირებაა"* – განუცხადა რობერტო ასისმა "გლობოს".

● აღიარება

## დემპსი აშშ-ის წლის საუკეთესო მოთამაშეა

**კლინტ დემპსი** აშშ-ის წლის საუკეთესო ფეხბურთელად ზედიზედ მეორედ დაასახელეს, სულ კი "ტოტენჰემის" ფეხბურთელმა ეს პრიზი მესამედ მოიგო. ეს ტიტული ამერიკელ ფეხბურთელებს 1984 წლიდან გადაეცემათ და მას შემდეგ, ზედიზედ ორჯერ მოგება მხოლოდ **ლენდონ დონოვანმა** და დემპსიმ მოახერხეს.

სამი გამარჯვებით "ფულჰემის" ყოფილი ფეხბურთელი **კეისი კელერს** (1997, 1999, 2005) გაუთანაბრდა და მხოლოდ იმავე დონოვანს ჩამორჩება, რომელიც წლის საუკეთესო ფეხბურთელად 4-ჯერ დაასახელეს (2003, 2004, 2009, 2010).

29 წლის დემპსი "ტოტენჰემში" 31 აგვისტოს გადავიდა და ახალ კლუბში ორი გოლის გატანაც მოასწრო, თუმცა ამაზე მნიშვნელოვანი, აშშ-ის საფეხბურთო ნაკრებში მისი გამოსვლა იყო, სადაც მან 2012 წელს 6 გოლი გაიტანა (9 მატჩში) და **იურგენ კლინსმანის** გუნდს კონკაკაფის ზონის შესარჩევი ეტაპის ფინალური ჯგუფის საგზური მოუტანა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**


კლინტ დემპსი



● მოსაზრება

# ფერგის ერთადერთი რეალური მემკვიდრე

**ბრიტანული "სანის" ფურცლებზე ჰარი რედნაპმა თავისი მოსაზრებები შემოგვთავაზა "მანჩესტერ იუნაიტედის" მომავალი მთავარი მწვრთნელის შესახებ. ყველას თავისი ფავორიტი ჰყავდა ან ჰყავს, ვნახოთ, ვინ არის რედნაპის რჩეული...**

ამ კვირაში ჟოზე მოურინიო ინგლისში ბრუნდება. "რეალს" "მანჩესტერ სიტისთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩი ელის. ჟოზეს დიდი თაყვანისმცემელი ვარ და იმედია, ამ მატჩზე ბილეთს ვიშოვი.

საიდუმლო არავისთვის არის, რომ ჟოზეს პრემიერლიგაში სამუშაოდ დაბრუნება სურს. არ გამიკვირდება, თუკი ის ერთ დღეს თავს მანჩესტერში ამოყოფს. მგონია, რომ მოუ "იუნაიტედს" ჩაიბარებს და არა "სიტის". როცა ალექს ფერგიუსონი კარიერას დაასრულებს, მისი მემკვიდრეობის არცთუ ისე ბევრი რეალური პრეტენდენტი იქნება. ჟოზე, ისე როგორც არავინ სხვა, შესაფერისი იქნება ამ პოსტზე. მისი სტილი განსხვავდება ფერგისგან, მაგრამ პორტუგალიელს მაინც მშვენიერი შანსი აქვს, იყოს წარმატებული "ოლდ ტრეფორდზე".

მცდელობამ, რომ დიდი გუნდები ემართათ, არაერთი მწვრთნელი გატეხა წელში. მართვის სადავეების გადაბარება ფერგისგან მით უფრო რთული ამოცანა იქნება. მაგრამ ჟოზე კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ "განსაკუთრებულია". ის გასწვდება ამ ტვირთს და "იუნაიტედის" ფანებს თავს შეაყვარებს.



ყველაზე ხშირად ფერგიუსონის მემკვიდრედ მოურინიოს ასახელებენ

მენატრება პრემიერლიგა მასთან ერთად. ჰო, შესაძლოა, ის გულზე ყველას არ ეხატებოდეს, მაგრამ პირადად მე დიდ პატივს ვცემ. ძალიან ბევრი ცნობილი მწვრთნელი ოცნებობდა, ენახა მოურინიოს დაცემა, მაგრამ ეს არ მოხდა. ჟოზე არასოდეს ყოფილა პროფესიონალი ფეხბურთელი, მაგრამ დაამტკიცა, რომ კარგი მწვრთნელობისთვის ეს არც არის საჭირო. ის უბრალოდ ძალიან ბევრს მუშაობდა, რომ მწვერვალისთვის მიეღწია.

მახსოვს, ერთხელ ფრენკ ლემპარდმა მითხრა, რომ ჟოზემ მას მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი უწოდა, ფრენკიც ადგა და მწვრთნელს მინდორზე დაუმტკიცა, რომ არ ცდებოდა. შარშან, როცა ჩემპიონთა ლიგაში ჩემი "ტოტენჰემით" "რეალს" შევხვდი, ჩვენ შორის გულთბილი საუბარი შედგა. მან რამდენიმე ბოთლი ძვირფასი ღვინოც მაჩუქა.

დიახ, ის ყოველთვის საუკეთესო ფეხბურთელებს წვრთნიდა, მაგრამ ისიც მართალია, რომ მათგან ყოველთვის საუკეთესოს იღებდა. ყველა მწვრთნელს ეს ნამდვილად არ შეუძლია. შეხედეთ, "ინტერს" მოურინიოს შემდეგ. იტალიელებმა ასეც ვერ მოახერხეს მასთან განშორების შემდეგ ფეხზე დადგომა.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ინგლისი. პრემიერლიგა. XII ტურის შეჯამება

# ლამაზი ფეხბურთი

## და უპასუხოდ დარჩენილი შეკითხვები ემირიტსზე გამართული დერბის შემდეგ

ჩრდილოლონდონურ დერბის ვერც ტურის შეჯამებაში ავუვლით გვერდს და მხოლოდ იმიტომ არა, რომ გუნდებმა ულამაზესი თამაში შემოგვთავაზეს. მატჩი 5:2 დამთავრდა და კითხვები გაჩნდა: "მეთოფეები" ასე იოლად გადაქელავდნენ მეტოქეს მოედანზე 72 წუთი ფეხბურთელით მეტნი რომ არ ყოფილიყვნენ?

ასე თუ ისე, უკვე დაიწერა და ვეთანხმებით, რომ ვერანაირი კაცნაკლულობა ვერ გაამართლებს დროის მოკლე ინტერვალში გაშვებულ ორ ბურთს. თუ სტატისტიკას გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ "დეზებს" მსგავსი რამ ორჯერ დაემართათ. პირველად VI ტურში "მანჩესტერ იუნაიტედთან", როცა **ბრედ ფრიდელმა** 51-ე და 53-ე წუთებზე გაუშვა ბურთები. ოღონდ განსხვავება ის იყო, რომ შუალედში **კლინტ დემპსიმაც** შეაგდო. მეორედ VIII ტურში, როცა **ხუან მატამ** დუბლის შესრულება 66-ე და 69-ე წუთებზე შეძლო.

*"ნამდვილად ხარისხიანი ფეხბურთი ვაჩვენეთ. ვთამაშობდით თავდადებით და მაღალ ტემპში. ეს სწორედ ის არის, რასაც ჩემი ფეხბურთელებისგან ყოველთვის ვითხოვ. დიდი ანგარიში გუნდს უნდა დაეხმაროს საკუთარი ძალების რწმენის გაღვივებაში"* - ამბობს **არსენ ვენგერი.**

**ბომბარდირები**

10 - **ლუის სუარესი** (ლივერპული)
8 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **დემბა ბა** (ნიუკასლი)
7 – **მიგელ მიჩუ** (სუონსი)

**ასისტენტები**

6 - **ხუან მატა** (ჩელსი)
5 - **ედენ აზარი** (ჩელსი), **უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **ბრაიან რუისი** (ფულჰემი)

**გოლი+პასი**

12 - **ლუის სუარესი** (ლივერპული) - 10+2, **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი) - 8+4
10 - **ხუან მატა** (ჩელსი) – 4+6, **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი) – 6+4
9 – **მარუან ფელაინი** (ევერტონი) – 6+3

**გაფრთხილებები**

6 – **დინ უაიტჰედი** (სტოკ სიტი), **ანხელ რანხელი** (სუონსი)
5 - **ჯეიმს მაკარტური** (უიგანი), **ერიკ ლიშაი** (ასტონ ვილა), **კრეიგ გარდნერი** (სანდერლენდი)

**სეზონის 5 საუკეთესო ფეხბურთელი EA SPORTS-ის მიხედვით**

1. **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი)
2. **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი)
3. **ხუან მატა** (ჩელსი)
4. **ლეიტონ ბეინსი** (ევერტონი)
5. **ედენ აზარი** (ჩელსი)

**ზოგადი სტატისტიკა ლიგისთვის**

119 მატჩი
80 მოგება
39 ფრე
54 მშრალად შენახული კარები
8 უგოლო მატჩი
342 გოლი
19 პენალტი
2.87 საშუალო შედეგიანობა
15 ავტოგოლი
1 513 ზუსტი დარტყმა კარებში
1 239 აცილება
445 ფეხბურთელი
287 ლეგიონერი
71 ეროვნების მოთამაშე
26.2 საშუალო ასაკი
2 ჰეთთრიკი
347 ყვითელი ბარათი
21 წითელი ბარათი
4 232 581 ფანი ტრიბუნებზე

**ტურის გმირი**

მიმდინარე სეზონში **ლუის სუარესი** უბრალოდ ბრწყინავს. თუ "ლივერპულს" წელს ასე თუ ისე მისაღები შედეგის ჩვენება უწერია, ეს, უპირველესად, ურუგვაელის დამსახურება იქნება. XII ტურში ლუისი უშუალო კონკურენტ **რობინ ვან პერსის** ორი ბურთით დაშორდა, რაც ბრწყინვალე შედეგია იმის გათვალისწინებით, რომ ჰოლანდიელისგან განსხვავებით წინა ხაზში მას დამხმარე პრაქტიკულად არ ჰყავს.

**ტურის მწვრთნელი**

"ვესტ ბრომვიჩის" დამრიგებელმა **სტივ კლარკმა** დამოუკიდებელ სამწვრთნელო პრაქტიკას საკმაოდ გვიან მიჰყო ხელი. 1999 წელს "ნიუკასლში" გატარებულ რამდენიმე კვირას თუ არ ჩავთვლით, მას პრაქტიკა არც ჰქონია. 49 წლის ასაკში კი კლარკი ამტკიცებს, რომ შეზღუდული რესურსების პირობებშიც შეიძლება გუნდი ყველასთვის ანგარისგასაწევ ძალად გადააქციო.

**მომდევნო ტური**

**24 ნოემბერი: სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი, ევერტონი-ნორვიჩი, მანჩესტერ იუნაიტედი-ქუინზ პარკი, სტოკ სიტი-ფულჰემი, უიგანი-რედინგი, ასტონ ვილა-არსენალი**

**25 ნოემბერი: სუონსი-ლივერპული, საუთჰემპტონი-ნიუკასლი, ჩელსი-მანჩესტერ სიტი, ტოტენჰემი-ვესტ ჰემი**

**ლევან ბიბილაშვილი**

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




● ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ლამელა მსუბუქად დაშავდა



დაშავებული ერიკ ლამელა

XIII ტურის უკანასკნელი შეხვედრა "სტადიო ოლიმპიკოზე" გაიმართა, სადაც "რომამ" "ტორინოს" უმასპინძლა და მეტოქეს ორი უპასუხო გოლი გაუტანა. დედაქალაქელებისთვის ერთი უსიამოვნო ამბავი მაინც მოხდა - პირველი ტაიმის მიწურულს **ერიკ ლამელამ** ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო.

20 წლის ფორვარდს დეტალური გამოკვლევა დღეს ჩაუტარდება და გაცხადდება თუ რამდენი ხნით მოუწევს უქმობა. ექიმთა პირველადი დასკვნით, ტრავმა მსუბუქია და არგენტინელს მაქსიმუმ ორი კვირა მოუწევს დასვენება.

### ძამპარინიმ გასპერინი გაამხნევა

"პალერმო" კრიზისშია, ქულებს მძიმედ აგროვებს და სატურნირო ცხრილში მხოლოდ მე-16 ადგილი უკავია. არადა, სეზონის წინ კლუბის პრეზიდენტი ჩემპიონთა ლიგის საგზურს უმიზნებდა. **მაურიციო ძამპარინი** იმედგაცრუებული გახლდათ სტარტზე ნაჩვენები შედეგებით და ამად იყო, რომ გუნდი **ჯამპიერო გასპერინის** ჩააბარა. "პალერმო" კი ისევ ისე წვალობს - გასულ უქმეებზე, სიცილიური გუნდი "ბოლონიას" ესტუმრა და სამი უპასუხო გოლი გაუშვა. იტალიელმა ჟურნალისტებმა კარგად იციან მაურიციო ძამპარინის მისწრაფების შესახებ მწვრთნელთა ხშირი ცვლის თაობაზე და უმალ მას შეეხმნიანენ, რაზეც მოულოდნელი პასუხი მიიღეს: *"გასპერინის არაფერ ემუქრება, ის დიდი ხნით ჩამოვიდა სიცილიაში და ზუსტად ვიცი, რომ დაკისრებულ მოვალეობას თავს კარგად გაართმევს. ჩვენ გრძელვადიანი გეგმა დავისახეთ, რომელსაც თანამიმდევრულად განვახორციელებთ. "პალერმო" აუცილებლად უნდა გაერიოს იტალიური ფეხბურთის გრანდებში და ეს გასპერინისთან ერთად მოხდება. ასე რომ, მწვრთნელს მშვიდად შეუძლია მუშაობის გაგრძელება".*

### დელფინებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ

გასულ უქმეებზე, "პესკარა" "სიენას' ესტუმრა და მორიგი მარცხი იგემა, რასაც გუნდის მთავარი მწვრთნელის, **ჯოვანი სტროპას** პოსტი შეეწირა. უფრო სწორად, სტროპამ თავად მიიღო გადაწყვეტილება და გათავისუფლების მოთხოვნით განცხადება დაწერა. კლუბის პრეზიდენტმა **დანიელე სებასტიანიმ** სტროპას შესაძლო შემცვლელად სამი კანდიდატი დაასახელა: **სტეფანო კოლომბო, პასკუალე მარინო** და **კრისტიანო ბერგოდი.**



კრისტიანო ბერგოდი

გუშინ გვიან გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "პესკარას" პრეზიდენტმა არჩევანი კრისტიანო ბერგოდიზე შეაჩერა. 48 წლის სპეციალისტი თავის დროზე პროფესიონალი ფეხბურთელი გახლდათ და 5 წელი სწორედ "პესკარაში" აქვს ნათამაშები. რაც შეეხება მის სამწვრთნელო კარიერას, განსაკუთრებული წარმატებებით ვერ დაიკვეხნის. ბოლოს, სერია B-ში "მოდენას" ედგა სათავეში, იქამდე კი რამდენიმე რუმინული გუნდი ებარა. "პესკარა" მისი პირველი გუნდი იქნება სერია A-ში.

**ლაშა ნიკლაური**



მარცხნიდან: ჩეხი, ბუფონი, კასილიასი, ჰარტი, ნოიერი

### ფიფას ნომინანტები

ფიფა 2012 წლის ბოლოს სიმბოლურ ნაკრებს შეადგენს. იქამდე კი თითოეულ პოზიციაზე 5-5 ფეხბურთელს წარადგენს, რომელთაგან საუკეთესოს საფეხბურთო ექსპერტები დაასახელებენ. აღსანიშნავია, რომ ამგვარ გამოკითხვას ბოლო ოთხი წელიწადია რეგულარულად **იკერ კასილიასი** იგებს. ამჯერად მისი კონკურენტები არიან: **ჯანლუიჯი ბუფონი** (იუვენტუსი, იტალია), **პეტრ ჩეხი** (ჩელსი, ჩეხეთი), **ჯო ჰარტი** (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), **მანუელ ნოიერი** (ბაიერნი, გერმანია).

### პირობები შეთანხმებულია, უოლკოტი რჩება



"არსენალის" 23 წლის თავდამსხმელმა **თეო უოლკოტმა** კლუბთან ახალი კონტრაქტის პირობები შეათანხმა, რომელზე ხელის მოწერის ცერემონიალიც უახლოეს დღეებშია დაგეგმილი. მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ მოქმედი ხელშეკრულებით ფეხბურთელი კვირაში 60 ათას ფუნტს იღებს. "არსენალი" მას კვირაში 15 ათასით მეტს სთავაზობდა, რაზეც კლუბმა თავაზიანი უარი მიიღო. ყველაფერი "რედინგთან" ლიგის თასზე გასვლითი შეხვედრის (5:7) შემდეგ შეიცვალა, სადაც უოლკოტმა ჰეთთრიკის გარდა ორი შედეგიანი საგოლე გადაცემაც მიითვალა. საბოლოოდ მხარეები კვირაში 90 ათას გირვანქა სტერლინგზე შეთანხმდნენ.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამბო

# ტურნირი ამაგდარი მწვრთნელის სახელობისაა

ქუთაისელ სამბისტებს მრავალი მედალი აქვთ მოპოვებული საერთაშორისო სარბიელზე, რაც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, **გივი სარდანაძის** სახელს უკავშირდება. იგი ათეული წელებია ერთგულად ემსახურება სამბოს განვითარებას ქუთაისში.

თანაქალაქელებმა დაუფასეს ამაგდარს ნალვაწი - დაწესდა გივი სარდანაძის სახელობის ჭაბუკთა ტურნირი, რაც ბევრად წაადგება სამბოს განვითარებას, რადგან ჭაბუკთა ტურნირები საქართველოს მასშტაბით ძალზე ცოტაა.

ზემოხსენებული ასპარეზობა გივი სარდანაძის 70 წლის საიუბილეო თარილს მიეძღვნა და ქუთაისის სპორტის სასახლეში გაიმართა 1995-1997 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა მონაწილეობით. მათ შორის ბევრი იყო ევროპისა და მსოფლიოს პირველობების პრიზიორი.

საერთო მოწონება დაიმსახურა სამტრედიელმა **ომარ ვაშაკიძემ** (75 კგ), რომელსაც ყველა მონაცემი აქვს, რომ ახლო მომავალში თავი დიდ სარბიელზეც გამოიჩინოს. იუბილარი, როგორც სელექციონერი, ინტერესით ინიშნავდა მზარდი სამბისტების მონაცემებს...

**კვარცხლბეკი**

**45 კგ.** 1. გიორგი ბაჯაძე (ვანი), 2. გოგა ცერცვაძე (ქუთაისი), 3. გიორგი ზარნაძე (ზესტაფონი), 3. ლუკა მეგრელი (ქუთაისი).

**48 კგ.** 1. გიორგი გაბინაშვილი (კასპი), 2. გიორგი ნარუიშვილი (ვანი), 3. გრიგოლ ჩოგოვაძე, 3. დავით კვირიკაშვილი (ორივე - ქუთაისი).

**52 კგ.** 1. ლევან შონია (ქუთაისი), 2. დავით გეჯაძე (კასპი), 3. ზურაბ როხვაძე (ვანი), 3. ჯეირან წულაია (ფოთი).

**56 კგ.** 1. იაგო დიხამინჯია, 2. ჯაბა ქურდიანი (ორივე - ქუთაისი), 3. დავით ხუბულავა (ვანი), 3. ვეფხია ყურაშვილი( კასპი).

**60 კგ.** 1. ვარლამ შალიკაშვილი (ქუთაისი), 2. გიორგი კაციაშვილი (კასპი), 3. დავით კორტი, 3. სერგო ქარცხაძე (ორივე - ქუთაისი).

**65 კგ.** 1. დავით წურწუმია (ფოთი), 2. ბექა ჩიქავა (ზუგდიდი), 3. ლევან მარაქველიძე (ქუთაისი), 3. თედო ბოკერია (სამტრედია).

**70 კგ.** 1. შმაგი დადუნაშვილი (ვანი), 2. ლევან დიხამინჯია (ქუთაისი), 3. ბექა მაღლაკელიძე (ვანი), 3. ჯონი ჩოგოვაძე (ქუთაისი).

**75 კგ.** 1. ომარ ვაშაკიძე (სამტრედია), 2. თემურ ლომიძე (ქუთაისი), 3. ნოდარ სამხარაძე (ზესტაფონი), 3. თამაზ ხანთაძე (სამტრედია).

**81 კგ.** 1. ალი თოლორაია (ზუგდიდი), 2. შალვა ჯანანაშვილი (კასპი), 3. ერეკლე ზარნაძე (თერჯოლა), 3. ბექა ჩარქსელიანი (სამტრედია).

**87 კგ.** 1. ფრიდონ შარიქაძე (ზესტაფონი), 2. გაგა კამლაძე (ქუთაისი), 3. ოთარ გოგისვანიძე (სამტრედია), 3. გაგა სამინავა (ფოთი).

**+87 კგ.** 1. გიორგი ლაზუაშვილი (ზესტაფონი), 2. რომან მეფარიშვილი (ფოთი), 3. გიორგი დავლაძე (თერჯოლა), 3. დავით ძოწენიძე (ქუთაისი).

**გაბრიელ ბარჯაძე**
ავტორის ფოტო



გივი სარდანაძე გამარჯვებულებთან ერთად

ჩოგბურთი



ნიკოლოზ ბასილაშვილი

# პირველი ბარიერი გადალახეს

ტიუმენში დაიწყო ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი „ციმბირის თასი" (საპრიზო ფონდი 35.000 დოლარი), რომელშიც წარმატებით აიღო სტარტი **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** (მსოფლიოს რეიტინგში იგი 142 ქულით 316-ეა). პირველ წრეში მან იური შჩუკინი (ყაზახეთი) დაამარცხა - 6:2, 2:6, 6:3. მართალია, ქართველის მეტოქეს 2007 წელს რეიტინგით 119-ე საფეხურიც კი ეკავა, მაგრამ ამჟამად 465-ე ადგილზეა. ამდენად, ჩვენებურს მისი დამარცხება არ უნდა გასჭირვებოდა და ასეც მოხდა. მეორე წრეში ბასილაშვილი ტურნირის მე-5 ნომერ ილია მარჩენკოს (უკრაინა) შეხვდება, რომელმაც გუშინ სერგეი ბეტოვს (ბელარუსი) იოლად აჯობა - 6:0, 6:3.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ბასილაშვილმა პირველი ბარიერის გადალახვით 6 ქულა დაიმსახურა, რაც მას წინსვლაში დაეხმარება. უკრაინელსაც თუ ჩამოიშორებს გზიდან, 15 სარეიტინგო ქულას დაიმსახურებს.

ერთეულთა თანრიგში წარმატებით ითამაშა **ნათია გეგიამაც,** რომელიც ანტალიის ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) გამოდის. გუშინ პირველ წრეში მან მე-7 ნომრად განთესილი რუსი ამინატ კუშხოვა დაამარცხა - 6:2, 6:2. მეორე წრეში ანასტასია რუდაკოვას (რუსეთი) და კიმბერლი ზიმერმანს (ბელგია) შორის უძლიერესთან გაარკვევს ურთიერთობას.

**ვაჟა დანელია**

ტყვიის სროლა. ფედერაციის ყრილობა

# მსროლელებმა ახალი იმედი აირჩიეს

## საშიში და ყველაზე მშვიდი

**ყველაზე მშვიდი სროლის ფედერაციააო, ხუმრობდნენ გუშინ სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ამ საშიში სახეობის წარმომადგენლები საარჩევნო-საანგარიშო ყრილობის დაწყებამდე.**

მართლაც - მსგავსი არჩევნები თუ უმეტეს ფედერაციებში დიდი ვნებათაღელვის ფონზე მიმდინარეობს ხოლმე, აქ ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა - დღის წესრიგის დამტკიცება იქნებოდა, ანგარიშის ცნობად მიღება, ახალი პრეზიდენტის არჩევა თუ დებულებაში ცვლილებების შეტანის მცდელობა, ყველაფერში საოცრად ერთსულოვნება ჩანდა, ოდნავი წინააღმდეგობაც კი არ ყოფილა.

ამ ფედერაციას ახალ-ახალი პრეზიდენტები და ვადამდე არჩევნები დაებედა და როგორც სხდომაზე ითქვა, სურთ ოლიმპიურ ანუ ოთხწლიან ციკლში ჩაჯდნენ, რათა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საარჩევნო ვადებს აუწყონ ფეხი, ესე იგი, სეოკ-ის მსგავსად, არჩევნები აქაც ყოველთვის ოლიმპიადის შემდეგ უნდა გაიმართოს. შეგახსენებთ, რომ ამ ფედერაციაში ვადამდე არჩევნები 2010 წელს ჩატარდა, როცა პრეზიდენტად აწ უკვე ქვეყნის გარეთ გასული **გია უდესიანი** აირჩიეს. ცხადია, ახალ არჩევნებში მას კანდიდატურა არ წამოუყენებია, მეტიც - ზეპირი წყაროებით უარიც განუცხადებია. ასე შემორჩა ერთი კანდიდატი - ტელეკომპანია „TV-9"-ის გენერალური დირექტორი **კახა ბექაური**, რომელსაც მსროლელებმა ერთხმად აჰკიდეს საპრეზიდენტო ტვირთი.

### შესაშური ერთსულოვნება

ყრილობის დაწყების მომენტში 33 დელეგატიდან 24 უკვე დარბაზში იყო ანუ კვორუმი შეიკრიბა, თუმცა სხდომის მიმდინარეობისას დელეგატთა რაოდენობა გაიზარდა. დღის წესრიგში ოთხი საკითხი შედიოდა: განვლილი სეზონის შეჯამება; ფედერაციის ხელმძღვანელი რგოლების არჩევა; წესდებაში ცვლილებების შეტანაზე კენჭისყრა; 20 დეკემბერს გასამართ სეოკ-ის ალმასკომზე წარსადგენი დელეგატის არჩევა და სხვადასხვა. პირველ საკითხზე ტყვიის სროლაში ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ნინო სალუქვაძემ** გააკეთა მოხსენება, რომელმაც ბაზების არქონით გამოწვეული უმძიმესი პირობების გარდა მიღწევებზეც ილაპარაკა: ლიცენზია, ახალგაზრდა თაობის პროგრესი, რომელთაგანაც განსაკუთრებით ქუთაისელი **ნინო ფანჩულიძე** გამოარჩია.

- სასტენდო სროლაზე ბევრი არაფერი გვაქვს სათქმელი, ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე კი გამოვდიოდით, მაგრამ შედეგები არ იყო სახარბიელოო, - აღნიშნა სროლის ამ სახეობიდან მომხსენებელმა **თამაზ იმნაიშვილმა.**

ამ საკითხების განხილვას დიდი დრო არ წაუღია, როგორც - ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნებს. *„მოყვარული მსროლელი ძალიან დიდი ენთუზიაზმით ისვრის ჩვენთან - სტენდზე და ძალიან უნდა, სროლის სახეობების განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანოს"* - ასე დაუხასიათა კახა ბექაური დელეგატებს იმნაიშვილმა, ხმის უფლების მქონე ამ ხალხმა კი ჯერ წილისყრის ღიად ჩატარებას დაუჭირა მხარი ერთსულოვნად, მერე კი წარმოდგენილ კანდიდატსაც ასევე ერთხმად მიემხრო. მოგვიანებით ბექაურმა დასამტკიცებლად ვიცე-პრეზიდენტები წარადგინა - სალუქვაძე და იმნაიშვილი, რომლებმაც ასევე ერთსულოვანი დასტური მიიღეს, გენერალური მდივნის კანდიდატურაზე კი გუშინ არც უსაუბრიათ. როგორც აგვიხსნეს, ბექაური მოგვიანებით შეარჩევს კანდიდატურას, რომელსაც დასამტკიცებლად პრეზიდიუმს წარუდგენს - თურმე დებულება ამის უფლებას აძლევს.

ბაზის მშენებლობა და ინვესტორების მოზიდვა, რათა ახალგაზრდები უფრო ფართოდ ჩავაბათ ამ სპორტში, თორემ უამისოდ მომავალი არ გვექნება - დაახლოებით ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ბექაურის ძირითადი თეზისები. ფინანსებზე საუბრისას მან გამოთქვა იმედი, რომ მოახერხებს სამინისტროს დაინტერესებას, რათა ფედერაცია პროგრამულ დაფინანსებებში ჩართოს, თუმცა ძირითადი წყაროდ მაინც სპონსორთა მოძიება დაასახელა.

გუშინ დელეგატები კიდევ რამდენიმე საკითხში იყვნენ შესაშურად ერთსულოვანნი - ფედერაციის გამგეობა იქვე გადააკეთეს პრეზიდიუმად, ხელმძღვანელობას წესდებაში სხვა ცვლილებების შეტანის ნება დართეს, ბექაურს ერთხმად ანდეს მანდატი სეოკ-ის სესიაზე და დაამტკიცეს ფედერაციის 11-კაციანი პრეზიდიუმი...

კიდევ სურთ მთელი რიგი მუხლების შეცვლა. გადაწყდა, რომ საამისოდ შეიქმნება კომისია, რომელიც წინადადებებზე იმსჯელებს და წესდების ახალ რედაქციას განსახილველ-დასამტკიცებლად პრეზიდიუმს წარუდგენს. გუშინ ფედერაციას სწორედ ამ კომისიის შექმნის ნებართვა დართეს.

### ბაზები

ყრილობის მთავარ თემად ბაზების პრობლემა იქცა, რაც თურმე აქტუალურია ყველგან - დედაქალაქშიც და რეგიონებშიც. შესაბამისად, ამაზე ლაპარაკობდა - თბილისელიც, ქუთაისელიც, ბათუმელიც, თუმცა ბათუმელები დანარჩენებზე უარეს დღეში არიან - სხვაგან თითო ბაზა თუ მაინცაა, იქ საერთოდ არაფერია. ყრილობაზე არაერთხელ გამოითქვა სინანული იმის გამო, ბათუმი გამორჩეული კერა იყო და ახლა ასე უკვალოდ გაქრა. პრობლემა იმდენად აქტუალურია, რომ ბექაურმა თავისი გამოსვლა ამ სიტყვებით დაიწყო - სასტენდო სროლაში რომ მძიმე მდგომარეობა იყო, კი ვიცოდი, მაგრამ არ მეგონა, ტყვიის სროლაშიც თუ იგივე ვითარება იქნებოდა. მას ბაზა არ დაუკონკრეტებია, მაგრამ ვეჭვობთ, სალუქვაძის ტირს გულისხმობდა, როცა იმ უცნაურობას გაუსვა ხაზი, რომ იძულებული ხარ, დერეფნიდან ივარჯიშო. 50-მეტრზე მოვარჯიშენი იქ ემზადებიან ასე, რადგან საკმარისი სიგრძის დარბაზი არაა.

ქვეყნის მასშტაბით ტყვიის სროლა ცოტა უკეთეს დღეშია, რადგან სალუქვაძის ტირის გარდა, თბილისში, მართალია, დიდი წვალებით, მაგრამ არსებობს ასკ-ის ბაზა, რეგიონებიდან კი ქუთაისი გვარიანად გამოცოცხლდა. აი, სასტენდო სროლა თბილისშიც კი მხოლოდ ვარკეთილის ძველ სასროლეთზე შემორჩა, თუმცა მისი ყოფნაც „გზას ვამბობ, თორემ რა გზაას" პრინციპს ჰგავს. იმნაიშვილის თქმით, იქ გაძარცული ინვენტარის მაგივრად დღეს თუ რამე დანადგარები არსებობს, ესეც მოქმედ სპორტსმენ **დავით ქვათაძის** დიდი დამსახურებით, რომელსაც საკუთარი ინიციატივით შეუძენია რაოდენობის მინიმალური დანადგარები. ითქვა, რომ თეფშ-ტყვიების შეძენას კი ახერხებენ, მაგრამ ვითარება მაინც სავალალოა.

ქუთაისელმა მწვრთნელმა **როლანდ გირგვლიანმა** იქაური ძველი ტირის კოსმეტიკური რემონტი ითხოვა, რათა ბავშვებს მეტ-ნაკლებად მისაღები პირობები შეექმნათ სავარჯიშოდ. თუმცა იქ, როგორც გუნდურში ევროპის ვიცე-ჩემპიონმა **ნინო უჩაძემ** განაცხადა, ახალი ტირი გააკეთეს, სადაც ნორმალური პირობებია. იქ თურმე სასტუმროს პრობლემაც მოგვარებულია, ამის გაგონებაზე კი სალუქვაძემ იხუმრა, ტირიც თუ გაქვთ და სასტუმროც, მაშინ გადმოვიტანთ ფედერაციას ქუთაისშიო.

>> მე-11 გვერდზე

ფარიკაობა

# ამჯერად მოკრძალებული შედეგებით

ქართველმა ხმლით მოფარიკავეებმა წლეულს რამდენიმე შეჯიბრებაში იყოჩაღეს: **ბექა ბაზაძემ** 23-წლამდელთა ევროპის პირველობაზე მე-3 ადგილი დაიკავა, უმცროსმა ძმამ - **სანდრომ** თბილისში ევროპის თასის ეტაპი მოიგო, კიევში კი მსოფლიოს თასის ეტაპზე მე-3 ადგილი ერგო. ამჯერად ქართველმა მუშკეტერებმა პოლონურ სოსნოვიჩში კვლავ მსოფლიოს თასის ეტაპზე მოსინჯეს ძლები.

სანდრო ბაზაძემ და კადეტებში შარშანდელი მსოფლიოს პირველობის მე-3 პრიზიორმა **მიხეილ მარდალეიშვილმა** ჯგუფური ასპარეზობა წარმატებით განვლეს, მაგრამ ფლეი ოფში ვერ გამოიჩინეს თავი: ანდრომ პირველ პაექრობაში რუს ალექსანდრ ტრუშაკოვს იოლად სძლია - 15:10, მაგრამ მერე გერმანელ რიჩარდ ჰუბერსთან დამარცხდა - 9:15. მარდალეიშვილმაც ერთი ორთაბრძოლა მოიგო - იტალიელ ჯერარდო გარანტის დააყრევინა ფარ-ხმალი - 15:10, თავად კი ასევე აპენინელ ლეონარდო აფიდეს დანებდა - 11:15. საბოლოოდ ბაზაძე 25-ე, მარდალეიშვილი კი 32-ე ადგილით დაკმაყოფილდა. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ოლექსეი სტაცენკო (უკრაინა), 2. ლუკა კურატოლი (იტალია), 3. რუვენ დერვანზი (გერმანია) და ელი დერშვინტი (აშშ).

**ვაჟა დანელია**

ფოტომატიანე

1980-იანი წლები საქართველოს საფალავნო სამყაროს არნახული წარმატების პერიოდადაა შესული ქართული სპორტის მატიანეში. ამ მიღწევებს მუხლჩაუხრელი გარჯით, უპირველესად, საფუძველს უყრიდნენ ჩვენი მწვრთნელები. განსაკუთრებით დასაფასებელია იმ ადამიანების ღვაწლი, ვისი ალღო და გამოცდილება შეუცდომლად ხედავდა ყმაწვილებში დიდ ტალანტს, ხელს ჩაჰკიდებდა, შეგირდად გაიხდიდა და ოსტატის ხელოვნებას აზიარებდა. ასე იწყებოდა ალმასვლა დიდი სპორტული მწვერვალებისკენ. მერე ბევრი მათგანი თავად ხდებოდა ოსტატი და მტკიცდებოდა ტრადიციების მემკვიდრეობითობა.

**დავით გობეჯიშვილი** პირველმა **შურა მაისურაძემ** შენიშნა ონში. ავარჯიშა, საქართველოს პირველობაზე გაუძლვა, სადაც ქუთაისელმა ცნობილმა მწვრთნელმა **მურად დოხტურიშვილმა** დაადგა თვალი. საქართველოს მომდევნო პირველობას ნაკრების უფროსი მწვრთნელი **გურამ სალარაძე** ესწრებოდა ყვარელში. მისი ყურადღება უმალვე მიიპყრო გამორჩეულად ტანმაღალმა ყმაწვილმა და მაშინვე მიიწვია ნაკრებში. ასე დაიწყო გზა დიდ სპორტში. გურამი დათოს პირადი მწვრთნელი გახდა, ბოლომდე მიჰყვა უნიჭიერეს შეგირდს და ამ ათლეტმაც მისი ხელმძღვანელობით მოიპოვა ყველა უმაღლესი სპორტული ტიტული.

**სურათზე** მარცხნიდან: *გურამ სალარაძე, დავით გობეჯიშვილი, ავთანდილ გოგოლიშვილი* **ფოტო** *გურამ სალარაძის პირადი არქივიდან*\.



« მე-10 გვერდიდან

ამაზე სხვებმა დაამატეს, "პარლამენტი ქე წაგვართვით და ბარემ ეგეც წაიღეთო". თუმცა მთლად სახუმროდ საქმე არც რიონისპირელებს უნდა ჰქონდეთ და პრობლემები მათაც აწუხებთ. მაგალითად, უჩაძემ ბაზის გაფართოებაში დახმარება ითხოვა, რადგან თურმე ყველა მსურველს ვერ აკმაყოფილებენ (ფარები ყველა მსურველის დასაკმაყოფილებლად არც თბილისშია) და ბევრს უარით ისტუმრებენ. მან ფედერაციას ისიც სთხოვა, რომ რამდენიმე შეჯიბრება ქუთაისშიც დაგეგმონ, თორემ ადგილობრივი ბიუჯეტი რის საშუალებასაც აძლევთ, მოზარდებისთვის სრულყოფილი სატურნირო პრაქტიკისთვისაც არ არის საკმარისი. მასრები და იარაღი იმდენად მწვავე პრობლემა არაა (თუმცა ქუთაისელები პისტოლეტების ნაკლებობასაც უჩივიან), რამდენადაც თავად არენები, განსაკუთრებით კი - ღია სასროლეთი. სალუქვაძის თქმით, მისი ტირის გაფართოება სამინისტროს შენობაშივე გვერდით მდებარე... ავტოსახელოსნოების ხარჯზე შეიძლება და მაშინ იქ 50-მეტრიანი დარბაზიც მოეწყობა. გავბედავთ და ვიტყვით, რომ სპორტის სამინისტროში სპორტული ობიექტები უნდა იყოს, ავტოსამრეცხაოების და ამგვარების მოწყობა კი თუნდაც იქვე, ეზოშიც შეიძლება.

ყველა გამომსვლელი ყურადღებას ცენტრალიზებული ბაზის აუცილებლობაზე ამახვილებდა, რომელიც ტყვიის მსროლელებსაც გამოადგებათ და - მესტენდურებსაც. საამისოდ ადგილიც შერჩეულია, მაგრამ მშენებლობის დაწყებას არა და არ დაადგა საშველი. ბექაურის თქმით, მონახულია ინვესტორი, რომელიც დაინტერესდა ამ ბაზის მშენებლობით, დანარჩენს კი დრო გამოაჩენს. მსროლელთა საქმე ხომ ყოველთვის იმედია - თავადაც აღნიშნეს, რომ უკვე 20 წელიწადი ითხოვენ ერთსა და იმავეს, სათვალავიც აერიათ, რამდენჯერ მიმართეს ხელისუფლებას ან რამდენი მთავრობა გამოიცვალა ამ პერიოდში, ისინი კი ისევ ელიან... ამჯერად - უკვე ახალი პრეზიდენტით და ახალი იმედით.

**ირაკლი თავაძე**

● ჭადრაკი

# ლიდერებში სიმჭიდროვეა

ქართველი მოჭადრაკეები - ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ნონა გაფრინდაშვილი,** ვეტერანთა მსოფლიოს ჩემპიონატების ოთხგზის გამარჯვებული **თამარ ხმიადაშვილი** და საერთაშორისო ოსტატი **ნინო მელაშვილი** საბერძნეთში 50 წელს გადაცილებულ მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობენ. მე-7 ტურში ჩვენებურები - ხმიადაშვილი და გაფრინდაშვილი დაზავდნენ, მელაშვილმა მარტინა ბელცთან (გერმანია) გაიყო ქულა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ: ელენა ანკუდინოვა (ყაზახეთი) - ელენა ფატალიბეკოვა (რუსეთი), ლარისა ხროპოვა (რუსეთი) - ლუდმილა საუნინა (რუსეთი), ნატალია ბელიაევა (რუსეთი) - სვეტლანა მედნიკოვა (რუსეთი). ნატალია ტიტორენკომ მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონ გალინა სტრუტინსკაიას (ორივე - რუსეთი) სძლია.

შვიდი ტურის შემდეგ 5-5 ქულით ანკუდინოვა, ფატალიბეკოვა და ტიტორენკო ლიდერობენ, რომლებსაც ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ხმიადაშვილი, მელაშვილი, ბელცი და სტრუტინსკაია. გაფრინდაშვილს 4 ქულა აქვს.

ვეტერანთა მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრებამდე 4 ტური დარჩა. დღეს მე-9 ტურში ხმიადაშვილი და მელაშვილი გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას, გაფრინდაშვილი კი ლარისა ხროპოვას ეთამაშება.

**ვაჟა დანელია**



კახაბერ წერეთელი

## ორნი უდანაკარგოდ

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც 56 ქალი და მამაკაცი მონაწილეობს. გუშინ მე-4 ტურის შეხვედრები გაიმართა. გთავაზობთ მეწინავეთაშეხვედრების შედეგებს: **კახაბერ წერეთელი-სერგო ცომაია 1:0, ალექსანდრე ებრალიძე-თენგიზ გვარჯალაძე 1:0, ირაკლი კელეპტრიშვილი-ნათია ჯალაბაძე 0.5:0.5, რევაზ ჭკუასელი-პაატა მაჩაიძე 1:0, ლუკა ქორიძე-ნიკოლოზ ჩხაიძე 0:1, ლაშა ჭანტურია-ლეონტი ხუბუნაია 0:1, გიორგი მუჯირიშვილი-მარიამ ჭოლაძე 0:1.**

ოთხი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ წერეთელი და ებრალიძე დაწინაურდნენ. ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვა ჭკუასელმა, 9 მონაწილეს 3-3 ქულა აქვს.

დღეს მე-5 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ებრალიძე (4)-წერეთელი (4), ჩხაიძე (3)-ჭკუასელი (3,5), ჯალაბაძე (3)-ლორთქიფანიძე (3), ცომაია (3)-კელეპტრიშვილი (3), ჭოლაძე (3)-ხუბუნაია (3), გვარჯალაძე (3)-ტეტუნაშვილი (3).

ტურნირზე სულ შვეიცარიული სისტემით 9 ტური გათამაშდება.

**ვაჟა დანელია**

# რეიტინგფავორიტი მთავარ პრიზს ვეღარ შესწვდება

ელ-ფუჯაირში (არაბთა გაერთიანებული საამიროები) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 50.5000 დოლარი) 5 ტურის შემდეგ ასპარეზობის რეიტინგფავორიტი **ბაადურ ჯობავა** მეწინავეთა შორის იყო, მაგრამ ინდოელ ჩანდა სანდიპანთან წაგებამ იგი ლიდერებს ჩამოაშორა. მე-7 ტურში ქართველმა დიდოსტატმა თეთრი ფიგურებით ჩინელი მა ძუნი დაამარცხა და 4,5 ქულით კვლავ დაუბრუნდა მთავარი პრიზის მაძიებელთა რიგებს. **მიხეილ მჭედლიშვილი** შავი ფიგურებით ივან სარიჩს (ხორვატია) დაუზავდა და ისიც ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა 5-ქულიან ლიდერებს - ჩანდა სანდიპანს (ინდოეთი), ეტიენ ბაკროს (საფრანგეთი), სერგეი ფედორჩუკს (უკრაინა), ლე ქუანგ ლიემს (ვიეტნამი), ალექსანდრ მოისეენკოს, ანდრეი სუმეცს (ორივე - უკრაინა) და სურია განგულის (ინდოეთი).

გუშინ ჯობავა შავი ფიგურებით აზერბაიჯანელ ელთაჯ საფარლის დაუპირისპირდა. 56-ე სვლაზე მეტოქენი მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. აი, მიხეილ მჭედლიშვილმა კი თეთრი ფიგურებით სურია განგულისთან (ინდოეთი) დათმო პარტია. მეწინავეთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა.

ჩანდა სანდიპანი - ლე ქუანგ ლიემი 1:0, ეტიენ ბაკრო - ალექსანდრ მოისეენკო 0,5:0,5, სერგეი ფედორჩუკი - ანდრეი სუმეცი 1:0, იან ელვესტი - იური კრივორუჩკო 1:0, ივან სარიჩი - აბჯით გუფთა 0,5:0,5.

ბოლო ტურის წინ ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: სანდიპანი, ფედორჩუკი, განგული - 6-6, ბაკრო, მოისეენკო, ელვესტი 5.5-5.5, ხოლო 10 მოჭადრაკეს, მათ შორის - ჯობავას, 5-5 ქულა აქვს.

**ვაჟა დანელია**

# ტიტულისათვის უჩვენოდ იბრძვიან

მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელსაც რუსული ხანტი-მანსიისკი მასპინძლობს, ქართველთაგან ტიტულისთვის 6 დიდოსტატს უნდა ებრძოლა, მაგრამ, შეგახსენებთ, რომ ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა **მაია ჩიბურდანიძემ** ასპარეზობაზე უარი თქვა - აქტიურ ჭადრაკს ჩამოვშორდიო, 2008 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული **ნანა ძაგნიძე** ხანტი-მანსიისკში საპატიო მიზეზით ვერ გაემგზავრა, დანარჩენი ოთხი ჩვენებურიდან ჩემპიონატს სტარტზევე გამოეთიშნენ **ბელა ხოტენაშვილი** და **სოფიკო ხუხაშვილი,** მეორე წრეში დამარცხდა **ნინო ხურციძე,** ხოლო **ლელა ჯავახიშვილს** მერვედფინალში მოეცარა ხელი. ასე რომ, რვა საუკეთესო დიდოსტატი უჩვენოდ განაგრძობს ბრძოლას ჩემპიონობისთვის. გუშინ მეოთხედფინალის პირველი შეხვედრები გაიმართა: მარი სებაგი (საფრანგეთი)-ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) 1:0, დაზავდნენ: ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი)-ანა უშენინა (უკრაინა), ჟაო სიუ (ჩინეთი)-ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი)-ჰუან ძიანი (ჩინეთი). დღეს განმეორებითი პაექრობები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

● კრივი

# ქართული კრივი რეგიონების მხრებზე დგას

**უახლოეს დღეებში საქართველოს კრივის ფედერაციის ყრილობა უნდა გაიმართოს. უკანასკნელი წლების შედეგებისა და ოლიმპიურ თამაშებზე მომხდარი პარადოქსული ფაქტის ფონზე კრივის გულშემატკივარი ვერ იფიქრებს, რომ ქართულ კრივში ყველაფერი კარგადაა. ყრილობის წინ „ლელოს" მკითხველს თავის მოსაზრებებს უზიარებენ რეგიონების კრივის სკოლების მწვრთნელები ავთანდილ შოშიაშვილი (გორი), რუბენ ქიქავა (ფოთის) და გელა ცარციძე (ჭიათურა).**



ავთო შოშიაშვილი

**ავთანდილ შოშიაშვილი:** „თავიდანვე მინდა ავღნიშნო, რომ ქართული კრივი რეგიონების მხრებზე დგას. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში მომუშავე მწვრთნელების წარმატებულ მუშაობაზე, მათთვის სამუშაო პირობების ხელშეწყობაზე ბევრი რამეა დამოკიდებული. შიდაქართლელები, მაგალითად, ყოველ წელიწადს ორ საკმაოდ კარგ ტურნირს ვმასპინძლობთ გორსა და ვარიანში. ესაა გიორგი კანდელაკის სახელობისა და გიორგი კარელიძის ხსოვნის ტურნირები ჭაბუკთა შორის. ასეთი შეჯიბრებები რეგიონებში, სამწუხაროდ, იშვიათობაა. არადა, ყველგან, სადაც კრივია განვითარებული, თუნდაც ერთი ასეთი შეჯიბრება რომ ეწყობოდეს, ქართულ კრივს სასიკეთოდ წაადგებოდა. მით უფრო, რომ ახლა რეგიონებში საამისოდ ტექნიკური ბაზაცაა და ინვენტარიც საკმარისია. სამწუხაროა, რომ ჩვენს ქვეყანაში არ ტარდება შეჯიბრებები ახალგაზრდა მოკრივეთა შორის. დიდებში კი მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატია და მეტი არაფერი! ცხადია, გარკვეული სახსრებია საჭირო, რომლის მობილიზებასაც, იმედია, შეძლებს ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა. 80-იან წლებში თბილისში იმართებოდა საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" პრიზზე. ჩვენს დედაქალაქში არაერთი ძლიერი საკრივო ქვეყნიდან ჩამოსულან საასპარეზოდ. უცხოელებთან ერთად იმ რინგზე გამოსული ბევრი კარგი ჩვენი მოკრივე (კანდელაკი, ბარავი, სეთური, ტლაშაძე) გვინახავს. აი, თუნდაც ასეთი შეჯიბრება მნიშვნელოვანია ჩვენი წინსვლისთვის. ვფიქრობ, საქართველოს პირველ ნაკრებს შეკრებების უცხოეთში გამართვაზე მეტად ქვეყნის შიგნით მათი ორგანიზება არგებს, ოღონდ გუნდი შეკრებაზე უწინდელივით წონაში ორი საუკეთესო მოკრივით კი არა, სამი-ოთხი ნომრით უნდა იყოს წარმოდგენილი. ქვეყნის ნაკრების შედეგებში რომ უკუსვლაა, ცხადია. მასობრიობა ურიგო არაა, მთავარია რა, შედეგს აღწევენ სპორტსმენები".

**რუბენ ქიქავა:** „უკეთესობისკენ სვლის იმედი გვაქვს. აუცილებელია დავიბრუნოთ წარმატებები საერთაშორისო რინგზე, ისეთი, როგორიც ადრე გიორგი კანდელაკს, რამაზ ფალიანს და სხვებს ჰქონდათ. ჩვენს რეგიონში ზურაბ სარსანიას სახელობის ტრადიციულ ტურნირს ვმასპინძლობთ ჭაბუკთა ასაკში. ასეთი შეჯიბრებები სხვაგანაცაა, მაგრამ ახალგაზრდებში და დიდებშიც უდავოდ გვჭირდება შეჯიბრებები".

**გელა ცარციძე:** „ჭიათურაში კრივი ნორმალურად ვითარდება. სტაბილურად ასამდე სპორტსმენი ვარჯიშობს, რამდენიმე მათგანი ასაკობრივ ნაკრებებშიც არის მიწვეული. ალბათ, დამეთანხმებით, რომ პატარა ქალაქისთვის ეს ურიგო არ იქნება, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი წარმატებები გვინდა. დროულად უნდა მოგვარდეს შეკრებებზე ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებში პირველ ნომრებთან ერთად მათი უშუალო კონკურენტების დასწრების საკითხი. ასეთი მიდგომა კლასის ზრდის თვალსაზრისით ახეირებს, როგორც წონით კატეგორიაში ლიდერს, ისე მის მდევარსაც. აუცილებელია სპორტის აკადემიის აღდგენა და მწვრთნელთა დონის ასამაღლებელი კურსების გამართვა. იმედია, კრივის ფედერაციის ახალარჩეული ხელმძღვანელობა დროულად მოაგვარებს პრობლემებს. ამაღლდება დისციპლინაც და გამოირიცხება ისეთი კაზუსები, როგორიც ლონდონის ოლიმპიადაზე მოხდა, - ერთადერთ ქართველ ლიცენზირებულ მოკრივეს წონა ვერ ჩააბარებინეს. ეს მართლაც უდიდესი სირცხვილი იყო."



გელა ცარციძე

**ვასილ ბალახაძე**

● სუმო. კიუშუს ბაშო. 11-25 ნოემბერი

# მოიგო იმან, ვისაც ნაკლებად სჭირდებოდა

წლის უკანასკნელ ბაშოზე ორი მესამედი გაილია - დადებითი ბალანსისთვის ბრძოლას ერთი ქართველი აგრძელებს, მე-7 მაეგაშირა **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი),** რომელიც ყველაზე მძიმეა ელიტაში (212 კგ). გუშინ გაგამარუმ მოულოდნელი მარცხი იგემა აუტსაიდერ **იოშიაზუმასთან.** ჩვენებურს 5-5 ბალანსი აქვს და დარჩენილი 5 ორთაბრძოლიდან 3 უნდა მოიგოს, რომ რეიტინგში ნაიწიოს. მისი დღევანდელი მეტოქე **ფუჯიაზუმაა** (5-5).

მე-3 მაეგაშირა **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** რეიტინგში უკან დაიხევს, მიუხედავად გუშინდელი გამარჯვებისა დაიდოს წინააღმდეგ, რომელიც ქართველისთვის მხოლოდ მე-2 იყო ბაშოზე. დღეს ტოჩინოშინი მე-4 მაეგაშირა **ტაკაიასუს** დაეჭიდება.

10 გამარჯვებით ერთპიროვნული ლიდერი კვლავ მონღოლი დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰოა.**

### IX დღე

**(მნიშვნელოვანი ბრძოლები):** ჰაკუჰო-გოეიდო (ჰატაკიკომი), ჰარუმაფუჯი-ტოიონოშიმა (შიტატენაგე), კოტოოშუ-კისენოსატო (იორიტაოში), მასუნოიამა-კოტოშოგიკუ (ცუკიოტოში), კაკურიუ-ტაკეკაძე (ჰატაკიკომი), შოჰოზანი-მიოგირიუ (კოტენაგე), ამინიშიკი-ჰომაშო (იორიკირი), ტოჩიოძანი-ოკინოუმი (უბრძოლველად), **ტოჩინოშინი**-დაიდო (იორიკირი), იოშიაზუმა-**გაგამარუ** (ცუკიოტოში).



### სატურნირო მდგომარეობა

**10-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა).
**9-1:** ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა).
**8-2:** გოეიდო (სეკივაკე), ჩიოტაირიუ (მაეგაშირა 15)... **5-5: გაგამარუ** (მ 7)... **2-8: ტოჩინოშინი** (მ 3).

### X დღე

**(მნიშვნელოვანი წყვილები):** ჰაკუჰო-კოტოოშუ, ჰარუმაფუჯი-კოტოშოგიკუ, კაკურიუ-მიოგირიუ, კისენოსატო-ტოიოჰიბიკი, გოეიდო-ტოჩიოძანი, ამინიშიკი-კაისეი, ჰომაშო-შოჰოზანი, **ტოჩინოშინი**-ტაკაიასუ, ტაკეკაძე-დაიდო, **გაგამარუ**-ფუჯიაზუმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**„ლელოს" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ყოფილი თანამშრომლის**
**შოთა კოპალეიშვილის**
**გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.**

## კალათბურთი

### ევროჩელენჯი

# არმია და ტელეკომი





20 ნოემბერი, ბონი

## ტელეკომი-არმია 75:71

14:26, 18:13, 25:16, 18:16

| ტელეკომი | ნთ | თამ.სრ. | % | 2ქ | % | 3ქ | % | 1ქ | % | მ.შეტ. | მ.საკ. | მ.სულ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ.შეტ. | +\- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. მაკბრეი | 12:38 | 1/7 | 14.3 | 1/5 | 20.0 | 0/2 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | +4 | 2 |
| 5. ენსმინგერი | 20:16 | 4/5 | 80.0 | 4/5 | 80.0 | 0/0 | 0.0 | 7/10 | 70.0 | 2 | 6 | 8 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 8 | -5 | 15 |
| 6. ვეიკალასი | 31:26 | 4/9 | 44.4 | 2/2 | 100.0 | 2/7 | 28.6 | 0/0 | 0.0 | 0 | 4 | 4 | 3 | 1 | 0 | 0 | 3 | 1 | +14 | 10 |
| 7. ვეიკალასი | 19:03 | 2/4 | 50.0 | 2/4 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 3 | 5 | 8 | 1 | 1 | 0 | 1 | 2 | 1 | +3 | 4 |
| 8. იუინგი | 04:22 | 0/2 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | -12 | 0 |
| 9. თულიგი | 06:13 | 0/2 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | -17 | 0 |
| 10. ჯორდანი | 30:59 | 2/5 | 40.0 | 1/3 | 33.3 | 1/2 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 2 | 2 | 7 | 3 | 0 | 0 | 2 | 0 | +2 | 5 |
| 11. ვიმსი | 28:41 | 6/10 | 60.0 | 3/5 | 60.0 | 3/5 | 60.0 | 2/2 | 100.0 | 0 | 7 | 7 | 2 | 3 | 0 | 1 | 4 | 1 | +17 | 17 |
| 12. კოხი | 00:00 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 14. ვადენი | 26:03 | 4/10 | 40.0 | 2/4 | 50.0 | 2/6 | 33.3 | 1/3 | 33.3 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 3 | 2 | +5 | 11 |
| 15. ვოლფარტი | 20:19 | 4/7 | 57.1 | 4/7 | 57.1 | 0/0 | 0.0 | 3/8 | 37.5 | 0 | 7 | 7 | 0 | 1 | 0 | 1 | 5 | 8 | +9 | 11 |
| გუნდი | | | | | | | | | | 1 | 4 | 5 | | 0 | | 0 | | | | |
| ჯამი | | 27/61 | 44.3 | 19/37 | 51.4 | 8/24 | 33.3 | 13/23 | 56.5 | 7 | 36 | 43 | 19 | 13 | 0 | 3 | 23 | 22 | | 75 |

| ტელეკომი | ნთ | თამ.სრ. | % | 2ქ | % | 3ქ | % | 1ქ | % | მ.შეტ. | მ.საკ. | მ.სულ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ.შეტ. | +\- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. გამყრელიძე | 21:53 | 3/8 | 37.5 | 2/6 | 33.3 | 1/2 | 50.0 | 0/4 | 0.0 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 0 | 1 | 4 | +1 | 7 |
| 5. ბაბიაშვილი | 00:00 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 6. ა. ბოისა | 03:22 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | +1 | 0 |
| 7. ვ. ბოისა | 25:01 | 1/4 | 25.0 | 1/4 | 25.0 | 0/0 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 1 | 3 | 4 | 5 | 1 | 0 | 0 | 4 | 3 | -2 | 2 |
| 8. უგრეხელიძე | 07:01 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | +2 | 0 |
| 10. მილეიჯი | 35:57 | 10/16 | 62.5 | 8/12 | 66.7 | 2/4 | 50.0 | 1/3 | 33.3 | 2 | 5 | 7 | 3 | 4 | 2 | 0 | 3 | 5 | +2 | 23 |
| 13. ნიკნიკაძე | 11:38 | 2/5 | 40.0 | 0/0 | 0.0 | 2/5 | 40.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | -14 | 6 |
| 14. შელბომი | 29:03 | 3/8 | 37.5 | 3/7 | 42.9 | 0/1 | 0.0 | 2/4 | 50.0 | 2 | 5 | 7 | 2 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | -6 | 8 |
| 21. საყვარელიძე | 02:17 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | -3 | 0 |
| 22. ფეისონი | 17:10 | 1/6 | 16.7 | 1/3 | 33.3 | 0/3 | 0.0 | 7/9 | 77.8 | 1 | 4 | 5 | 0 | 2 | 0 | 0 | 3 | 6 | +1 | 9 |
| 32. უილსონი | 34:19 | 5/13 | 38.5 | 2/4 | 50.0 | 3/9 | 33.3 | 1/2 | 50.0 | 0 | 8 | 8 | 0 | 1 | 0 | 1 | 3 | 2 | -6 | 14 |
| 55. ფარლალავა | 12:19 | 1/5 | 20.0 | 1/3 | 33.3 | 0/2 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | +4 | 2 |
| გუნდი | | | | | | | | | | 3 | 2 | 5 | | 0 | | 0 | | | | |
| ჯამი | | 26/66 | 39.4 | 18/39 | 46.2 | 8/27 | 29.6 | 11/24 | 45.8 | 10 | 30 | 40 | 12 | 11 | 5 | 1 | 22 | 23 | | 71 |

საქართველოს ჩემპიონმა „არმიამ" ევროჩელენჯის გახსნით მატჩში სტუმრად „ჰაპოელ ჰოლონთან" 15 ქულის სხვაობით დათმო (69:84), მეორე შეხვედრაში შინ 9 ქულით დამარცხდა (71:80), ხოლო გუშინ ჯგუფის ფავორიტ ბონის „ტელეკომთან" გერმანიაში 4 ქულით წააგო (75:71). როგორც ხედავთ, სხვაობა ნელ-ნელა მცირდება, რაც გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ არმიელები ფორმაში შედიან და სათამაშო პრაქტიკასაც იღებენ, რისი ნაკლებობაც სეზონის დასაწყისში თვალნათელი იყო. საქართველოს ჩემპიონებმა ხომ გასაგები მიზეზების გამო წინასასეზონოდ ვერც შეკრება გაიარეს და შემადგენლობაც გვიან შეკრიბეს. მაშინ, როცა ევროჩელენჯზე ჩვენი მეტოქეები ზაფხულშივე შეიკრიბნენ და ახალ სეზონს სათანადო კონდიციებში შეხვდნენ. მოკლედ, იმედი დავიტოვოთ, პროგრესი გაგრძელდება და „არმია" მეოთხე შეხვედრას დადებითი შედეგით დაასრულებს - 27 ნოემბერს „ჰაპოელს" უმასპინძლებს.

სხვათა შორის, ქართველები გამარჯვებასთან გერმანიაშიც ძალიან ახლოს იყვნენ. საფინალო სირენამდე 3 წამით ადრე **ლაშა გამყრელიძე** საჯარიმოს ხაზთან დადგა. ორივე ტყორცნა რომ გამოეყენებინა, ანგარიშს გაათანაბრებდა და დიდი ალბათობით მატჩი ოვერტაიმში გადავიდოდა, მაგრამ ორივე ტყორცნა აუცდა და მასპინძლებმა ქართველთა მიერ განზრახ აღებული ჯარიმის (რომელიც არბიტრებმა არასპორტულად შეაფასეს) შემდეგ ორი ტყორცნა გამოიყენეს და საბოლოოდ 74:71 გაიმარჯვეს. მეტსაც გეტყვით, ძირითად დროში გამარჯვებაც შეიძლებოდა: ჩვენმა გუნდმა ბოლო 2 წუთში 7 საჯარიმო ტყორცნა გააცუდა...

ერთ გაცვეთილ ფრაზას მოვიშველიებთ - ქართველებს საქმე აქამდე არ უნდა მიეყვანათ. ამას მაშინ ამბობენ ხოლმე, როცა გუნდი თამაშს კარგად დაიწყებს და ცუდად დაამთავრებს. არმიელებმა მართლაც შესანიშნავი სტარტი აიღეს: ლიდერი **კურტის მილეიჯის** წინამძღოლობით ჯერ 6:0 დაწინაურდნენ, ხოლო პირველი მეოთხედი 26:14 მოიგეს. დიდი შესვენებისთვის ქართველები 7 ქულის სხვაობით იყვნენ წინ (39:32). მილეიჯს 16 ქულა ჰქონდა, **ლემეინ უილსონს** - 8, ხოლო **ბექა ნიკნიკაძეს** - 6. უნდა აღინიშნოს, რომ მწვრთნელმა **კოტე ტულუშმა** წინა მატჩში ბექას მოედანზე გაყვანისგან თავი შეიკავა, გერმანიაში კი 12 წუთით ენდო.

„ანტვერპენთან" თბილისურ შეხვედრაში არმიელთა დამრიგებელი წინახაზელებით იყო უკმაყოფილო. ბონში კი მეტოქეს მოხსნებში მხოლოდ 3-ით ჩამოვრჩით (40:43), **იოაკიმ შელბომმა** 8 ქულა და 7 მოხსნა მოაგროვა, ხოლო **ვლადიმერ ბოისამ** - 2 ქულა, 5 პასი და 4 მოხსნა. სამწამიანი ზონიდან ჩაგდებული ქულებით მეტოქემ მაინც საგრძნობლად გვაჯობა - 34:22. სამაგიეროდ, სწრაფი გარღვევები ჩვენ უკეთესად გამოგვდიოდა. ასეთი შეტევებით 22 ქულა მოვაგროვეთ, მაშინ, როცა ტელეკომელებმა მხოლოდ 10 ქულა მოაგროვეს.

ამ წაგებით „არმიას" მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი ბონთან გაფლანგულ უპირატესობასავით შემცირდა, თუმცა



იმედი მაინც არ გადაგვწურვია: შინ ორ მატჩს ვატარებთ და ერთსაც ბელგიაში „ანტვერპენთან" ვითამაშებთ. სამივეს მოგების შემთხვევაში მომდევნო ეტაპზე გასვლის პერსპექტივა არსებობს, მაგრამ ბევრი რამ მეტოქეების გამოსვლაზე იქნება დამოკიდებული. შეგახსენებთ, რომ ჯგუფიდან ორი კლუბი გადის.

ორი მეტოქე, „ანტვერპენი" და „ჰაპოელი", მესამე ტურის მატჩში ერთმანეთს დღეს დაუპირისპირდება.

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ტელეკომი (გერმანია) | 3 | 3 | 0 | 6 |
| 2. ჰაპოელი (ისრაელი) | 2 | 1 | 1 | 3 |
| 3. ანტვერპენი (ბელგია) | 2 | 1 | 1 | 3 |
| 4. არმია (საქართველო) | 3 | 0 | 3 | 3 |

**IV პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 09:38 | შელბომი (არმია) 2ქ | 57 - 57 |
| 09:20 | ენსმინგერი (ბონი) | 59 - 57 |
| 08:53 | ვადენი: (ბონი) 3ქ | 62 - 57 |
| 08:10 | ენსმინგერი (ბონი) 2/1ქ | 63 - 57 |
| 07:49 | გამყრეიძე (არმია) 2ქ | 63 - 59 |
| 06:50 | მილეიჯი (არმია) 2ქ | 63 - 61 |
| 05:355 | ენსმინგერი (ბონი) 2+1ქ | 66 - 61 |
| 03:34 | უილსონი (არმია) 2ქ | 66 - 63 |
| 02:59 | ვეიკალასი (ბონი) 2ქ | 68 - 63 |
| 02:43 | გამყრელიძე (არმია) 3ქ | 68 - 66 |
| 02:20 | ჯორდანი (ბონი) 3ქ | 71 - 66 |
| 02:00 | უილსონი (არმია) 2/1ქ | 71 - 67 |
| 01:36 | გამყრელიძე (არმია) 2/0 | 71 : 67 |
| 01:20 | მილეიჯი (არმია) 2/1ქ | 71 - 68 |
| 01:14 | ფეისონი (არმია) 2/1ქ | 71 - 69 |
| 00:50 | მილეიჯი (არმია) 2ქ | 71 - 71 |
| 00:05 | ენსმინგერი (ბონი) 2/2ქ | 73 - 71 |
| 00:03 | გამყრელიძე (არმია) 2/0ქ | 73:71 |
| 00:03 | ვიმსი (ბონი) 2/2ქ | 75 - 71 |

### ქართველი NBA-ში

# ზაზამ ორლანდო მოხსნა



**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა ჰოქსმა" აღმოსავლური ტურნე დაასრულა და ერთკვირიანი შესვენების შემდეგ პირველი საშინაო მატჩი „ორლანდო მეჯიქთან" ჩაატარა. **დუაით ჰოვარდის** „ლეიკერსში" გადასვლის შემდეგ ორლანდოლები აღმოსავლეთი კონფერენციის ფავორიტებიდან აუტსაიდერებად იქცნენ. მათ ატლანტაში ჩასვლამდე 6 მარცხი ჰქონდათ, ხოლო შინ გაბრუნების შემდეგ ეს მაჩვენებელი 7-მდე ავიდა. „ატლანტამ" შეხვედრა დამაჯერებლად ჩაატარა და მეოთხე პერიოდის დასაწყისში 76:52 დაწინაურდა, საბოლოოდ კი 81:72 მოიგო.

მიმდინარე სეზონში ზაზა ფაჩულიამ მეორედ გადალახა 10-მოხსნიანი ბარიერი. ამჯერად ფარიდან ასხლეტილ ბურთს 11-ჯერ დაეუფლა. ორმაგ დუბლამდე კი ორი ქულა დააკლდა - 8 ბალი ჰქონდა. მატჩის ბომბარდირი 15 ქულით ჯორჯიელი **ელ ჰორფორდი** გახდა.

„ქორები" მომდევნო მატჩს 21 ნოემბერს „ვაშინგტონთან" ჩაატარებენ, რომელსაც ჯერ მოგების გემო არ გაუსინჯავს (9 წაგება). „ატლანტას" კი 9 მატჩში 5 გამარჯვება აქვს.

**ატლანტა-ორლანდო 81:72**

**ზაზა ფაჩულია:** 22 წუთი, 8 ქულა (5-დან 3 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 11 მოხსნა, 1 პასი, 2 შეცდომა, 3 ფოლი.

**I პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 4:31 | 13-10 | ჰორფორდი შეცვალა |
| 4:15 | 13-10 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 3:43 | 15-12 | საჯარიმოები: 2/2 (2ქ) |
| 1:55 | 17-16 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 1:54 | 17-16 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 1:53 | 17-18 | ორქულიანი: 4ქ |

**II პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 10:48 | 25-21 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 9:19 | 27-23 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 9:02 | 27-25 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 |
| 7:54 | 27-32 | ორქულიანი: 6ქ |
| 7:30 | 27-32 | ფოლი: 1 |
| 7:30 | 27-32 | სმიტმა შეცვალა |
| 2:54 | 37-37 | ჰორფორდი შეცვალა |
| 2:14 | 37-37 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 1:23 | 37-37 | მოხსნა: შეტ-2, დაც-4 |

**III პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 3:20 | 45-59 | ჰორფორდი შეცვალა |
| 2:51 | 45-59 | მოხსნა: შეტ-2, დაც-5 |
| 2:32 | 45-59 | შეცდომა: 1 |
| 1:55 | 47-61 | ორქულიანი: 8ქ |
| 1:09 | 47-63 | მოხსნა: შეტ-2, დაც-6 |

**IV პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 11:42 | 49-67 | პასი: 1 (მოროუ 2ქ) |
| 10:57 | 50-67 | მოხსნა: შეტ-2, დაც-7 |
| 10:15 | 50-69 | მოხსნა: შეტ-3, დაც-7 |
| 10:15 | 50-69 | შეცდომა: 2 |
| 9:33 | 50-72 | მოხსნა: შეტ-3, დაც-8 |
| 7:47 | 53-76 | სკოტმა შეცვალა |
| 2:42 | 66-78 | ტოლივერი შეცვალა |
| 2:11 | 68-78 | ფოლი: 2 |
| 1:54 | 68-78 | ფოლი: 3 |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოემბრის ტესტები

# ბორჯღალოსნები მორიგი ტესტისთვის ემზადებიან

## ფიჯის სპარინგი არმიამ გაუმართა

**საქართველოს ნაკრები ნოემბრის ტესტების ბოლო, მეორე შეხვედრას შაბათს, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, ფიჯის ეროვნულ გუნდთან გამართავს. „ბორჯღალოსნებმა" გუშინ „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" ღია ვარჯიში ჩაატარეს.**

საქართველოს ეროვნული გუნდი სრული შემადგენლობით გაისარჯა. არ უვარჯიშია მხოლოდ შერკინების ბურჯ **დავით ზირაქაშვილს** (კლერმონი), რომელიც ფეხის ტკივილმა შეაწუხა. ის თანაგუნდელების ვარჯიშს მოედნის კიდიდან ადევნებდა თვალს.

სხვა ყველა ჯანმრთელადაა და ფიჯისთან მომავალი დაპირისპირებისთვის ემზადება. „ბორჯღალოსანთა" რიგებში იყო მესამეხაზელი **ვიქტორ კოლელიშვილი** (კლერმონი), რომელიც 21 ნოემბერს პარიზში სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე იყო დაბარებული. ჩვენდა საბედნიეროდ, ეს ღონისძიება გადაიდო და „ვიტო" დისკვალიფიკაციას დროებით გადაურჩა. შესაბამისად, მას შეუძლია შაბათს ფიჯის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშოს.

„ბორჯღალოსნებმა", როგორც წესია, ვარჯიში მსუბუქი მოთელვით დაიწყეს. რის შემდეგაც უკანახაზელები მსოფლიოს რაგბის ახალზელანდიელმა ლეგენდამ **ტანა უმაგამ** დაიმარტოხელა. ყოფილმა „ოლბლექსელმა" ბიჭები ორ რიგად დააყენა და ბურთის ერთი შეხებით, სწრაფად გადაცემაში ავარჯიშა. წვრთნის ეს მეთოდი საკმაოდ ხალისიანი გამოდგა და მორაგბეები დიდი მონდომებით ირჯებოდნენ.

მერე უკანახაზელები მოედნის ერთ ნახევარზე გაიშალნენ და ღია თამაშის იმიტირებულ ვითარებაში ფეხით დარტყმაში ივარჯიშეს.

ამასობაში **მილტონ ჰეიგი, ილია ზედგინიძე** და **ილია მაისურაძე** მორკინალებთან მუშაობდნენ. მათ ისინი ორ ნაწილად დაჰყვეს და დერეფანში კომბინაციების დახვეწაში ავარჯიშეს. სავარაუდოდ, ძირითად მორკინალებს ბურთს აუტის ხაზიდან შერკინების კვაჭი **ირაკლი ნატრიაშვილი** (ბრივი) უგდებდა, სათადარიგოებს კი - **შალვა მამუკაშვილი** (არმია). მერე ორივე ნაწილი გააერთიანეს და დერეფნიდან მოლის აგორებაში ივარჯიშეს.

წვრთნის შემდეგი, მეორე ნახევარი შერკინებამ და უკანა ხაზმა ბოლომდე ერთად გაატარა. ჰეიგმა სავარაუდო ძირითად შემადგენლობას ლურჯი მოსაცმელები გადააცვა და შეტევის ორგანიზება დაავალა.

საქართველოს ნაკრების სავარაუდო ძირითადი შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**15. ირაკლი ყიასაშვილი, 14. ალექსანდრე თოდუა, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. ირაკლი მაჩხანელი, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. დავით ქუბრიაშვილი, 4. ლევან დათუნაშვილი, 5. კონსტანტინე მიქაუტაძე, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. ვიქტორ კოლელიშვილი, 8. მამუკა გორგოძე.**

როგორც ხედავთ, გუნდში სამი ცვლილებაა. შერკინების კვაჭის შალვა მამუკაშვილის ნაცვლად ძირითადში ადგილს ირაკლი ნატრიაშვილი დაიკავებს. სავარაუდოდ, ითამაშებს დავით ზირაქაშვილიც, ოღონდ თუ მატჩამდე ტრავმა მოირჩინა. მეორე ხაზში კი **გიორგი ნემსაძეს** (ტარბი) ფრანგული „ტულონის" მოთამაშე **კონსტანტინე მიქაუტაძე** შეცვლის.

„ლურჯებმა" შერკინებიდან ბურთის გამოტანის შემდეგ მრავალფაზიანი იერიშების ორგანიზება სცადეს. მერე ეს მეთოდი ეგრეთ წოდებულმა „თაჩ რაგბიმ" შეცვალა. ანუ ბურთიან მოთამაშეს მეტოქე ოდნავ მაინც თუ შეეხებოდა, შებოჭილად ითვლებოდა და თამაში რაკიდან უნდა გაგრძელებულიყო. ამ მეთოდმა არეული, ანუ ღია თამაშის იმიტაცია გამოიწვია, რაშიც ფიჯელები განსაკუთრებით ძლიერები არიან.

ამასობაში კი ფიჯის ეროვნული გუნდი „ავჭალის სარაგბო სტადიონზე" ვარჯიშობდა. მას სპარინგპარტნიორობას საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი „არმია" უწევდა. ფიჯელებთან ერთობლივმა წვრთნამ, ცხადია, ქართველ მორაგბეებს დიდი გამოცდილება შესძინა. განსაკუთრებით საინტერესოა მათი ხელდახელ თამაშის უნარ-ჩვევები. შემთხვევითი არ არის, რომ ფიჯის შვიდკაცა ნაკრებს, რაგბის ამ ნაირსახეობის „ჯადოქრებს" უწოდებენ.

შეგახსენებთ, რომ თბილისში ჩამოსვლამდე ფიჯელებმა ევროპაში სამი მატჩი გამართეს. პირველ შეხვედრაში კუნძულელები ინგლისის ეროვნულ გუნდთან დამარცხდნენ 12:54, მერე ამავე ქვეყნის კლუბთან, „გლოსტერთან" წააგეს 31:29. გასულ უქმეებზე კი ფიჯის ნაკრები ირლანდიის A ნაკრებმა გაანადგურა 53:0.

ფიჯელები მსოფლიოს რეიტინგში 70,60 ქულით მე-14 ადგილზე არიან. გამარჯვების შემთხვევაში „ბორჯღალოსნებს" შანსი აქვთ, კლასიფიკაციაში მინიმუმ ერთი საფეხურით დაწინაურდნენ. საქართველოს ნაკრები 66,75 ქულით მეჩვიდმეტეა.

თამაში 24 ნოემბერს მიხეილ მესხის სტადიონზე 15 საათზე დაიწყება.



ტანა უმაგა და მილტონ ჰეიგი



მერაბ შარიქაძის იერიში



მარცხნიდან: ირაკლი ნატრიაშვილი, ლაშა ხმალაძე და დავით ქუბრიაშვილი



ბურთით ირაკლი აბუსერიძე

### საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: დავით ხინჩაგიშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი (ორივე-ბრივი), ლევან ჩილაჩავა (ტულუზი), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), შალვა მამუკაშვილი (არმია).

მეორე ხაზი: ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), გიორგი ნემსაძე (ტარბი), ვახტანგ მაისურაძე (ალბი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი)

მესამე ხაზი: ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), შალვა სუთიაშვილი (მასი), მამუკა გორგოძე (მონპელიე), ბექა ბინაძე, გიორგი თხილაიშვილი (ორივე-არმია).

№9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), გიორგი ბეგაძე (ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი (ხარება).

№10: მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა მალაღურაძე (ბაგნერე), ლაშა ხმალაძე (ლელო).

№12-13: მერაბ შარიქაძე (ჰართფურის კოლეჯი), დავით კაჭარავა (როდეზი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), რეზო გიგაური (მონლუსონი)

№11-14: ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), ალექსანდრე თოდუა (ალბი), გიორგი ფრუიძე (აია), თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი).

№15: ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), საბა ნიკოლავა (არმია).

### ფიჯის ნაკრები

სეტეფანო სამოსა, დიკონ მანუ, რატუ მაკუტუ, მანასა საულო, სერემია ნაურეურე, ვილიამ სეკოსო, ტუაპატი ტალემაიტოგა, ლეონე ნაკარავა, აპისაი ნაიკატინი, სოკონიაია კალოუ, აპისალომე რატუნიიარავა, იიესა რატუვა, მალაკაი ვოლაუ, მალაკაი რავულო, ჯონ ქოვუ, ჯოვილი დომოლაილაი, ნემანი ნაგუსა, ნიკოლა მატავალუ, ნემია კენატალე, მეტუისელა ტალებულა, ჯონეთანი რალულუ, ჯოშ მატავესი, კელემედი ბოლა, ვერენიკი გონევა, ჯოსაია ლოტავა, რავაი ფატიაკი, სამუვარა, ვატისონი ვოტუ, ვაისეა ნაიაკალევუ, სიმელი კონიფერედი.

### 24 ნოემბერი

ირლანდია-არგენტინა
იტალია-ავსტრალია
ინგლისი-სამხრეთ აფრიკა
შოტლანდია-ტონგა
საფრანგეთი-სამოა
უელსი-ახალი ზელანდია

**ბესიკ ჯანგავაძე**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები*



მამუკა გორგოძე (დერეფანში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი


ლებრონ ჯეიმსი

# კვირის მოთამაშეები

„მაიამი ჰიტისა" და "ოკლაჰომა-სიტის" ფორვარდები - **ლებრონ ჯეიმსი** და **კევინ დურანტი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ჯეიმსი თავის გუნდს ოთხიდან სამი მატჩის მოგებაში დაეხმარა. ლებრონი საშუალოდ მატჩში 29.0 ქულას, 7.3 მოხსნას, 7.0 შედეგიან გადაცემასა და 1.25 დაფარებას აგროვებდა. 12 ნოემბერს, "ჰიუსტონთან" მატჩში ლებრონმა სეზონში პირადი რეკორდი დაამყარა - 38 ქულა დააგროვა, აქედან 32 - მეორე ტაიმში.

დურანტის კარგი თამაშის წყალობით, "ოკლაჰომამ" გასულ კვირას ოთხიდან სამი მატჩი მოიგო. კევინი საშუალო ორმაგ დუბლს აგროვებდა - მის ანგარიშზე იყო 28.0 ქულა (საუკეთესო შედეგი დასავლეთში) და 10.3 მოხსნა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო დურანტის თამაში "გოლდენ სტეიტის" წინააღმდეგ - ოკლაჰომელმა კარიერაში პირველი სამმაგი დუბლი შეასრულა - 25 ქულა, 13 მოხსნა და 10 პასი.

**ჯეიმსის კვირა**

**12 ნოემბერი. ჰიუსტონი-მაიამი 110:113.** 38 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი.

**14 ნოემბერი. კლიპერსი-მაიამი 107:100.** 30 ქულა, 5 მოხსნა, 7 პასი.

**15 ნოემბერი. დენვერი-მაიამი 93:98.** 27 ქულა, 7 მოხსნა, 12 პასი.

**17 ნოემბერი. ფინიქსი-მაიამი 88:97.** 21 ქულა, 7 მოხსნა.

**დურანტის კვირა**

**12 ნოემბერი. დეტროიტი-ოკლაჰომა 90:92.** 26 ქულა, 9 მოხსნა.

**14 ნოემბერი. ოკლაჰომა-მემფისი 97:107.** 34 ქულა, 20 მოხსნა.

**16 ნოემბერი. ნიუ ორლეანი-ოკლაჰომა 95:110.** 27 ქულა, 9 მოხსნა.

**18 ნოემბერი. ოკლაჰომა-გოლდენ სტეიტი 119:109.** 25 ქულა, 13 მოხსნა, 10 პასი.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **კაილ კორვერი** ("ატლანტა"), **კემბა უოკერი** ("შარლოტი"), **გრეგ მონრო** („დეტროიტი"), **მარკ გასოლი** („მემფისი"), **რუდი გეი** („მემფისი"), **ზაკ რენდოლფი** („მემფისი"), **ბრენდონ ჯენინგსი** („მილუოკი"), **რაიმონდ ფელტონი** („ნიუ იორკი"), **რასელ უესტბრუკი** („ოკლაჰომა"), **ნიკოლა ბატუმი** ("პორტლენდი"), **დემარ დეროზანი** ("ტორონტო") და **ხოსე კალდერონი** ("ტორონტო").

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ნიუ იორკი* | 8 | 7 | 1 | 87.5 |
| 2. ბრუკლინი | 8 | 6 | 2 | 75.0 |
| 3. მაიამი* | 11 | 8 | 3 | 72.7 |
| 4. მილუოკი* | 9 | 6 | 3 | 66.7 |
| 5. ფილადელფია | 10 | 6 | 4 | 60.0 |
| 6. შარლოტი | 9 | 5 | 4 | 55.6 |
| 7. ატლანტა | 9 | 5 | 4 | 55.6 |
| 8. ბოსტონი | 11 | 6 | 5 | 54.5 |
| 9. ჩიკაგო | 10 | 5 | 5 | 50.0 |
| 10. ინდიანა | 12 | 5 | 7 | 41.7 |
| 11. ტორონტო | 10 | 3 | 7 | 30.0 |
| 12. ორლანდო | 10 | 3 | 7 | 30.0 |
| 13. კლივლენდი | 10 | 2 | 8 | 20.0 |
| 14. დეტროიტი | 11 | 2 | 9 | 18.2 |
| 15. ვაშინგტონი | 9 | 0 | 9 | 00.0 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. კლიპერსი* | 10 | 8 | 2 | 80.0 |
| 2. მემფისი* | 10 | 8 | 2 | 80.0 |
| 3. სან ანტონიო | 11 | 8 | 3 | 72.7 |
| 4. ოკლაჰომა* | 11 | 8 | 3 | 72.7 |
| 5. მინესოტა | 9 | 5 | 4 | 55.6 |
| 6. გ. სტეიტი | 11 | 6 | 5 | 54.5 |
| 7. იუტა | 12 | 6 | 6 | 50.0 |
| 8. დალასი | 12 | 6 | 6 | 50.0 |
| 9. პორტლენდი | 10 | 5 | 5 | 50.0 |
| 10. ლეიკერსი | 10 | 5 | 5 | 50.0 |
| 11. დენვერი | 11 | 5 | 6 | 45.5 |
| 12. ნიუ ორლეანი | 8 | 3 | 5 | 37.5 |
| 13. ფინიქსი | 11 | 4 | 7 | 36.4 |
| 14. ჰიუსტონი | 11 | 4 | 7 | 36.4 |
| 15. საკრამენტო | 10 | 2 | 8 | 20.0 |

** - დივიზიონის ლიდერი*

**ქულა**

| | |
|---|---|
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 26.4 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 24.5 |
| კევინ დურანტი (ოკლ) | 24.5 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 24.2 |
| კარმელო ენტონი (ნ-იორ) | 23.6 |
| კაირი ირვინგი (კლივ) | 22.9 |
| ო ჯეი მაიო (დალ) | 21.8 |
| მონტა ელისი (მილ) | 21.4 |
| ლამარკუს ოლდრიჯი (პორ) | 21.1 |
| ნიკოლა ბატუმი (პორ) | 20.8 |

**მოხსნა**

| | |
|---|---|
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 13.8 |
| ანდერსონ ვარეჟაო (კლი) | 13.1 |
| ომერ აშიქი (ჰიუ) | 12.3 |
| ელ ჯეფერსონი (იუტ) | 12.0 |
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 11.4 |
| კენეტ ფარიდი (დენ) | 11.3 |
| დევიდ ლი (გ-სტ) | 11.0 |
| ჯეი ჯეი ჰიქსონი (პორ) | 10.6 |
| კევინ დურანტი (ოკლ) | 10.5 |

**პასი**

| | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 13.1 |
| კრის პოლი (კლივ) | 10.0 |
| გრეივის ვასკესი (ნ-ორლ) | 8.9 |
| ჯრიუ ჰოლიდეი (ფილ) | 8.6 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 8.4 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 8.2 |
| დერონ უილიამსი (ბრუკ) | 8.0 |
| ბრენდონ ჯენინგსი (მილ) | 7.7 |
| ტონი პარკერი (ს-ანტ) | 7.7 |
| გორან დრაგიჩი (ფინ) | 7.3 |

**ჩაჭრა**

| | |
|---|---|
| ბრენდონ ჯენინგსი (მილ) | 3.1 |
| კემბა უოკერი (შარ) | 2.6 |
| კრის პოლი (კლივ) | 2.2 |
| ნიკოლა ბატუმი (პორ) | 2.1 |
| ტრევორ არიზა (ვაშ) | 2.1 |
| ტაი ლოუსონი (დენ) | 2.1 |
| ჯერემი ლინი (ჰიუ) | 2.0 |
| მაიკ კონლი (მემ) | 2.0 |
| გორან დრაგიჩი (ფინ) | 2.0 |
| ალონზო გი (კლივ) | 2.0 |

**დაფარება**

| | |
|---|---|
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 3.5 |
| მარცინ გორტატი (ფინ) | 3.0 |
| ბრუკ ლოპესი (ბრუკ) | 2.8 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 2.7 |
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 2.7 |
| როი ჰიბერტი (ინდ) | 2.5 |
| დეანდრე ჯორდანი (კლივ) | 2.4 |
| დერიკ ფეივორსი (იუტ) | 2.2 |
| ენტონი დევისი (ნ-ორლ) | 2.2 |
| ლარი სანდერსი (მილ) | 2.2 |
| ანდრეი კირილენკო (მინ) | 2.2 |

# მემფისმა წააგო, კლიპერსი გალიდერდა

დღის ცენტრალურ მატჩში "სან ანტონიოსა" და "კლიპერსის" დაპირისპირება მხოლოდ იმის გამო არ იწვევდა ინტერესს, რომ ეს გუნდები დასავლეთი კონფერენციის ლიდერები არიან. ისინი შარშანდელ პლეი ოფში შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ, **პოპოვიჩის** შეგირდებმა "მშრალი" ანგარიშით მოიგეს სერია. მაგრამ ახლა საქმე სხვანაირადაა - კალიფორნიელებმა აშკარა პროგრესი განიცადეს, თან "კლიპერსის" დამრიგებელ **დელ ნეგროს** ერთ-ერთი საუკეთესო სათადარიგოთა სკამი აქვს ლიგაში.

ამაში "სპურსი" თავად დარწმუნდა, როცა ტრადიციული შეცვლების დრო დადგა. პირველი მეოთხედის ათი ქულით მოგების შემდეგ, მასპინძლებმა მეორე 12-წუთეული 14:29 დათმეს. ამაში დამნაშავენი "სან ანტონიოს" რეზერვისტები არიან. მაგალითად, **ჯინობილი** (მიუხედავად 15 ქულისა) და **ნილი** ამ თამაშს ვერ შეიტანენ თავიანთ აქტივში - ამ წყვილმა თამაშიდან 22-ჯერ ისროლა და მხოლოდ ექვსი ჩააგდო.

დიდი შესვენების შემდეგ, "სპურსი" მეტოქეს გამოედევნა. საინტერესოა, რომ ლიდერის როლი ბოლო წუთებზე **მეტ ბონერმა** იტვირთა. მან ორი სამქულიანი ჩააგდო, რასაც **პარკერის** შორეული ტყორცნაც დაემატა და სირენამდე ორი წუთით ადრე, მასპინძლებმა ორ ქულამდე შეამცირეს სხვაობა. "სან ანტონიოს" ანგარიშის გათანაბრების რეალური შანსიც ჰქონდა, მაგრამ ნილმა აქაც გააფუჭა ყველაფერი - 46 წამით ადრე მის მიერ სამი მეტრიდან ნასროლი მიზანს აცდა.

შემდეგ შეტევაში "სპურსმა" ვერ შეძლო **კრის პოლის** შეჩერება, დასასრულს კი იმავე ნილმა სამქულიანიც ვერ მოათავსა კალათში.

■ ■ ■

ამ მოგებით "კლიპერსმა" დასავლეთში ლიდერობა მოიპოვა, რადგან გუშინ "დენვერმა" მოულოდნელად სტუმრად დაამარცხა "მემფისი", რომელსაც აქამდე ზედიზედ რვა მატჩი ჰქონდა მოგებული. გარდა ამისა, "გრიზლისი" შინ მოგებების შთაბეჭდავი სერიით იწონებდა თავს - 15 გამარჯვება.

შესაძლებელი იყო, მასპინძლებს ორივე სერია შეენარჩუნებინათ. სირენამდე ოთხი წუთით ადრე, "მემფისი" ოთხი ქულით იყო წინ. მაგრამ, ამ დროს გუნდი დაალალატა **ტონი ალენმა**, რომელმაც მსაჯს დაუყვირა და სამართლიანად მიიღო ტექნიკური ჯარიმა. თუმცა პრობლემები აქედან არ დაწყებულა. ორი წუთით ადრე, **ჰოლინზის** შეგირდები ისევ ოთხ ქულას იგებდნენ, მაგრამ დარჩენილ დროში **გეიმ** და კომპანიამ ვერც ერთი ქულა ვერ აიღო, თან სამი შეცდომა დაუშვა. **გალინარის** ექვსი ქულის დახმარებით, "ნაგეტსმა" შეხვედრა 9:0 გაქცევით დაასრულა. მატჩის ბედი სწორედ იტალიელმა გადაწყვიტა, როცა სირენამდე 12 წამით ადრე ჩააგდო სამქულიანი და თავის გუნდს ოთხქულიანი უპირატესობა მოუტანა.

**სან ანტონიო-კლიპერსი 87:92**

**28:18, 14:29, 21:24, 24:21**

**ს-ა:** დანკანი (20+14 მოხსნა), ჯინობილი (15+5 მოხსნა+5 პასი), პარკერი (11+6 პასი), ბონერი (10).

**კ:** პოლი (19+8 პასი), გრიფინი (16+12 მოხსნა), ბარნსი (14+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჯორდანი (13+5 მოხსნა), კროუფორდი (11).

**მემფისი-დენვერი 92:97**

**26:27, 23:25, 21:17, 22:28**

**მ:** გეი (22), გასოლი (16+6 მოხსნა+5 პასი), რენდოლფი (12+13 მოხსნა), კონლი (11+8 პასი).

**დ:** გალინარი (26+5 მოხსნა), მაკგი (15+8 მოხსნა), ფარიდი (13+13 მოხსნა), ბრიუერი (10).


პარკერი პოლის წინააღმდეგ

# ვაშინგტონის ანტირეკორდი

არაფერი შველის "ვაშინგტონს", რომელმაც სტარზე ზედიზედ მეცხრე შეხვედრა დათმო და საკლუბო ანტირეკორდი დაამყარა. თავიანთი არსებობის ისტორიაში დედაქალაქელებს ასეთი ცუდი სტარტი არასოდეს ჰქონიათ.

კვლავაც **ჯონ უოლისა** და **ნენე ილარიოს** გარეშე მოთამაშე "უიზარდს" შეეძლო "ინდიანასთან" წაგებისთვის დაეღწია თავი. მართალია, აუთსაიდერმა 7:26-ით დაიწყო შეხვედრა, მაგრამ მესამე მეოთხედის დასასრულს **რენდი უიტმანის** შეგირდებმა აშკარად დაიმსახურეს ოვაციები - სხვაობა ოთხ ქულამდე შემცირდა - 67:71! ბოლო წამებზე კი მასპინძლები ერთ ქულამდეც კი მოუახლოვდნენ მეტოქეს, მაგრამ ძალიან რთულია გამარჯვების მოპოვება იმ დროს, როცა სასტარტო ხუთეულის წევრები თამაშიდან 22 პროცენტის (37-დან 8) სიზუსტით ისვრიან, მათ შორის 11-დან 10 სამქულიანს აცილებენ.

საბოლოოდ, ვაშინგტონელებმა ისევ წააგეს - "ინდიანამ" მეტოქეს 10:4 გაქცევით უპასუხა. მატჩის გმირები გახდნენ **დევიდ უესტი და როი ჰიბერტი**: 50 ქულა, 20 მოხსნა და 8 დაფარება.

■ ■ ■

არ გაუმართლა გუშინ "ჰიუსტონს" - "იუტასთან" მატჩის წინ, მის ლიდერს **ჯეიმს ჰარდენს** ტემპერატურამ აუწია და მისი მოედანზე გასვლა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. საბოლოოდ, ყოფილი ოკლაჰომელი მაინც გამოჩნდა სასტარტო ხუთეულში, მაგრამ პირველი ხუთი ტყორცნა ააცილა და თავისი ქულების ანგარიში მხოლოდ პირველი მეოთხედის დასრულებამდე წუთ-ნახევრით ადრე გახსნა. ჰარდენმა, რომლის საშუალო შედეგიანობა ამ მატჩამდე 26 ქულას შეადგენდა, ამჯერად მხოლოდ ექვსი დააგროვა, "იუტამ" კი თავი არ შეირცხვინა თავისი ყოფილი მწვრთნელის **ჯერი სლოუნის** წინაშე, რომელიც ტრიბუნებიდან ადევნებდა თვალს შეხვედრას. პირველ ტაიმში მასპინძლების ხანგრძლივი სპურტის (42:19) შემდეგ, მატჩის ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო. "როკეტსი" შინ სამმატჩიანი წაგებათა სერიით დაბრუნდა.

■ ■ ■

"შარლოტმა" ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმოები "მილუოკის" წინააღმდეგ და ამ გუნდს სეზონში პირველი საგარეო მარცხი აგემა. "ბობკეტსმა" 30 თავისუფალი ტყორცნა შეასრულა და 27 მოათავსა კალათში, **სეშენსს** კი ამ მხრივ ასპროცენტიანი მაჩვენებელი ჰქონდა - 10-დან 10.

ცნობისთვის, ამ ეტაპზე სტუმრად ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდია - "ლოს ანჯელეს კლიპერსი".

■ ■ ■

"დალასს" შეეძლო თავიდან აეცილებინა ოვერტაიმი "გოლდენ სტეიტთან" საშინაო შეხვედრაში: **ჰარისონ ბარნსმა** სამქულიანი ააცილა და "მავერიქსს" 15 წამი ჰქონდა ბოლო შეტევისთვის. მაგრამ **ვინს კარტერის** ტყორცნამ მიზანს არ მიაღწია, ოვერტაიმი კი "კოვბოებისთვის" კატასტროფულად დაიწყო - სტუმრები 7:0 გაიქცნენ. სხვებზე ადრე გამოერკვა **ო ჯეი მაიო**. ამ კალათბურთელს მომავალ ზაფხულს კონტრაქტი უმთავრდება და ვალდებულია თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი აჩვენოს. მან დამატებით დროში 11 ქულა მოათავსა კალათში, მაგრამ დანარჩენ ტეხასელებს თავი ერთხელაც არ გამოუჩენიათ, მათ შორის არც **შონ მერიონსაც**, რომელმაც 17 წამით ადრე ანგარიშის გათანაბრების შანსი გაუშვა ხელიდან, არადა, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ესროდა. ბურთი ფარიდან **სტივენ კარიმ** მოხსნა და მასპინძლებს არანაირი შანსი არ დაუტოვა, რადგან გამთამაშებელი იმ დღეს უშეცდომოდ ისროდა საჯარიმოს ხაზიდან.


ვაშინგტონი-ინდიანა

**ვაშინგტონი-ინდიანა 89:96**

**13:28, 28:22, 26:21, 22:25**

**ვ:** ბილი (18), სერაფინი (13), ჯორ. კროუფორდი (11), ლივინგსტონი (10).

**ი:** უესტი (30+8 მოხსნა+4 დაფარება), ჰიბერტი (20+12 მოხსნა+4 დაფარება), ჰილი (12+5 აეპელთი).

**შარლოტი-მილუოკი 102:98**

**30:23, 25:31, 22:27, 25:17**

**შ:** სეშენსი (23), მალენსი (19+9 მოხსნა), უოკერი (19+3 ჩაჭრა), კიდ-გილკირსტი (15+9 მოხსნა), ტეილორი (10), ჰეივუდი (6+11 მოხსნა).

**მ:** ელისი (31+5 პასი), დანლივი (16+5 მოხსნა), ჯენინგსი (10+5 პასი).

**ატლანტა-ორლანდო 81:72**

**21:23, 20:14, 24:12, 16:23**

**ა:** ჰორფორდი (15+9 მოხსნა), უილიამსი (14), ფაჩულია (8+11 მოხსნა).

**ო:** დევისი (11), ვუჩევიჩი (5+13 მოხსნა).

**დალასი-გ. სტეიტი 101:105 (ო)**

**20:23, 18:20, 27:24, 25:23, 11:15**

**დ:** მაიო (27+5 მოხსნა), კამანი (18+17 მოხსნა), მერფი (12).

**გ-ს:** კარი (31+9 პასი+6 მოხსნა), ბარნსი (20+12 მოხსნა), ლი (17+19 მოხსნა).

**იუტა-ჰიუსტონი 102:91**

**29:26, 32:18, 24:26, 17:21**

**ი:** ჯეფერსონი (14+16 მოხსნა), ფოიე (14), მარვ. უილიამსი (12), მილსეპი (10+8 მოხსნა), ტინსლი (3+5 მოხსნა+11 პასი).

**ჰ:** პატერსონი (19), ლინი (13+6 მოხსნა), ჯონსი (12+8 მოხსნა), მორისი (12), პარსონსი (11+10 მოხსნა+5 პასი).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# შუმახერის ახალი რეკორდი

**ოსტინის ეტაპის შემდეგ Forix-ის ენციკლოპედიურმა ბაზამ ტრადიციულად გამოაქვეყნა რამდენიმე საინტერესო სტატისტიკური მონაცემი...**



სტარტი ოსტინში

## რედ ბულის მესამე კონსტრუქტორთა თასი

- აშშ-ის გრანპრიმ "რედ ბულს" ვადაზე ადრე გამარჯვება მოუტანა კონსტრუქტორთა თასზე. პირველად ერთმა გუნდმა ეს ტიტული ზედიზედ სამჯერ მოიგო მას შემდეგ, რაც "ფერარიმ" 1999-2004 წლებში ზედიზედ ექვსჯერ გაიმარჯვა გუნდურ პირველობაზე.

- მანამდე კონსტრუქტორთა თასზე ზედიზედ სამი მოგება "უილიამსს" ჰქონდა (1992-94). თანაც, "რედ ბულისა" და "უილიამსის" წარმატებებს ორი ფაქტორი აერთიანებს - **ედრიან ნიუი** და "რენოს" ძრავები.

- "რედ ბულის", "ფერარისა" და "უილიამსის" გარდა, წარმატებული სერია აქვს "მაკლარენსაც" - კონსტრუქტორთა თასი ზედიზედ ოთხჯერ მოიგო (1988-91), "ფერარის" კი კიდევ ერთი სერია ჰქონდა - სამი თასი 1975-77 წლებში.

- "რედ ბული" მეხუთე ადგილს იკავებს ფორმულა 1-ში კონსტრუქტორთა თასზე გამარჯვებების რაოდენობით - 3 ტიტული. პირველზეა "ფერარი" 16 თასით, შემდეგ მოდიან: "უილიამსი" - 9, "მაკლარენი" - 8 და "ლოტუსი" - 7.

- "რედ ბულს" რვა წელი დასჭირდა კონსტრუქტორთა თასის სამჯერ მოსაგებად. "მაკლარენმა" ამისთვის 20 წელი დახარჯა, "ფერარიმ" - 18, "უილიამსმა" - 12 და "ლოტუსმა" - 11. უნდა აღინიშნოს, რომ საუკეთესო გუნდის ტიტული 1957 წლიდან თამაშდება - მანამდე, ექვსი წელი მხოლოდ საუკეთესო პილოტის ვინაობა ირკვეოდა.

## პილოტები, რომლებმაც ფეტელს გაუსწრეს

- **სებასტიან ფეტელმა** აშშ-ის გრანპრიზე პოულიდან აიღო სტარტი, მაგრამ დისტანციის მსვლელობისას მას **ლუის ჰემილტონმა** გაუსწრო. გერმანელი კარიერაში მხოლოდ მეხუთედ გავიდა მეორე ადგილზე მას შემდეგ, რაც პირველი ადგილიდან დაიწყო რბოლა:

1. 2011 წელს, ჩინეთში მას ლუის ჰემილტონმა გაუსწრო ფინიშამდე ოთხი წრით ადრე;
2. იმავე სეზონში, კანადაში ბოლო წრეზე **ჯენსონ ბატონმა** ჩამოიტოვა უკან გერმანელი;
3. ასევე 2011 წელს, უნგრეთში ფეტელს ორივე "მაკლარენმა" გაუსწრო, მაგრამ სებამ დაიბრუნა ერთი პოზიცია ჰემილტონის არასწორი სტრატეგიის გამო;
4. ისევ 2011 წელი: ფეტელმა უებერს წინ გასვლისა და რბოლის მოგების საშუალება მისცა;
5. 2012 წელს, აშშ-ში ჰემილტონი დაეწია ფეტელს, გაუსწრო და მოიგო ეტაპი.

- ოსტინის ტრასაზე ჰემილტონის მანევრი მეშვიდე გასწრება იყო ამ სეზონში ფეტელის წინააღმდეგ. 2010 წლის სეზონის სტარტიდან (57 რბოლა) დღემდე, სებასტიანს მხოლოდ 16-ჯერ გაუსწრეს: ექვსჯერ მან ჰემილტონს დაუთმო პოზიცია, ოთხჯერ - ბატონს, სამჯერ - **ალონსოს**, ორჯერ - **უებერს** და ერთხელ - **სუტილს**.

## კვალიფიკაცია

- ოსტინში ფეტელმა კარიერაში 36-ე და სეზონში მეექვსე პოული მოიპოვა. მან ამერიკული უქმეების დროს ექვსივე სესიაში საუკეთესო დრო აჩვენა - სამ ვარჯიშზე და სამ კვალიფიკაციაზე - ასეთი რამ პირველად მოხდა უქმეების ამჟამინდელი ფორმატის შემოღების შემდეგ.

- ჰემილტონმა კარიერაში 47-ედ დაიწყო რბოლა პირველი რიგიდან და ამ მაჩვენებლით ის **დეიმონ ჰილს** გაუთანაბრდა - ყველა დროის რეიტინგში ეს ბრიტანელები მერვე ადგილს იყოფენ. უკვე მეთხუთმეტედ ამ სეზონში, ჰემილტონმა და ფეტელმა გაინაწილეს სასტარტო ბილიკის პირველი რიგი.

- **როსბერგის** ამერიკული უიღბლობა გრძელდება - სამი ცდიდან გერმანელი ვერც ერთხელ ვერ მოხვდა კვალიფიკაციის პირველ ათეულში. ნიკოს არასოდეს მოუპოვებია ქულა აშშ-ში.

## რბოლა

- ხუთეტაპიანი პაუზის შემდეგ, ჰემილტონი ისევ ავიდა პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე - ეს იყო მის კარიერაში 21-ე გამარჯვება. ეს არის მესამე შემთხვევა, როცა ის მეორეზე იდგა სტარტზე, ფეტელი - პირველზე და ბრიტანელმა რბოლა მოიგო.

- სულ რაღაც ექვსი მეათედი წამი დააკლდა ფეტელს 27-ე გამარჯვებამდე ასი ჩატარებული გრანპრის შემდეგ - ამ შემთხვევაში ის გაიმეორებდა **მიხაელ შუმახერის** მიღწევას. მაგრამ მნიშვნელოვანი ფაქტები მაინც დაფიქსირდა - ფეტელის პოდიუმი მე-80 იყო "რედ ბულისთვის" და მე-400 "რენოს" ძრავებიანი მანქანებისთვის.

- გენერატორის მწყობრიდან გამოსვლის გამო, მარკ უებერმა შეწყვიტა 59-რბოლიანი სერია მექანიკური პრობლემების გარეშე. წინა გამოვარდნა ტექნიკის მიზეზით 2009 წელს, სინგაპურის გრანპრის დროს დაფიქსირდა, როცა გადაცემათა კოლოფი გამოვიდა მწყობრიდან.

- ფერნანდო ალონსო ისევ ავიდა პოდიუმზე სტარტზე მოკრძალებული მეშვიდე პოზიციის მიუხედავად. ამით ესპანელმა **ალენ პროსტის** რეკორდი გაიმეორა, რომელიც 1986 წელს არის დამყარებული - ცხრა პოდიუმი პირველი სამეულის მიღმა აღებული სტარტებიდან.

- ოსტინში ჰემილტონი (49 პოდიუმი კარიერაში), ფეტელი (46 პოდიუმი) და ალონსო (85 პოდიუმი) ისტორიაში პირველად მოხვდნენ ერთად პოდიუმზე.

- აშშ-ის გრანპრიზე მეორე წრის გავლის შემდეგ, მიხაელ შუმახერი ახალი რეკორდის მფლობელი გახდა - მას ფორმულა 1-ის ისტორიაში ყველაზე გრძელი დისტანცია აქვს გავლილი - 80585 კილომეტრი. წინა რეკორდის მფლობელი იყო **რუბენს ბარიკელო**.

ჰოკეი

# მალე ოლ სტარსაც გააუქმებენ



კოლამბუსში ოლ სტარი არ იქნება

"ზამთრის კლასიკის" გაუქმების შემდეგ, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში დღის წესრიგში დადგა "ყველა ვარსკვლავის" მატჩის გაუქმებაც, რომელიც 27 იანვარს კოლამბუსში უნდა გაიმართოს.

*"ყველა ვარსკვლავის უქმეების" გაუქმება მნიშვნელოვანი დარტყმა იქნება ლიგის სპონსორებისთვის. "ოლ სტარი" და დანარჩენი კონკურსი ყოველთვის ბევრ მაყურებელს იზიდავს, ლიგა კი ცდილობს სარფიანად წარმოადგინოს თავისი ტოპ-მოთამაშეები. რა თქმა უნდა, თავად მატჩს არ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, მაგრამ წელს ის კოლამბუსში უნდა გამართულიყო, იქაური ბაზარი კი დადებით მოვლენებს საჭიროებს"*, - განაცხადა NHL-ის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა.

უნდა დავამატოთ, რომ გასულ ხუთშაბათს ჰოკეისტებმა ამ სეზონში რიგით მესამე ხელფასი ვერ აიღეს. *"რა თქმა უნდა, ყველას უნდა ფულის მიღება, მაგრამ უფრო მეტად ჰოკეის თამაშის სურვილი გვაქვს"*, - განაცხადა "ნეშვილის" მცველმა **ელ გილმა**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ჩემპიონთა ლიგა

| | |
|---|---|
| ნორდსილანდი-შახტარი | 2:5 |
| იუვენტუსი-ჩელსი | 3:0 |
| ბატე-ლილი | 0:2 |
| ვალენსია-ბაიერნი | 1:1 |
| სპარტაკი-ბარსელონა | 0:3 |
| ბენფიკა-სელტიკი | 2:1 |
| კლუჟი-ბრაგა | 3:1 |
| გალათასარაი-მანჩესტერ იუნ | 1:0 |

### ინგლისი

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ბორნმუთი-სტევენეიჯი | 1:1 |
| კარლაილი-დონკასტერი | 1:3 |
| კოლჩესტერი-ქოვენთრი | 1:3 |
| ქროული-იეოვილი | 0:1 |
| ჰარტლპული-ოლდჰემი | 1:2 |
| პორტსმუთი-ლეიტონი | 2:3 |
| პრესტონი-ნოტსი | 0:0 |
| სკანთორპი-ბერი | 1:2 |
| შეფილდი-ქრიუ | 3:3 |
| შრიუსბერი-მილტონი | 2:2 |
| სუინდონი-ბრენტფორდი | 0:1 |
| ტრანმერი-უოლსოლი | 0:0 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| უიმბლდონი-საუთენდი | 0:4 |
| ბრედფორდი-პლიმუტი | 1:0 |
| ბარტონი-ალდერშოტი | 0:1 |
| ჩესტერფილდი-ჩელტენემი | 4:1 |
| ფლიტვუდი-აკრინგტონი | 1:3 |
| ჯილინგემი-ექსეტერი | 2:3 |
| ნორთჰემპტონი-მორეკამბი | 3:0 |
| პორტ ვეილი-როვერსი | 4:0 |
| როტერჰემი-უიკომბი | 2:3 |
| ბარნეტი-ოქსფორდი | 2:2 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ბრენტრი-რექსჰემი | 1:5 |
| ჰაიდი-ალფრეტონი | 1:1 |
| მაკლსფილდი-მენსფილდი | 0:3 |

### შოტლანდია

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ფორფარი-ქუინი | 1:5 |
| ალბიონი-ბრეჩინი | 1:2 |

### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-რუჟომბეროკი | 0:0 |

### რუსეთი

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სიბირი-ბალტიკა | 3:1 |
| ტომი-უფა | 0:0 |
| ნალჩიკი-ენისეი | 0:2 |
| ხიმკი-პეტროტრესტი | 1:0 |

### ხორვატიის თასი

| | |
|---|---|
| დუბროვნიკი-ლოკომოტივა | 0:1 |
| ზადარი-სლავენი | 1:0 |

### უნგრეთის თასი

| | |
|---|---|
| დიორი-პაკსი | 4:0 |

## კალათბურთი

### ევროთასი

| | |
|---|---|
| ციბონა-შოლე | 90:95 |
| ვალენსია-ვიურცბურგი | 97:64 |
| შარლერუა-ბუდუჩნოსტი | 53:66 |

### ევროჩელენჯი

| | |
|---|---|
| გაზ მეთანი-ხიმიკი | 88:86 |
| მინსკი-ნანსი | 78:71 |
| კატაია-კრ. კრილია | 86:96 |
| აპოლონი-გრაველენი | 89:88 |
| ტარტუ-დიჟონი | 74:62 |
| პიტეშტი-მონსი | 73:78 |
| ენგომი-პინარი | 59:86 |
| სიოდერტალე-ვენტსპილსი | 80:82 |
| ტიმიშოარა-შოლნოკი | 80:93 |
| თოფასი-კრკა | 82:79 (ო) |
| აალსტი-პარიზი | 76:86 |

## ჰოკეი

### კჰლ

| | |
|---|---|
| დინამო (მ)-ვიტიაზი | 3:2 |

### ავსტრია

| | |
|---|---|
| ვილახი-ოლიმპია | 2:3 |
| ზალცბურგი-ალბა | 4:5 |
| ზნოიმო-გრაცი | 2:4 |
| ინსბრუკი-ვენა | 0:2 |
| კლაგენფიურტი-ზაგრები | 4:5 (ო) |
| ლინცი-დორნბირნი | 5:3 |

### გერმანია

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-ნიურნბერგი | 3:2 |
| დიუსელდორფი-მანჰაიმი | 4:5 |

### დანია

| | |
|---|---|
| ოდენსე-ფრედრიკშავნი | 3:2 (ო) |
| ჰერნინგი-სონდერიისკი | 3:2 (ო) |
| ესბერგი-ჰერლევი | 5:2 |
| ოლბორგი-კოპენჰაგენი | 10:2 |

### ნორვეგია

| | |
|---|---|
| სტიორნენი-სტავანგერი | 1:7 |

### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| ჟილინა-პოპრადი | 7:5 |
| ნიტრა-მარტინი | 2:0 |
| ბისტრიცა-სკალიცა | 5:2 |
| კოშიცე-ტრენჩინი | 3:2 |
| პიესტანი-ზვოლენი | 0:3 |

### ფინეთი

| | |
|---|---|
| იოკერიტი-კერპეტი | 4:3 |
| პელიკანსი-ესეტი | 4:3 |
| ტაპარა-ჰიფკ | 3:2 |
| ტპს-კალპა | 7:3 |
| იუვიასკიულა-ჰპკ | 2:5 |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ჟლინი-ტრშინეცი | 4:2 |
| ლიტვინოვი-სპარტა | 2:3 (ო) |
| კარლოვი ვარი-ხომუტოვი | 1:0 (ბ) |
| ვიტკოვიცე-ბრნო | 4:1 |
| სლავია-კლადნო | 4:3 (ბ) |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ლანგნაუ-ბილი | 2:3 (ო) |
| ლუგანო-ფრიბურგი | 1:2 |
| ცუგი-სერვეტი | 2:6 |
| ციურიხი-კლოტენი | 3:2 (ო) |

### შვედეთი

| | |
|---|---|
| აიკ-ბრიუნესი | 2:1 (ო) |
| ვექსიო-როგლე | 1:3 |
| ტიმრა-ჰვ 71 | 3:5 |
| ფერიესტადი-ლულეო | 4:0 |
| ფრიოლუნდა-მოდო | 0:2 |
| შელეფტეო-ლინჩოპინგი | 4:2 |

TV პროგრამა

**21 ნოემბერი. ოთხშაბათი**

### GMG-ფეხბურთი

**10:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. გალათასარაი-მანჩესტერ იუნ.
**12:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ბენფიკა-სელტიკი.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. XII ტური. მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა.
**16:00** გერმანიის ჩემპიონატი. XII ტური. დორტმუნდი-ფიურტი.
**18:00** ინგლისის ჩემპიონატი. XII ტურის მიმოხილვა.
**19:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIII ტური . უტრეხტი-ტვენტე.
**21:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ზენიტი-მალაგა (LIVE).
**23:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის წინ.
**23:45** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ანდერლეხტი-მილანი (LIVE).
**01:45** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. შალკე-ოლიმპიაკოსი.

### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-ბრუკლინი.
**15:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ბელგრანო-ლანუსი.
**17:00** რაგბი. ტესტ-მატჩი. ინგლისი-ავსტრალია.
**19:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ბოსტონ სელტიქსი. 1985-1986 წ.
**21:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-ბრუკლინი.
**23:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).

### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** რაგბი. ჰეინეკენის თასი. ედინბურგი-სარაცენსი.
**15:00** ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. ფინალი. ჩეხეთი-სერბეთი.
**17:00** სპორტ-NEWS.
**17:30** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ბილბაო-ლიონი.
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მემფისი-მაიამი.
**21:30** NBA ACTION.
**22:00** ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. ფინალი. ჩეხეთი-სერბეთი.
**23:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. შალკე-ოლიმპიაკოსი (LIVE).

### I არხი

**23:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური (LIVE).

### რუსთავი 2

**23:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური (LIVE).
**02:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

ხისელა დულკო



# დულკომ თავი დაანება

წყვილთა თანრიგში მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, არგენტინელმა **ხისელა დულკომ** კარიერა 27 წლის ასაკში დაასრულა.

*"გადავწყვიტე კარიერის დასრულება. ამ გადაწყვეტილების ჩმიღება გამიჭირდა, რადგან ჩოგბურთი ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახლდათ.*

*ამ ნაბიჯის მთავარი მიზეზი გახდა ჩემს ცხოვრებაში სხვა პრიორიტეტები. დღეს არ მაქვს სურვილი და შესაძლებლობა გავილო ის მსხვერპლი, რომელიც აუცილებელია წარმატებული კარიერის გასაგრძელებლად"*, - განაცხადა ხისელამ.

დულკომ პროფესიული კარიერა 2001 წელს დაიწყო. ამ დროის განმავლობაში მან WTA-ის ერთეულთა თანრიგში ოთხი ტიტული მოიგო, წყვილებში - 17. 2011 წელს, არგენტინელმა იტალიელ **ფლავია პენეტასთან** ერთად მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა. 2010 წელს, ამ ჩოგბურთელებმა წლის შემაჯამებელი ტურნირიც მოიგეს და წყვილთა რეიტინგს ჩაუდგნენ სათავეში. კარიერაში არგენტინელმა ჩოგბურთელმა 4.2 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

დულკო გასულ წელს ცოლად გაჰყვა ცნობილ არგენტინელ ფეხბურთელს **ფერნანდო გაგოს**.

რეიტინგი

# რონალდო – ყველაზე სექსუალური



ცნობილ რუს სუპერმოდელს **ირინა შეიკს** შეუძლია იამაყოს თავისი საქმროთი: ჟურნალმა People-მ მადრიდის "რეალისა" და პორტუგალიის ნაკრების ფორვარდი **კრისტიანო რონალდო** ამ წლის ყველაზე სექსუალურ მამაკაც სპორტსმენად აღიარა.

კრისტიანოს კანდიდატურის სასარგებლოდ იმანაც ითამაშა, რომ პორტუგალიელი ძალიან პოპულარულია - Facebook-ის სოციალურ ქსელში მისი გვერდი 50 ათას თაყვანისმცემელს ითვლის, ხოლო Twitter-ზე ანალოგიური რიცხვი 3 ათასს უტოლდება. ამასთან, მიმდინარე წელს რონალდომ 46 გოლი გაიტანა და მხოლოდ შეუდარებელ **ლეონელ მესის** ჩამორჩება.

მომხიბვლელი მამაკაცების სიაში მხოლოდ ფეხბურთელები არ არიან. აქ წარმოდგენილია ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავი **ვიქტორ კრუსი**, რომელიც "ცეცხლოვან" ლათინურამერიკულ ცეკვებს ასრულებს ყოველი ტაჩდაუნის შემდეგ. აქვეა 23 წლის მოცურავე **ნათან ედრიენი**, რომლის აქტივში ლონდონის ორი ოლიმპიური ოქროა.

People-ის ვერსიით ყველაზე სექსუალური მამაკაცების სია ასე გამოიყურება:

1. კრისტიანო რონალდო (ფეხბურთი)
2. ვიქტორ კრუსი (ამერიკული ფეხბურთი)
3. ნათან ედრიენი (ცურვა)
4. ჰენრიკ ლუნდკვისტი (ჰოკეი)
5. ადამ სკოტი (გოლფი)
6. ტიმ ტიბოუ (ამერიკული ფეხბურთი)
7. ენდი მიურეი (ჩოგბურთი)
8. ლებრონ ჯეიმსი (კალათბურთი)
9. რაიან ლოხტე (ცურვა)

კრივი

# ჭაობიდან ამოსული

34 წლის ბრიტანელი **რიკი ჰატონი** 24 ნოემბერს, ნახევრადსაშუალო წონაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონთან **ვიაჩესლავ სენჩენკოსთან** ბრძოლით დაბრუნდება რინგზე. შეგახსენებთ, რომ ჰატონი სამი წელია არ გვინახავს პროფესიულ რინგზე.

The Los Angeles Times-ისთვის მიცემულ ინტერვიუში, ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ 2009 წელს, **მენი პაკიაოსგან** მიღებული უმძიმესი ნოკაუტის შემდეგ, დიდი რინგიდან წასვლამ სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები მოუტანა. მაგრამ ამ პრობლემასთან ექიმების, ახლობლებისა და ოჯახის წევრების დახმარებით გამკლავების შემდეგ, მეტი თავდაჯერებულობა იგრძნო და ისევ გაუჩნდა რინგზე დაბრუნების სურვილი. *"ისტერიული ნერვული აშლილობა მქონდა, ჩემმა მეგობარმა გოგონამ სამჯერ გამომტაცა ხელიდან დანა, როცა ვენების გადაჭრა მქონდა გადაწყვეტილი, -ალიარებს ჰატონი. - უამრავი პრობლემა შემექმნა. 34 წლის ასაკში უნდა დამეგდო ძალიან ბევრი ზედმეტი წონა. ამბობენ, რომ ვერაფრით დავბრუნდები რინგზე, და ეს დამატებით მოტივაციას მანიჭებს. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მენატრება კრივი. ძალიან გაბრაზებული ვარ იმის გამო, რომ ცხოვრებამ ასე სასტიკად დამამარცხა. ეს გაბრაზება რინგზე დაბრუნების სურვილს აძლიერებს"*.

ჰატონი მოჰყვა იმის შესახებ, რომ პაკიაოსთან წაგების შემდეგ, ლუდს უზომოდ სვამდა, დეპრესიული გახდა და კოკაინამდეც კი მიაღწია. მისი სიტყვებით, ის არ აპირებდა ამ წაგების შემდეგ რინგიდან წასვლას, მაგრამ პაკიაოსთან და **ფლოიდ მეივეზერთან** ბრძოლებისთვის მიღებულმა მაღალმა ჰონორარებმა მოადუნეს ვარჯიშებისადმი მისი მოტივაცია.

*„ეს საშინელება იყო, - აღიარა ჰატონმა. - პაკიაოსთან წაგების შემდეგ ვცდილობდი რინგზე დაბრუნებას, მაგრამ დილით ძილს ვიხანგრძლივებდი, ყოველი მეორე ორშაბათიდან დიეტას ვიწყებდი... დავკარგე ვარჯიშის სურვილი და მიდრეკილება"*.

ჰატონი 95 კილოგრამი გახდა და ექიმები, რომლებიც მას სისხლის წნევას უზომავდნენ, აცხადებდნენ, რომ ინფარქტი გარდაუვალი იქნებოდა. მისმა ყოფილმა მეგობარმა და მწვრთნელმა **ბილი გრემმა** სასამართლოში უჩივლა მოკრივეს გადაუხდელი ჰონორარის გამო. რიკი ისე წაეჩხუბა მშობლებს, რომ ისინი ორი წელი არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. *„ყველაფერი სულ უფრო და უფრო უკან მიდიოდა, საკუთარი თავის მრცხვენოდა. ამასობაში, მეხსიერებაში გარღვევები დამეწყო და არც კი მახსოვდა, რა ნარკოტიკს ვიღებდი, - ყვება ჰატონი. - ფსკერზე ვიყავი"*.



რიკი ჯენიფერთან ერთად

როცა ეს ყველაფერი პუბლიკისთვისაც გახდა ცნობილი, ჰატონმა აღიარა ფსიქოლოგიური პრობლემები და დახმარებისთვის სპეციალისტებს მიმართა. მაგრამ, მისი სიტყვებით, ექიმებისა და სარეაბილიტაციო ცენტრების გარდა, მისი გამოსწორებისა და ნორმალური ცხოვრებისკენ მობრუნების მიზეზი გახდა მისი მეგობარი **ჯენიფერი**, აგრეთვე მათი ქალიშვილი **მილი მეგი**, რომელიც ახლა 13 თვისაა. *„საკუთარ საწვრთნელ ცენტრში ახალგაზრდა ბიჭების წვრთნა დავიწყე, თანდათან წონას ვიგდებდი, უკვე მომწონდა საკუთარი თავი სარკეში, ისევ კარგად ვიგრძენი თავი, - ამბობს ჰატონი. - ვფიქრობდი: „იქნებ, შევძლო კარიერის დასრულება ისე, როგორც ეს ჩაფიქრებული მქონდა"*.

პუბლიკამ ჰატონი აგრესიული სტილისა და უძლიერესი მოკრივეების წინააღმდეგ ბრძოლის სურვილის გამო შეიყვარა. ახლაც, ბრიტანელმა უარყო რინგზე დაბრუნება იოლი ბრძოლით. *„როცა მათ მითხრეს, რომ გამოსვლა იოლი მოწინააღმდეგით უნდა დამეწყო, ვიკითხე: „დიდი ხანია მიცნობთ?", - აგრძელებს ჰატონი. - მინდა სარეიტინგო მეტოქეებთან ჩხუბი, რათა პუბლიკამ სერიოზულად აღმიქვას. თავს კარგად ვგრძნობ და ჩემი გამოსვლა აჩვენებს - შემიძლია თუ არა ორი-სამი ბრძოლის ჩატარება ან თუნდაც ტიტულზე პრეტენზიის გამოცხადება"*.

ჰატონის პოპულარობამ ის მოიტანა, რომ ნახევრადსაშუალო წონაში WBA-ის ჩემპიონის - **პოლ მალინიაჯის** პრომოუტერებმა მომავალი წლის მარტში დაგეგმეს რიკისთან სავარაუდო რევანში: ბრიტანელმა 2008 წელს ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა მალინიაჯი. *„მეკითხებიან - „რატომ ბრუნდები?" მე უკვე ვიჩხუბე მეივეზერთან და პაკიაოსთან. მაქვს საკუთარი საწვრთნელი დარბაზი, შესანიშნავი სახლი, კარგი მანქანა, - ასრულებს ინტერვიუს ყოფილი ჩემპიონი. - რინგზე დაბრუნების სურვილმა უნდა დაანახვოს ყველას, როგორი უკმაყოფილო ვარ ძველი ჰატონით"*.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ამბები

კალათბურთი

## დალასი ფიშერზე ფიქრობს

"დალას მავერიქსის" ხელმძღვანელობა უახლოეს ხანში განიხილავს ვეტერან მცველთან - **დერეკ ფიშერთან** კონტრაქტის გაფორმების შესაძლებლობას. ტეხასური კლუბი ჯერ არ გასულა ყოფილ ლეიკერსელთან კონტაქტზე, მაგრამ "მავერიქსის" დღევანდელი გამოსვლა არ ხელს არ აძლევს სამწვრთნელო შტაბს და შემადგენლობის გაძლიერების გზებს ეძებს. სწორედ ამიტომაც წარმოიშვა გამოცდილი პლეიმეიკერის ვარიანტი, რომელიც ამჟამად თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს.

ველოსპორტი

## უიგინსმა ვარჯიში დაიწყო

ოთხგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, 2012 წლის ტურ დე ფრანსის გამარჯვებულმა, ბრიტანელმა **ბრედლი უიგინსმა** პირველი ვარჯიში ჩაატარა იმ ავარიის შემდეგ, რომელიც 7 ნოემბერს მოხდა. ველოსიპედით მოძრავ უიგინსს მანქანა შეეჯახა, რის გამოც ბრიტანელმა ნეკნებისა და მაჯის ტრავმა მიიღო.

ექიმების აზრით, აღნიშნული დაზიანებები არ იმოქმედებს უიგინსის ვარჯიშებისა და გამოსვლების გრაფიკზე.

ფრისტაილი

## ოლიმპიური ჩემპიონი წავიდა

სკი-კროსში ვანკუვერის ოლიმპიადის ჩემპიონმა, კანადელმა **ეშლი მაკაივორმა** კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა.

2011 წლის 28 იანვარს, სპორტსმენმა მარცხენა მუხლის ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა. ის წელს აპირებდა ტრასაზე დაბრუნებას, მაგრამ 29 წლის ეშლის თქმით, წარმატებული გამოსვლისთვის მოტივაცია არ ჰყოფნის.

ოლიმპიზმი

## ლონდონი რიოს დაეხმარება

ლონდონის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები რიო-დე-ჟანეიროში ჩავიდნენ, რათა ბრაზილიელებს 2016 წლისთვის ზაფხულის თამაშების ორგანიზებაში გაუწიონ დახმარება, - იტყობინება სააგენტო AP. ლათინურ ამერიკაში ისინი დაახლოებით ერთ კვირას დაჰყოფენ.

შეგახსენებთ, რომ სამი თვის წინ, ლონდონის ოლიმპიადის მსვლელობისას, რიო-2016-ის საორგანიზაციო კომიტეტიდან ცხრა წევრი გაანთავისუფლეს ისინი ინფორმაციებს იპარავდნენ ბრიტანელთა კომპიუტერებიდან.

კრივი

## 50 Cent კრივში მკვიდრდება

ცნობილი რეპერი **კერტის ჯექსონი** (50 Cent) აგრძელებს პროფესიულ კრივში დამკვიდრებას. ამ დღეებში მუსიკოსმა გამოაცხადა, რომ ნევადის შტატის ათლეტურმა კომისიამ ლიცენზია მისცა მის პრომოუტერულ კომპანია - SMS Promotions-ს.

ამ კომპანიასთან უკვე გაფორმებული აქვთ კონტრაქტები **იური ორკის გამბოას, ანდრე დირელს, ბილი დიბსა** და **სელესტინ კაბალიეროს**.

*"მე მიყვარს კრივი,* - ამბობს 50 Cent. - *მოხარული ვარ, რომ ახლა შემიძლია ამ ბიზნესში მოღვაწეობა. ოცნებები სრულდება"*.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:20
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608